

ნ. მ ა რ რ ი

ისტორიული პროცესის
ს ა კ ი თ ე ს ა თ ვ ი ს
იაფეთური თეორიის
გ ა უ უ ქ ე ბ ი თ

თარგმანი

დოც. დ. კარბელაშვილისა

სახელმწიფო
ბაგოგცემლოვა

თბილისი
1 9 3 4

სახვ. კვდაგოგოური
ს ე ქ ტ რ ი



ნ. მ ა რ რ ი

ისტორიული პროცესის
ს ა ჰ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს
იაფეთური თეორიის
გ ა უ უ ქ ე ბ ი თ

36895

თარგმანი
დოც. დ. კარბელაშვილისა.



ს ა ხ ე ლ მ წ ი ვ რ . ს ა ს წ . კ ე დ ა გ ო გ ი უ რ ი
გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა 1 9 3 4 . ს ე ქ ტ ო რ ი

401
მ. 24-ი

კორექტორი: ნ. გიორგაძე
გადაეცა წარმოებას 15/XI—33
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XII—33
სტ. ქ. 72X105. ს. ნ. ფ. 26.000
მთავლ. რწმ. № ა—1260
ტირაჟი 3000. შეკვ. № 858
სახელგამის 1-ლი სტამბა, პლენ. პრ. № 91

ისტორიული პროცესის საკითხისათვის ია- ფეტური თეორიის გაუქმებით.

(მონხენება ისტორიკოს-მარქსისტთა პირველ საკავშირო კონფერენციაზე —
28/XII—1928 — 4/1—1929 და მის გამო წარმოებული კამათი)

ჯერ კიდევ მეტყველების პალეონტოლოგიის დამუშავების პირველ ხანებში, როცა საკითხი მისი ქსტადიური განვითარების შესახებ ჩინასახ მდგომარეობაში იყო, კავკასიის ისტორიული ბედის სიღრმის ენათმეცნიერულმა პერსპექტივებმა კავკასიის ისტორიული პროცესის ერთიანობის საკითხის დაყენებაშიდის მიგვიყვანა. ალბანიის (კავკასიის ალბანიის) ისტორია, სომხეთის ისტორია, საქართველოს ისტორია, — ეს მხოლოდ ნაციონალური ისტორია კი არაა თითოეული დასახელებული ქვეყნისა, არამედ ისტორიაა მთელი კავკასიისა. იმავე დროს შეუძლებელია კავკასიის ისტორიის გაგება ცალკეული ნაციონალურ-ისტორიული ნაგებობის ფარგლებში (ახლა თურქული აზერბაიჯანის გამოუკლებლადაც), შეუძლებელია თითოეული ხალხის ნაციონალური ისტორიის გაშლა საერთო ისტორიული პროცესის ანგარიშის გაუწევლად. სხვანაირად ვერ ავცდებით ძირეულად რეალობის ფასის დამკარგველ დამახინჯებას. მიუხედავად ამისა ხშიერი მეტყველების უფრო ჩაღრმავებული პალეონტოლოგიური შესწავლის შედეგად ახლა ვაცით, რომ კავკასიის ერთიანი ისტორიული პროცესი სრულიად არ ნიშნავს, ენის თვალსაზრისითაც, მის მოწყვეტას მსოფლიო ისტორიიდან, იგი ათასეული ძაფებითაა დაკავშირებული ყველა ქვეყანასთან. ეს კავშირი ინტერნაციონალურია. მხედველობაში

გვაქვს არა იმპერიალისტური ხლართები, არამედ ისტორიულ ღირებულებათა შინაგანი საზოგადოებრივი ფაქტორები. მათ რიცხვში ენაც.

ჩვენს დროში, როცა ყველა მეცნიერებანი მასებისკენ მიიწევენ და რომელნიც ჩათრეულნი არიან სოციალისტურ მშენებლობაში ახალ სამეურნეო წყობის გასამაგრებლად, როცა თვით კვლევადიების საქმის ორგანიზაცია ცოდნის ოდნავ სასიცოცხლო დარგების მიმართ წარმოებას უახლოვდება, — ისტორია და ენათმეცნიერება უპატრონოა, თითქოს ცაში ჩამოკიდებულან, თითქოს ვერსად მოგვითავსებია, თითქოს ჩვენს ახალ სამეურნეო-საზოგადოებრივ მშენებლობაში არაა არც ერთი რენტაბელური წარმოება, რომელთანაც შესაძლებელი იყოს მათი ორგანული დაკავშირება, თუ გამოვრიცხავთ ისეთს სრულიად განყენებულ, რაღაც ფანტვად ზედნაშენ ღირებულებას თავისი მატერიალური ბუნებისა და მატერიალური მნიშვნელობის მხრივ, როგორიცაა კულტურა. რომ ცნების „კულტურა“ და „კულტურული“-ს მიმართ, კონკრეტულად დამტკიცების გარეშე, თუ რას წარმოადგენს იგი, ყველაფერი რიგზე არაა, რომ მის მიმართ, როგორც თავისთავადი არსებობისაკენ მიმსწრაფველისა საბუთიანად იჩინა თავი უნდობლობამ, — საკმარისია გადავხედოთ ჩვენს ფრაზეოლოგიას, — განათლების აზრით ჩვენ კიდევ ვხმარობთ ტერმინს „კულტურას“, მაგრამ, თითქოს როგორც საკონტრაბანდო მატერიას ამათუიშ სარეკომენდაციო სიტყვის დამატებით ან ამათუიშ დეკორაციული დანართით, მაგ.; სამეურნეო-კულტურული მშენებლობა, მატერიალური კულტურა, რუსული კულტურა და ა. შ. ძველთაგან შემკვიდრეობით გადმოცემული კულტურა, ცხადია, კაპიტალისტური კულტურა, ისე გაბიაბრუებულა, რომ დროა თვით კულტურის შესახებ ვიმსჯელოთ ისე, თითქოს იგი მოსახლეობისთვის სოციალურად საშიში ელემენტია, თითქოს იგი ისაა, რაც, თუ კულაკი არა, საშუალო გლეხი მაინც გლეხურ ყო-

ფა-ცხოვრებაში — მშრომელ ღარიბთა და მოჯამაგირეთა გვერ-
დით. ბუნებრივია, რომ ისტორია და ენათმეცნიერება ორგა-
ნულად არაა დაკავშირებული აქტუალურ ცხოვრებასთან და
ამიტომ მტკიცე, სიცოცხლით მსუნთქავი საყუდელის გარეშე
რჩებიან. ამავე დროს კი ძნელია წარმოდგენა ისეთი ეპოქის,
რომლის შედარება შესაძლებელი იყოს ჩვენს თვალწინ მიმდინ-
ნარე დროსთან იმ აქტუალობის მხრივ, როგორსაც წარმოად-
გენს ცხოვრებისთვის ენაც და ისტორიაც და ამასთან დაკავ-
შირებით სწორედ ცხოვრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი
ისტორიული და ენათმეცნიერული შტუდიები. რომ დიდი მო-
თხოვნილებაა ენის შემსწავლელი სპეციალისტების, — ამის შე-
სახებ ლაპარაკი ზედმეტია. საკმარისია მივუთითოთ, თუ ენების
რა რაოდენობა მოექცა პირველად და ახლაც ებმებიან სერიო-
ზული და არა სერიოზული სამეცნიერო კვლევის ორბიტაში.
საკმარისია მხედველობაში მივიღოთ, თუ ჩვენს უზარმაზარ საბ-
ჭოთა ქვეყანაში ყოველნაირი კულტურისადმი ყრუ, პირველ-
ყოფილ რომელ კუთხეებშია შეგნებული თავისი მშობლიური
მეტყველების დამოუკიდებელი შესწავლის აქამდის უნახავი მო-
თხოვნილება, თუნდაც იგი, და ხშირად სწორედ ასეა, უწერილო
იყოს, და როგორი უდაო, გულწრფელი ინტერესებით და გა-
ტაცებით მაინც აჩენს ახალ შინაგან სახეს, აქამდის არსად გა-
გონილი ენისას — ვინაჲ კლასიკური განათლების მქონე სპეცია-
ლისტები, რომელსაც წამოაყენებს ხოლმე გააფთრებული და ხმი-
ერი მეტყველების მეცნიერების მკვდარ წერილობით ენებზე ახლაც
დამყარების მომხრეთა გარემოც კი და იმავე დროს რა ამაფო-
თებელი ლეგენდაა, როცა ჩვენს გარშემო (სახლვარგარეთზე არ
ვლაპარაკობ) ლაპარაკობენ, თითქოს უფრო მეტი კომპეტენ-
ციის მქონე წრეებში, ვითომ დასაღუპი კაცობრიობის ზნეობა
ეცემა, ვითომ ჩვენში ინტერესი ქრება წერილობით ენებისადმი,
მკვდარი ენებისადმიც. ჯერ ერთი — აშკარა სიცრუეა რევო-
ლუციამდის კლასიკური განათლების ნამდვილი აყვავების არ-

სებობა ჩვენში. უკეთეს შემთხვევაში ეს იყო ერთი მუჭა იშვიათი ენტუზიასტებისა და მოყვარულთა კუთვნილება; მეორე მხრით, ინტერესი კლასიკური ენებისადმი და დასავლეთის და აღმოსავლეთის ენებისადმიც, მკვდარი და სავსებით მკვდარი ენებისადმიც, ახლა ახალგაზრდათა მასებშიც კი უფრო მეტადაა შემჩნეული; მაგრამ მათი შესწავლის დაყენებაში ორიენტირობის ნატამალიც არაა. თუნდაც მოსწავლეთა ახალი კადრების კულტურულ ინტერესებზე და მათ ახალ მსოფლმხედველობაზე. მათი შესწავლისას არაა ნამდვილი კავშირი კონკრეტულ სამყაროსთან. ეს კი რას ნიშნავს მეცნიერულად? ეს იმას ნიშნავს, რომ არაა მეთოდი. მეცნიერება დაუკავშირებელი ცხოვრებასთან მე-20 ე საუკუნეში — ეს ან პირფერული მტკიცებაა ან საშუალო საუკუნეთა გადანაშთია, მისი მონასტრებით. სოციალისტურად შენებულ ქვეყანაში ეკონომიკასთან და საზოგადოებრიობასთან დაუკავშირებელი მეცნიერება, — ესაა გზების არ მქონე მეცნიერება, უმეთოდო მეცნიერება. ჩვენ ახლა არ ვაძბობთ, თუ ვინაა, დამნაშავე სათანადო ენათმცოდნეობის დისციპლინების ყურმიუგდებლობაში, როცა ქვეყნის ყველა ობიექტური მონაცემები ენათა მასურ მოთხოვნილებისაკენ გვზრის, როგორც თვით მასების აზროვნების მოთხოვნილებანი, ისე შეგნების მოთხოვნილებანი, არა ერთეულების, არამედ მასების — ამასთან ნაირ-ნაირი მასების. ენას საერთოდ, როგორც საერთაშორისო ღირებულებას, და ჩვენი კავშირის ყველა ენას კერძოდ, უმეტესად, როგორც საერთაშორისო და ზოგჯერ მხოლოდ საკუთარი კულტურული მიღწევების მასებში. გამყვანს, ყველა მასებში, სწორედ, — ახლა, იდეალისტური გამოთქმით, თვალის ჩინივით უნდა მოვუაროთ.

მაგრამ საქმე მხოლოდ ტკბილი სიტყვები არაა ჩვენი სამეცნიერო ინტერესის მქონე საგნისადმი, არამედ უზარმაზარი მნიშვნელობის მატერიალურად არსებული ფაქტი, რომ მთელ ჩვენს ქვეყანაში ენათა უშველებელი წარმოებაა (არა ჭარბი

წარმოება, როგორც ზოგიერთსა ჰსურს, რომ ჩაგვაგონოს, არამედ, სწორედ წარმოება, კულტურულ ენათა წარმოება), რომლის არსებობის დროს, ან უფრო სწორედ, რომლის ორგანულ კავშირშია შესაძლებელი არსებობდეს თვით *raison d'être* ენათმეცნიერებისა; იმავე დროს ამ ისტორიულად მნიშვნელოვან და გასაოცარ წარმოებასთან, როგორც იშვიათ სამკვლევრო ლაბორატორიასთან, დაკავშირებაშია მისი აყვავების საწინდარი, უპირველესად ყოვლისა სასიცოცხლო სტიმული თვითკრიტიკის და გადასინჯვის, მკვდარი წერტილიდან დაძვრა იქ, სადაც ენის მეცნიერება, რომელიც ბრწყინვალე იზოლაციაში ყვავის, ძველი ენის მეცნიერება, რომელიც სამწუხაროდ ხშირად ისტორიულ ნაგებობათა წყაროდ ხდება, — საფუძვლიანად ჩაეფლა თავთხელში და ჯიუტად ჰსურს იქ ყოფნა.

ისტორიული მეცნიერებაც ზოგადი ნაგებობით აგრეთვე ძნელ სიტუაციას განიცდის, მაგრამ მას არ უფიქრია, და არც მოინდომებდა თავთხელში ყოფნას; იგი წარსულშიც მატერიალური სამყაროს გათვალისწინებით მუშავდებოდა, საზოგადოებრივი გარემოცვის უნებური გათვალისწინებით და წარმოშობის შესახებ არა ერთხელ დასმული ამოცანით, თუმცა მიგრაციების და გავლენების და ნასესხობის წრეს არ სცილდებოდა, როგორც ძირითადი ფაქტორების გენეტიკური პრობლემების დასმაში. მაგრამ წარსულში ისტორიულ მეცნიერებას აგრეთვე არ ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, უდაოდ მსოფლიო მნიშვნელობის, თავისი კომპეტენციის ცოდნათა წრის ლაბორატორია, როგორც ახლა ჩვენში, როცა რევოლუციურად შენდება ახალი სოციალისტური მეურნეობა, ახალი სოციალისტური საზოგადოებრიობა, ახალი სოციალისტური ყოფაცხოვრება, როცა მუშაობა მიმდინარეობს ცხოვრებისა და საერთო წყობის შესაცვლელად, სამეურნეო ცხოვრებისაც, სოციალისტურისაც და ყოფაცხოვრებისაც ნაციათაშორისო მიმართულებით, არა გადაღმა, არამედ თვით კავშირის საზღვრებში.

კიდევ საკიანხი, რა უნდა უსწრებდეს, როგორც კაცობრიობის განვითარების ეტაპი, მსოფლიო რევოლუცია, თუ... თუ უფრო ადრე, მიუხედავად მტრულ გარემოცვათა შემოტევისა, ჩაღრმავებული ორგანიზული გამაგრება უკვე მომხდარი რევოლუციისა; რევოლუციის, რომელიც ერთმა კლასმა მოახდინა; არა ერთი ერის კლასმა, არამედ მრავალ ხალხთა გაერთინებისამ, მეტადრე როცა ეს გამაგრება უკვე მიმდინარეობს, უკვე გზაზე მყოფი ფაქტია; ამ ისტორიული შემოქმედების ლაშქრობაში იგი მივიდა კულტურული რევოლუციის კონკრეტულ საკითხის დაყენებამდის, იმ დაკვრითი ამოცანის დაყენებამდის, რომელიც ახალ სამეურნეო მშენებლობასთანაა დაკავშირებული. ეს ხომ ახალ ისტორიულ, და მასთან ზოგად საკაცობრიო მოსახმარ ღირებულებათა ის წარმოებაა, რომლის შესახებაც ან უფრო სწორედ, რომელთანაც დაკავშირებით იაზრება, როგორც ახლანდელი გამოცოცხლება, ისე ისტორიული დისციპლინების მომდევნო ბედი მარქსისტული მოძღვრების ხლართვბში. და ეს განვითარება იაზრება უფროდაუფრო გენეტიკური საკითხების ჩაღრმავების მიმართულებით, ისტორიული პროცესის შესწავლის, ან თვით ისტორიულ ღირებულებათა აღმოცენების პროცესების მიმართულებით, რომლიდანაც, რასაკვირველია, არ შეიძლება გამორიცხვა ხშიერი მეტყველებისაც. მაგრამ განა შესაძლებელია, რომ მსოფლიო მნიშვნელობის ამ ისტორიულ ღირებულებათა წარმოებასთან, ისტორიულ მეცნიერებათა ამ შეუდარებელი მდიდრულად მოწყობილ ლაბორატორიასთან უშუალოდ დაკავშირებული მუშაობა არ მოითხოვდეს და უკვე არ ითხოვდეს შესწორებებს, ან თეორეტიულ ნაგებობათა განმტკიცებას ან მატერიალურ დასაბუთებას?

ჩვენ არ დავიწყებთ ცილობას სიტყვების შესახებ, მოუხდებათ თუ არა იმ ისტორიკოსებს, რომლებიც ძლიერ ახლოს დგანან თანამედროვე ცხოვრებასთან, დგანან ხშირად მის შემქმნელთა რიგებში, — ისტორიკოს მარქსისტებს, — ისტორიულ

წაგებობათა გადასინჯვა ან ისტორიულ დებულებათა გამტკიცება სპერთოდ. მაგრამ იმ დებულებების გადასინჯვა კი, რომელნიც ენათმეცნიერულ მონაცემთა მიხედვით საკმაოდ დასაბუთებულადაა მიჩნეული, საჭიროა გადასინჯვა, ვფიქრობ, საჭიროა ის გადასინჯვა, რომლის შესახებ ენის ახალი მოძღვრება, ე. წ. იაფეტური თეორია, ნიშანს იძლევა.

ისტორიკოსი—მარქსისტი ენის მიხედვით თვისი დებულების მატერიალური ნაწილის დასაბუთებაში, ბუნებრივად, ინდო-ევროპეისტიკის ხელქვეით იყო. არც დრო მიწყობს ხელს და არც ადგილი, რომ ინდოევროპული ლინგვისტიკის ნამდვილ ისტორიულ დამსახურების საკითხზედაც შეეჩერდე და იმაზედაც, თუ საზოგადოდ რითაა დავალდებული ისტორიული მეცნიერება, არა მარქსისტთა ნამუშევრით, სამწუხაროდ, ძლიერ დავალდებულია ამ თითქოს ე. წ. მოძღვრებისაგან ნამდვილად კი ენის მეცნიერების ფილოლოგიად შენაცვლებისაგან. იმავე დროს არავინ დაობს, რომ ინდო-ევროპულ ლინგვისტიკურ ლიტერატურაში მშვენიერი აზრების ოქროს კვიშრობის მოკლება შეიძლება, განსაკუთრებით ენის ზოგადი მოძღვრების შესახებ საუცხოვოდ გამოთქმული განყენებული დებულებების. აღნიშნული ემჩნევა ინდო-ევროპული ლინგვისტიკის განვითარების ყველა, თუმცა არა მრავალ, ეტაპზე არა მხოლოდ მის მუშაკებს—დისიდენტებს, რომელნიც შეუგნებლად, თითქოს სტიქიურად ამქლავნებენ იაფეტიდოლოგიურ განხრას, არამედ ენის ძველი მოძღვრების ორტოდოქსალური სკოლის უმკაცრეს წარმომადგენლებსაც.

ინდო-ევროპული ლინგვისტიკის იმგვარ განსაკუთრებით მსხვილ დისიდენტებს კი, როგორცაა ამას წინათ გარდაცვლილი Hugo Schuchardt, აქეთ ისეთი გამოთქმები ენის ზოგადი მოძღვრების შესახებ, რომ თითქოს იგივეობამდის თანხედენილნია იაფეტიდოლოგიის ზოგიერთ დებულებებთან. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს არა ის, თუ რას ამბობენ, ან უფრო სწო-

რედ, თითქოს ამბობენ, თუნდაც დისიდენტი — ინდოევროპეისტები, არამედ ის, თუ რას აკეთებენ ისინი, რას განიცდიან ენათმეცნიერული ფაქტები, თვით მასალები მათი კონკრეტული კვლევა-ძიების მიხედვით. თუ ყოფით განისაზღვრება შეგნება, მაშ წარმოებით განისაზღვრება იდეოლოგია. ამ აზრით გაცილებით კარგად არა აქვს საქმე ნუარესაც. აქ, მართალია, მხოლოდ სიტყვიერი თანხვედნილობა არაა. ნუარეს სახით ჩვენ მართლაც თანამოაზრეებს ვხედავთ, მაგრამ, როცა საქმე მივარდება ჩვენი საერთო დებულებების გამოყენებაზე კონკრეტულ ენათმეცნიერულ მასალასა და დასკვნებზე, მაშინ.... ნუარეც აგრეთვე ინდოევროპეისტიკის ფაქტიურ ხელქვეითობაშია¹⁾ ჩვენთვის კი, თანამედროვე ლინგვისტებისათვის, — მინდოდა მეთქვა; საბჭოთა ლინგვისტებისთვის, — ზოგადი დებულებები მნიშვნელოვანია არა როგორც განყენებულება, არამედ, როგორც ფაქტებიდან ორგანულად გამომდინარე მათ ცვალებად სოციალურ ურთიერთობაში არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც, ვინაიდან ყოველი ენობრივი მოვლენა უპირველესად ყოველისა ისტორიული ღირებულებათა, ე. ი. ისტორიული პროცესის პროდუქტი. ჩვენი ინტერესი ფაქტებისადმი სტატიკის დამყარებით არა თავდება, ფაქტი — ხილული ჩვენთვის ფაქტ-რეალობად ხდება მხოლოდ მეტყველების განვითარების ისტორიულ პროცესში მისი დინამიკური როლის გამორკვევის შემდეგ. და თითოეული დამახინჯებული მსჯელობა თვით ენობრივი მასალის შესახებ, ე. წ. ფაქტების კატასტროფით ემუქრება არა მხოლოდ ენის მოძღვრებას, არამედ მთელი ისტორიული პროცესის ანალიზს, სადაც ენა მხოლოდ ერთ-ერთი იმ შემავალ ელემენტთაგანია, რომელთა ანგარიშგაუწვევლად ისტორიული პროცესის ანალიზი და, მაშასადამე, ისტორიულ ნაგებობათა აშენება ყოველთვის ღიაა და უმწეო ყოველგვარი განსაცდელის

¹⁾ იხ. ნ. მაროი. Яфетическая теория (Баку 1928), გვ. 77 § 29.

წინაშე; ზოგიერთი ეპოქის მიმართ კი სრულიად გამორიცხება კიდევ, ვინაიდან ენა არა მხოლოდ ისტორიული პროცესის უბრალოდ ერთერთი ელემენტთაგანია, არამედ იგი ერთადერთია თავისი სიგნალიზაციის გამომჟღავნებით, მწერლობისაგან სავსებით დამოუკიდებლად, რომელიც ხშირად სრულიად არა ჩანს.

უბედურება ხომ ისაა, რომ ეს საშიშროება, რომლის შესახებ ვლაპარაკობთ, გულისხმობს არა მარტო მომავალ კვლევადიებას, არამედ წარსულის მიღწევებსაც. ეგ მიღწევები თითქოს საუკეთესოა ერთი შეხედვით. არა მხოლოდ მოსაჩვენარია, არამედ სწორედ კატასტროფულია, მეცნიერულად კატასტროფული.

თითქოს იმაზე უკეთესად რაა შესწავლილი, ვიდრე ბერძნების და რომაელების კლასიკური ისტორია? მაგრამ უყურეთ, რა უფსკრულია ამ ორ ხალხს შორის, რომელთა შესახებ კლასიკების დახმარების მიზნით ინდოევროპეისტები გვასწავლიდენ, რომ ისინი ძმებია, ჩამომავალნი საერთო წინაპრებიდან, რომელთაც ერთი ენა ჰქონდათ მაშინ. ვშიშობ, რომ ჩემი მსმენელების საგრძნობი ნაწილი, რასაკვირველია, არა თავისი დანაშაულით, დღემდისაც კი ამ მეცნიერულად სისტემატიზირებულ გზაჯინეულობაშია, გრძნეულთა ცდუნების ქსელებში კი არა, რამდენადაც კაცობრიობა თითქოს დიდხანია გამოვიდა მისნობის ხელქვეითობიდან, არამედ მრავალთათვის საზოგადოებრივ მომხიბლავ ნაგებობათა მიზიდულობის გამო. არის თუ არა ერთი ადამიანი მაინც სერიოზულ მეცნიერთა წრიდან, რომელმაც მიაქცია რა ყურადღება ფაქტებს, რომელნიც ბერძენთა და რომაელთა დაახლოების საკითხის თავზე ძალად მოხვევასთან აღმაშფოთებელ წინააღმდეგობაშია, — სერიოზულად გაუწია მათ ანგარიში და სათანადო დასკვნები გააკეთა?

ვინ იყო ისეთი მათში, რომელმაც იცოდა რა ორთავე ენა, ბერძნული და ლათინური, და იყო რა ძველი კლასიკური ქვე-

ყნის, ბერძნებისა და რომაელების, ისტორიკოსი, თავის თავს შეეკითხა, თუ რად არის ეს ასე. ხალხი ბერძნულად εἶνος²⁾ რომაულად populus³⁾, ხელი — ბერძნულად χεῖρ⁴⁾, რომაულად manus, 'წყალი' — ბერძნულად ὕδωρ, რომაულად: aqua: 'ზღვა' ბერძნულად θάλασσα⁵⁾, რომაულად mare; ცეცხლიც'კი — ბერძნულად πῦρ, რომაულად ignis, 'პური' ბერძნულად ἀρτοποιία⁶⁾, რომაულად panis; 'სახლი' — ბერძნულად οἶκος, რომაულად domus⁷⁾; 'კაცი' და 'ქმარი' — ბერძნულად ἀνθρωπος და ἀνήρ, რომაულად homo და vir⁸⁾ ანუ mas 'ქალი' — ბერძნულად γυνή⁹⁾ რომაულად femina; 'ძმა' და 'და' — ბერძნულად ἀδελφός = ძმა, ἀδελφή = და რომაულად frater და soror¹⁰⁾

2) Б. მარტი. „Карфаген в Риме, fas и jus (Сообщ. гамк, III г. 385.

3) Ibid გვ. 383.

4) Б. მარტი. Чуваши-Яфетиды (Чебоксары, 1925 г.) გვ. 31, მისივე „Иштарь“ яс. V) გ. 77.

5) Б. მარტი: Лингвистические намечаемые эпохи развития человечества и их увязка с историей материальной культуры (сообщ. гамк) გვ. 59; მისივე первый средиземноморский дом и его яфетические названия (ИАН), 1925 წ. გვ. 229.

6) Б. მარტი Скифский язык (ИЭРЯТ) გვ. 370; მისივე Карфаген и Рим, გვ. 381.

7) Б. მარტი—Яфетические переживания в классических языках и „вера“ в семантическом кругу „неба“ (ДАН, 1929 г.) გვ. 29 მისივე—Первый средиземноморский дом и его яфетические названия, გვ. 230.

8) Б. მარტი—Русское „человек“, абхазск.—WZ (ДАН—1926), გვ. 81 და შემდეგ.

9) Б. მარტი Лингвистические намечаемые эпохи развития человечества... გვ. 46—47. შდ. მისივე—Иберо-этрusco итальянская скрещенная племенная среда образования индоевропейских языков (ДАН 1925) გვ. 10.

10) Н. Марр. Яфетическая история (М. 1925) გვ. 36., стд. олт. ИЭРЯТ, გვ. 271. შდ. Иберо-этрusco итальянская племенная среда (ДАН—1925) გვ. 10.

მთა' — ბერძნულად *ῥῆς*, რომაულად *mons*¹¹⁾; 'ცა' — ბერძნულად *ἠὲρανος*¹²⁾, რომაულად *coelum*; 'ზღვის ღმერთი', 'წყლების ღმერთი' — ბერძნულად *Ποσειδών*¹³⁾, რომაულად *neptun*¹⁴⁾ და სხვ. და სხვ. ასეთი მაგალითები შეიძლება მრავალი დავასახელოთ. იგინი არა მარტო ჟღერობით განსხვავდებიან სიტყვათა მატერიალური ნაწილით, არამედ ტექნიკითაც, აგების იდეოლოგიით, სისტემით, ე. ი. განსხვავდებიან იმით, რაც ინდო-ევროპეისტების მიერ განსაკუთრებულ „ოჯახზე“ მიკუთვნებითაა განსაზღვრული.

როცა საქმე ხელოვნებას ეხება, კერძოდ ხუროთმოძღვრებას, მატერიალური კულტურის ისტორიკოსები, რომელთაც ამ მხრივ მხატვრული მიღწევები აქვთ, ასეთუისე კარგად ამჩნევენ რომაელებისა და ელინების მყვირალა განშორებას, რომაული ხელოვნების, აგრეთვე არქიტექტურის, თავისებურობის მიზეზების მიკვლევასაც კი ცდილობენ. აქ, რასაკვირველია, თავში აზრათაც არავის მოუვა უარყოს რომ ელინური ხელოვნება თვით ელინების პირშობა, როგორც რომაული არქიტექტურა რომაული ცხოვრების ქმნილებაა და არა თვითშობილი რამ, რომელიც ყვავილივითაა გაშლილი მთელი თავისი მშვენიერე-

11) Б. მარრი—Из яфетических переживаний в русском языке; I. МЯЧ (ДАН—1921) გვ. 65. შდ. მისივე—Краеведение (Лен.—1925).

12) Б. მარრი—Из яфетических переживаний в русск. яз. I. МЯЧ. გვ. 65. Орудивный и исходный падежи в кабардинском в абхазском (ДАН—1928) გვ. 224; Готтентоты средиземноморцы (ДАН—1927) გვ. 413.

13) Б. მარრი Яфетиды (ПЭРЯТ) გვ. 120; „Смерть“—„преиспорная“ в месопотамско-эгейском мире (ДАН—1924) გვ. 13; Происхождение терминов „Книга“ и „Письмо“ в освещений яфет. теории, сборник „Книга о книге“. (Изд. иностр. книговедения, Лен. 1927) გვ. 71; La seine, la saône, Jutèce et les premiers habitants de la gaule Etrusques et Pelasges (1922), გვ. 18.

14) Б. მარრი—Лингвистическ. намечаемые эпохи გვ. 60 და შდ.

ბით წინაპრის კვირტიდან. მაგრამ ენის მიმართ კი ყველაფერი ძირეულად იცვლება; როცა მშვენივრად იციან ფაქტები, უკეთეს შემთხვევაში ცალკეული ტერმინების თავგადასავლის განმარტებას იწყებენ, ზოგჯერ ფორმალურად მათს დაკავშირებასაც არ გაურბიან თანაბგერობით, რომის მიწაწყლის წინამავალ მოსახლეობის მეტყველებასთან; ასე, ზოგიერთი უარს არ იტყვის მოიგონოს Neptun-ის შესახებ, რომ ჯერ კიდევ რომაელებამდის ეტრუსკები მას nedunsi¹⁵)-ს უწოდებდნენ, მაგრამ ეს ხომ თვით სიტყვის ისტორიაც კი არაა, არამედ ანეგდოტი. თუმცა, ლინგვისტი — ინდოევროპეისტი ამ ანეგდოტსაც ყურადღებას არ აქცევს, იგი აქამდე ფიქრობს, რომ ინდოევროპული ლინგვისტური სამყარო საბედნიეროდ იზოლირებულია დანარჩენ „ოჯახთაგან“ და სათანადოდ აგებს რა შეთხზულ ფონეტიკურ ისტორიას მხოლოდ ერთი ინდოევროპული მასალის მიხედვით. დაკავშირებით ლათინურისა ერანულთან და სანსკრიტთან, — დამშვიდებით ხელს იღებს აქ თავის კვლევაზე; ბუნებრივია, რომ რაკი მას შემდგომი კვლევისათვის არავითარი სტიმული არ გააჩნია და თვით მკვლევარის იმ ფორმალური მეთოდით, რომელიც არც ერთ სასიცოცხლო მოკლენასთან არაა დაკავშირებული, ყველა გზა აქვს მოკრილი ნაცოფიერი კვლევისათვის, — ხომ არ შეიძლება თუ არ მისტიკური ჩანერგის გზით, მეცნიერ ადამიანს ჩაესახოს თავში, რა სიბრძნის მქონეც არ უნდა იყოს იგი, რომ Neptun მართლაც აერთიანებს რომაელებს ბერძნებთან კი არა, არც ეტრუსკებთან სავსებით, არამედ რომაელთა თანამედროვე წინაპართან“, ხმელთაშუაზღვეთის გადაღმა მოსახლეობასთან, რომლის მეტყველება ჩარჩენილია ახლა ჩრდილო-აფრიკის მეკომურთა — ბერბერების ენაში! მაგრამ ამისათვის საჭიროა ცოდ-

15) ნ. მარტი — Лингвистически намечаемые эпохи развития человечества..... (Сообщения Гаимк. I) გვ. 60.

ნა იმისი, რომ აღნიშნულ ტერმინებში რომაელთა თითქოს
 ძირეული განშორება არა მარტო ბერძნებისაგან, არამედ წინა-
 მავალ ეტრუსკებისაგანაც ფორმალური ბგერითი ცვალებადო-
 ბათა პროდუქტი კი არაა, არამედ პროდუქტია რომაელებისა
 და ეტრუსკების სოციალური წყობილების განსხვავებისა, უფრო
 მეტიც, რომაელების და ბერძნების სოციალური განსხვავებისა,
 ან როგორც ჩვეულებრივ მიღებულია, „ტომობრივი“ შემადგენ-
 ლობისა. სწორედ ახლა მომაგონდა სრულიად საკავშირო სა-
 მეურნეო აკადემიის კიპს-ი ე. ი. სსსრკ-ის მოსახლეობის ტომობ-
 რივი შემადგენლობის შემსწავლელი კომისია, სადაც კავკასურ
 განყოფილებას ვხელმძღვანელობ და ამიტომ ვაყენებ საკითხს:
 უკეთესი არ იქნებოდა ამ კომისიას სახელი გამოუცვალოთ და
 უწოდოთ კისს-ი, ე. ი. „სსსრკ-ს მოსახლეობის სოციალური შე-
 მადგენლობის შემსწავლელი კომისია“? ბერძნულ ტერმინში „პო-
 სეიდონი“¹⁶⁾, უფრო აშკარად მის უძველეს ფორმაში Posseydaon
 ანუ Poteydaon შეუღვლებების განსაკუთრებით რთული გამოძეღა-
 ვნებაა, ე. ი. სიტყვაში გვაქვს, ისტორიული პროცესის უდი-
 დესი დაჭიმვის დანალექი, რომელიც სათანადო სოციალურმა
 დაჯგუფებებმა განიცადეს, ტომებმაც ხალხმაც — შემადგენლო-
 ბით მეტად რთული ბერძნული ნაციის შექმნის გზაზე; უკანასკ-
 ნელი თავის აღმოცენებით აუცილებელი შედეგია სოციალურ-
 ეკონომიური პირობების, უკვე არა პირველყოფილი ტომების სა-
 სამეურნეო-პოლიტიკური შეერთების, არა უბრალოდ ტომების,
 არამედ მთლიანი ისტორიული ხალხების, რომელნიც აგრეთვე
 შეუღვლებების ხლართებში აღმოცენდნენ. ტერმინი Posseydaon
 ბერძნების მიერ ჩვენამდის მოტანილი „ზღვის ღმერთის“ მნიშვნე-
 ლობით, თავდაპირველად ერთსა და იმავე დროს „ზღვის“ წყლის
 'მდინარის' და სხვ. აღმნიშვნელი, წარმოადგენს უკვე მზაშე-
 უღვლებული, ორი სიტყვის შეერთებას: Posey, თავდაპირვე-

16) იხ. შენიშვნა 13.

ლად — po-ser, ანუ poter, 'წყალი', და da on იგივე 'წყალი'; არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ მათ შემადგენლობაში შემავალი პირველადი სიტყვები ე. ი. ელემენტები, po, ser, —→ ter' da ← dal-დან, resp. dar და on, resp don — აგრეთვე 'წყალს' ნიშნავდენ¹⁷⁾ რასაკვირველია, შემადგენლობით უფრო მარტივი ფორმაციის მქონე სათანადოდ კონსტრუირებულ ხალხში, თითოეული ეს სიტყვა საბუთდება ახლახან წარმოდგენილი განმარტების სასარგებლოდ კონკრეტული სიტყვებით, რომელნიც რელიქტების სახით ცოცხალ მეტყველებაშია, აგრეთვე მკვდარ წერლობით ენებში, გადანაშთების სახით ტოპონიმიკაშიც, უპირველესად ყოვლისა მდინარეთა სახელწოდებებში მთელ აფრეგრაზიაში.

ჩვეულებრივი ბერძნული საზოგადო სახელი ἰδρυα 'წყალი', ორი ელემენტისაგან შემდგარი სახელია, როგორც ლათ. su-dor-ის 'ოფლი' — ნაირსახეობა, პირველად მხოლოდ 'წყალი'; მას თვით ბერძნულში აქვს ფორმალური ნაირსახეობა, შემადგენლობით იმავე სოციალური რიგისა hu-dar hu-dal-ზედსართავში ἰδρυα-ης, აგრეთვე ἰδρυα-ας და ἰδρυα-ε-ας, რომელიც ერთნაირად 'წყლიანს, ნიშნავენ, ამასთან აგრეთვე უარყოფით ფორმაში ἰδρυα-ου-ας 'წყალი' და მთელ რიგ ნაწარმოებ სიტყვებში, როგორც მაგ. ბერძნულშივე ἰδρυα 'კოკა', 'ჩაფი' სახელდობრ 'წყლის ქურქელი' და სხვა.


მაგრამ ნათესაობით ბრუნვის ἰδρυα-ის-ში იგივე ბერძნული სიტყვა ἰδρυα უკვე სამი ელემენტის შეუღვლებას წარმოადგენს hu-da-t არქეტიპში hu-da-tan ან hu-da-ton რომელიც უფრო რთული დაჯგუფების მიერ შეტანილი წვლილია, ამასთან დანამატი tan//ton უკვე საერთოა ლათ. Nep-tun (აქ მისი ბოლო ნაწილი) და ეტრუს. Ne-tun-si სათვის (აქ მისი შუა

¹⁷⁾ ნ. მარი Лингвистический намечаемый эпохи развития человечества (Сообщ. Гаизм), 83. 61.

ნაწილი). თვით პოსეიდონის სახელწოდებაში არის ე. წ. დორიული ნაირსახეობა Ποσειδᾶν და იგი არა მხოლოდ პოსეიდონის ფონეტიკური ნაირსახეობაა, სახელდობრ Ποσειδᾶν-ისა, Ποσειδᾶν ისა, არამედ სოციალური, რამდენადაც მასშია წვლილი სოციალურ დაჯგუფებათა მცირე რიცხვის შეუღლებიდან აღმოცენებული ხალხისა, სულ სამისა Po-tey-dan, პირველი ნაწილი (Po) საერთოა Ποσειδᾶν-სა და Ποσειδᾶν-ს შორის, აგრეთვე Ποσειδᾶν ის ე. ი. potey//posey, არქეტიპში poter//poser შეკვეცილი ფორმით შედის, როგორც ბერძ. სახელის ფუძეში, Ποταμῶν ὄσ' 'მდინარე', აგრეთვე ზმნის πίνω-ს 'ვსვამ' ნაირფორმებში, რომლებიც მისგან წარმოებულად გვეჩვენება, როგორცაა Πίνω-ας 'სასპელი', πίνω-ις 'სასმელი', πίνω-ος-bibendus და სხვ.

ამგვარად სრული ოთხელემენტიანი ტერმინი ზღვის ღმერთის სახელში Ποσειδᾶν ან Ποσειδᾶν საბუთდება მხოლოდ ერთში, სოციალურ, ვთქვათ, ატიკურ ენაში იონურ Ποσειδᾶν-ის გვერდით; მაგრამ მიუხედავად ამისა, საქმე მთელ ბერძენ ხალხის ამათუიმ ტერიტორიალურ-ეთნიურ დაჯგუფებაში კი არაა მისი მოსაჩვენარი საერთო ენით, არამედ მხოლოდ მის განსაზღვრულ სოციალურ ფენაში და უკვე კლასობრივად აგებული ბერძენი ხალხის ეს სოციალური ფენა არა მხოლოდ არქიტექტურაში და ქანდაკებში იყო უმაღლეს ღირებულებათა შემოქმედი, არამედ მათთან ორგანულად დაკავშირებით, მხატვრული მინალწევებით, მეტყველებაშიც; აქ შექმნა მან ზედნაშენი სამყაროს ცნებები და ტერმინები, არა უბრალოდ აღქმა წყლის-მასნობის, ან წყლის-საკულტო საგნის, არამედ სტიქიიდან განყენებული წყალთა ღვთაება, სპეციალურადაც კი 'ზღვის ღმერთი' უკვე დიფერენცირებული 'ციურიდან' და 'მიწიერიდან' 18).

18) ნ. მარრი — Лингвистически намечаемая эпоха развития человеческого и их увязка с историей материальной культуры (Сообщ. Гаимк I) გვ. 62.



ამ უდაოდ სტადიური განვითარების არსებითი მნიშვნე-
ბა იმაშია, რომ მასთან ერთად მკლავნდება ახალი საფეხური
არა მხოლოდ სიტყვის ხმარების ევოლუციაში, თუნდაც მისი
გამოყენებით მეურნეობის განვითარების პროცესში ერთი მა-
ტერიალური საგნის მეორით შეცვლის მიხედვით, არამედ
იმაში, რომ იგი მოწმობს თვით აზროვნების ცვალებადობის
დამოკიდებობით 'დაჭიმულ-რთულ' სოციალურ ურთიერთობისა-
გან (ცხადია, აგრეთვე სამეურნეო ცხოვრების და ეკონომიკის
მხედველობაში მიღების შედეგად); თუმცა არა უბრალო მატე-
რიალური რიგის ერთი საგნის მეორეთი შენაცვლებით, როცა
ტექნიკა მხოლოდ უმჯობესდება, არამედ ისეთი საერთო მო-
ხმარების საგნის გამოჩენით, როცა თვით წარმოების ტექნიკა
ძირეულად იცვლება; როცა ახალი ტექნიკა სხვანაირ სოცია-
ლურ წყობილებას ითხოვს და სათანადოდ „დაჭიმული —
რთული ურთიერთობანი“ დიალექტიკურადაა წყდება სოციალ-
ურ დაჯგუფებათა ბრძოლაში, მათ რიცხვში კლასისაც, რო-
მელიც უმეტესადაა შეგუებული მომხდარ ტექნიკურ-მატერია-
ლური გარემოსთვის ანგარიშის გაწევასთან. სხვა სიტყვებით რომ
ვთქვათ, კაცობრიობა ამ ძვრაში მოვალეა არა ამათუიმ ხალხის,
არა ამათუიმ ეთნოსის ან ტომის, არამედ კლასის, სახელდობრ,
დამოკედებით წარმოებისაგან საზოგადოების კლასობრივ დი-
ფერენციაციის; ამასთან ძვრა დაჭიმული ურთიერთობის ძა-
ლით და თვისობრიობით, წყდება, არა დიფერენცირებულ სო-
ციალურ დაჯგუფებათა რიცხვით, არამედ მათ წინააღმდეგო-
ბათა შეხვედრით და ამასთან დაკავშირებით, არის ოთხი, სამი
და თუ თუნდაც ორი დაჯგუფება; — ყველა ეს საგნის არსებო-
ბას არა ცვლის, სცვლის მხოლოდ მოდალობას. ასე როცა თვით
ბერძნულ სამყაროში ცნებისათვის 'ზღვის ღმერთი' ან 'წყალთა
ღვთაება' გვაქვს ოთხელემენტიანი Πονεῖμῆας ან Ποσειδῆας სამ-
ელემენტიანი Ποσειδῆα-თან ერთად, — ჰქონდა, თუ არა მათ
მიერ დამოწმებულ შემტან ხალხს ბერძნულ მეტყველებაში,
კლასურ მეტყველებაში, ერთს შემთხვევაში ოთხი სოციალური

დაჯგუფების ენობრივი მასალა, როგორცაა $\Pi\sigma + \tau\epsilon\iota - \delta\acute{\alpha} + \alpha\gamma$ -ში
თუ სამელემენტიანი $\Pi\sigma + \tau\epsilon\iota - \delta\acute{\alpha}\gamma$? აღნიშნული, რასაკვირველია,
სულ ერთი არაა ისტორიული პროცესის საანალიზოდ, ისევე,
როგორც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ისტორიისათვის მხედ-
ველობაში მიღება იმ რეალურ სოც.-ეკონომიური ფაქტისა,
რომელსაც ანიშნებს ლინგვისტურად დადგენილი ფორმალური
განვითარების ისტორია $\Pi\sigma + \tau\epsilon\iota - \delta\acute{\alpha}\gamma$ -ისა იმით, რომ ეს ტერმინი
უშუალოდ ოთხი ელემენტიდან კი არაა შემდგარი, არამედ
ორიდან; ეს ორი ელემენტი ხმარებაში იყო უკვე ორელემენ-
ტიან დამოუკიდებელ სიტყვაში; მაგრამ ყველა ამით არ იცვ-
ლება იდეოლოგიური მიღწევის არსება: ზედნაშენი რიგის
ტერმინის აღმოცენება თვით აზროვნების სათანადო ცვლილების
წინ წამძღვარებით. მაგრამ სად? მთელ ხალხში? არა, თავდა-
პირველად მხოლოდ გაბატონებულ კლასში. ასე უნდა მივუდ-
გეთ ლათინურ ტერმინს Neptun-საც ეტრუსკულ Neθ'unsl-საც.
ორივე ერთნაირად სამი ელემენტისაგან შედგება, და არა ოთხი
დან, როგორც $\Pi\sigma + \tau\epsilon\iota - \delta\acute{\alpha}\gamma$ ან $\Pi\sigma + \tau\epsilon\iota - \delta\acute{\alpha}\gamma$, მაგრამ მიუხედავად ამისა,
ნიშნავდენ რა მართლაც ზღვის ღმერთს, 'წყალთა ღმერთს',
Neptun-ი და Neθ'unsl-ი მიუწოდომელი სიმალლიდან დახედვით,
სახელდობრ, საბერძნეთ-რომის საერთაშორისო სამყაროში მა-
თი გააზრების საერთო ხმარების თვალხედვით, — თითქოს
არაფრით განსხვავდებიან ბერძნულ ეკვივალენტისაგან; მაგრამ
თუ ეს ნიშანდობლივ ასე არ იყო მშობლური სოციალური გა-
რემოს ზონაში მხარეთმცოდნეობის მხრივ ყოფა-ცხოვრებაში
მათი გამოყენებისას, ისინი მაინც ამოწმებენ $\Pi\sigma + \tau\epsilon\iota - \delta\acute{\alpha}\gamma$ თან ერ-
თად სტადიური განვითარების ახალ საფეხურს, მათი შემქმნე-
ლი საზოგადოებრიობის მიერ წარმოდგენის ან სახის ზედნაშე-
ნურ, განყენებულ აღქმას, სახელდობრ, გაპიროვნებულ წყალთა
ღვთაების აღქმას, მიუხედავად მისი (წყალთა ღვთაების) გადა-
ნაშთებისა მითებში და 'წყლის' მატერიალური ბუნების და
მასთან (წყალთან) დაკავშირებულ, როგორც ჩვეულებრივ გამ-

ბობთ ხოლმე, მითოლოგიური, პირველყოფილი აზროვნების მიხედვით კი არსებების, როგორცაა — 'ცხენების' ატრიბუტებში.

მაგრამ მონათესავენი არიან თუ არა ლათ. Neptun — და ეტრუსკ. Neþunsi, მიუხედავად მათი აშკარა თანაბგერობისა, იმდენად, რომ ვამტკიცოთ რომაელების მიერ მათი სამშობლო მხარის წინამავალი მოსახლეობიდან თავისი ტერმინის შემკვიდრეობით მიღება, ეტრუსკებიდან, რომ არა ვთქვათ რა შებრუნებული მოვლენების შესახებ? რასაკვირველია, არა. ლათინური და ეტრუსკული ტერმინები ელემენტების შემადგენლობითაც განსხვავდებიან და ამ ელემენტების დალაგების რიგითაც, ე. ი. ისინი ისტორიულად სხვადასხვა სოციალურ დაჯგუფებათა პირმშონი არიან, თუმცა საერთო ელემენტებსაც შეიცავენ, რაც შუქსა ჰყენს წინა ისტორიას.

ლათ. Neptun და ეტრუსკ. Neþunsi ერთნაირად სამ-სამი ელემენტისაგან შედგებიან, ამასთან ლათინურის მესამე ელემენტს tun-ს ეტრუსკულში მეორე ადგილი უკავია si — ბგერთი კომპლექსის შეზრდის გამო, რომელიც (s) ეტრუსკულში რედუქცია ელემენტის sal (ნიშნავს 'წყალს'). ამ ელემენტით წარმოდგენილი სოციალური ფენა ამჟღავნებს იმ დიდ მნიშვნელობას, ეთნოგენიაში რომ აქვს ინდოევროპელებთან შედარებით ჯერ კიდევ წინაისტორიულ მოსახლეობას იტალიაში და საბერძნეთშიც კი და სადაც იგი შეინახა ნაირსახეობით ოგ-ს-ზღვის მნიშვნელობით, ლათინურში კი მისი ნაირსახეობის მთელი რიგი, sal, sor, sei და სხვ. არა მხოლოდ 'მარილის მნიშვნელობით როგორ ინდიევროპეისტებს ჰგონიათ, არამედ 'წყლის' და მისი უახლოესი დერივატების მნიშვნელობით. მაგრამ მიუხედავად ამისა იგი არა ჩანს ლათინურ შეუღვლებულ ტერმინში Neptun იმ დროს, როცა Neþunsi თავისი ბოლოკიდურ si-ში გვიან ნამატს წარმოადგენს შედარებით Neptun-თან; ასე მაგალითად, ბოლოკიდური ნაწილი tun, თუმც

ეტრუსკულთან წსაერთო დამოუკიდებელი ელემენტი, განსაზღვრული სოციალური ფენის მაჩვენებელი, მაგრამ ლათინურ ტერმინში (Neptun) იგი გვიანი ნამატია, ასე, რომ როგორც ლათინურ და ბერძნულ 'ზღვის ღმერთის' ან 'წყალთა ღმერთის' სახელწოდების შემადგენლობაში შესული ისტორიულად ჩამოყალიბებული პირველადი შეუღლებული შენაქმნი, ეს ne-p ერთის მხრით, რომაულ და ne-მუნ მეორე მხრით, ეტრუსკულ, ე. ი' იტალიის მოსახლეობის ისტორიული განვითარების პროცესში ლათ. Neptun ეტრუსკულ Neþunsi-თან საერთო აქვს მხოლოდ ერთი ელემენტი ne, თავისუფალი ამ ტერმინის თავკიდური ნაწილი და თუმცა სწორედ ეს ეტრუსკული ნაწილი ამოწმებს ამ ერთი ელემენტის ზიარობას, როგორც რომაელთა ეტრუსკული „წინაისტორიის“ მემკვიდრეობას, მაგრამ არავითარი საბუთი არ არსებობს, რომ მას ზედნაშენი მნიშვნელობა მიეღოს, გვიან აღმოცენებული სახეობის — წყლისგან დამოუკიდებლად არსებული ღვთაებისა.

უფრო მეტიც, ლათ. ტერმინის nep-ის პირველი ისტორიულად ჩამოყალიბებული ნაწილი კვეცილი-სახეა არქეტიპის + nepel ან + ne + pul-სა, რომლებიდანაც პირველი ბერძნულმა შეგვინახა: ne + fel-e 'ღრუბელი', 'ნისლი'¹⁹⁾ კვეცილად nep-ის მსგავსად რაც ლათინურშია Neptun — νεþის 'ღრუბელი', მეორე — ლათინურმა ne + bul-a 'ნისლი', 'ღრუბელი'. თითქოს ყველაფერი კარგადაა ახსნილი, ვანაიდან 'ნისლი', 'ღრუბელი' საუკეთესოდ ეკავშირება 'წყალს' ჩვენი წარმოდგენითაც, მაგრამ სწორედ ესაა ცუდი, რადგანაც მეტყველების პალეონტოლოგიით პირველყოფილი აზროვნება 'ღრუბელს' და 'ნისლს' — 'ცას-თან' აკავშირებდა და ჩვენ მხოლოდ სხვათაშორის აღვნიშნავთ, რომ ამ მხრივ ინდოევროპეისტები სწორედ უფარ-

¹⁹⁾ ნ. მარტი — Карфаген и Рим. fas u jus (Сообщ. Гаимк II),

დებენ ბერძ. νεφέλη-ს და ლათ. nebula-ს 'ღრუბელი', 'ნისლი' რუსულ ²неби-ს²⁰) რომელიც ისევე კვეცილი სახეა, როგორც νεმის-ში ბერძნულ ნემის-ში ღრუბელი'. ამის გარდა, რომ საუბარი გვექონდეს უბრალოდ 'ღმერთზე', ჩვენ არ დავაყოვნებდით, იგი 'ცასთან' გაგვეთანაბრებინა, ვინაიდან 'ცა' → 'ღმერთი' ჩვეულებრივი სემანტიკური განვითარებაა, რამდენადაც საქმე ეხება, საერთო კოსმიურ 'ღმერთს' 'მნათობ-ღმერთს' 'მზეს' და სხვ. მაგრამ ლათ. Neptun ნიშნავს 'ცა-წყალი', 'ცა-ქვესკნელი', და უპირველესად ყოვლისა მატერიალურად 'წყალი', 'ზღვა' 'მდინარე' და სხვ.; მამასადამე, მისი პირველი ნაწილიც nep თუნდაც მისი არქეტიპი +ne+pel ან +ne+bul ავიღოთ, უნდა ნიშნავდეს 'წყალს', 'ზღვას' ან 'მდინარეს', ან ამ სახელის ერთ-ერთ უახლოეს დერივატს, მაგ. ზმნა 'წალეკვა'-ს, და ასეთი ზმნა nefel (неф) მართლაც შენახულია ხმელთაშუაზღვეთში აფრიკის ნაპირზე, ბერბერულ ენაში, სადაც იგი სწორედ 'წალეკვას' ნიშნავს, 'ნაპირებიდან გამოსვლას'.

რასაკვირველია, ეს სიტყვა ბოლოსდაბოლოს ბერძ. νεφέλη-ს ცა' და ლათ. nebula 'ნისლი' იდენტურია, და შეიძლება ითქვას, რომ იგი მთელი ხმელთაშუაზღვეთის სამყაროს კუთვნილებდა, სადაც არ უნდა შეგვხვდეს ის, ბერძნულში, ლათინურში, თუ ბერბერულში, მაგრამ 'წყალთა ღმერთის' სახელში Neptunus-ში მისი პირველი ნაწილი nep, რაც საზოგადოდ 'წყალს', ნიშნავს, მჭიდროდ უკავშირდება ბერბერულ nefel-ს 'დაღვრა'²¹).

ამჟამად ჩვენ სიტყვათა იდეოლოგიური განვითარების სტადიურობა გვაინტერესებს მატერიალური საგნიდან, 'წყალი' და-

²⁰) იხ. შენიშვნა 19 და 5. მარტი, Лингвистически намечаемые эпохи... გვ. 61; მისივე—Орудивный и исходный падежи в кабардинском и абхазском (ДАН, 1928), გვ. 225.

²¹) იხ. 5. მარტი—Карфенген и Рим, fas и jus (Сообщ. Гаимк., II), გვ. 399.

წყებული ზედნაშენი ანთროპომორფირებული კულტის სამყაროდის, ე. ი. 'ზღვის ღმერთი' ან 'წყალთა ღმერთი' მათ ფორმალურ განვითარებასთან ერთად ერთგულემენტიან მდგომარეობიდან, იქნება ეს ne, fel, თუ tun, ორელემენტიან ne-pel ან ne-მun-მდის, რომელიც ლათინურში სამელემენტიანად იქცა Ne+p+tun, ეტრუსკულში სამელემენტიანად — Ne+მun+st; ვინაიდან იდეოლოგიის და ფორმის ეს წყვილად მიმდინარე განვითარება საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ პროცესს გვანიშნებს, სოციალური სტრუქტურის ახალი ფორმაციის ნამატს, წინამძღვარებით ახალი ეკონომიური პირობების, მატერიალური და ტექნიკური პირობების აღმოცენებას²²). მაგრამ ჩვენ არ გვინდა ჩვენი ნათქვამი ისე იყოს გაგებული, თითქოს ბრმად ვაგებთ თავის სიმარტივით და სახიფათო გასაღდავებით მისატყუებულ წარმტაც სურათს. ჩვენ ჩვენდა თავად არაფერი აგვიღია, არამედ კვალდაკვალ ხილულ ფაქტებს მივდევთ, რომელთა გადამუშავება რეალურ ფაქტებად შესაძლებელია მეტყველების პალეონტოლოგიის მეოხებით. და ამიტომ სრულიად არ ვფიქრობთ დავმალოთ ისიც, რომ ჩვენი ზოგადი დებულების ფორმულირობა შესწორებებს მოითხოვს, რაც სხვა რიგის მთელ წყება დაკვირვებიდან გამომდინარეობს. ასე, უპირველესად ყოვლისა და განსაკუთრებით ორ და სამელემენტიანი სიტყვების აღმოცენება სრულიადაც არ მოასწავებს ყოველთვის და უეჭველად აუცილებლობას და მასთან დაკავშირებულ გადასვლას ერთი იდეოლოგიური შინაარსის განვითარების მატერიალური საფეხურიდან მეორე საფეხურზე, რომელიც უკვე ზედნაშენი სამყაროს წარმოდგენებით და ცნებებით ხასიათდება. ასე, მაგალითად, უკვე ატიკურ ბერძნულ ენაში ისეთი მატერიალური საგანი, როგორიცაა 'თვალის' აღინიშნება. სიტ-

²²) Б. Мэрри—О числительных—сборник „языковедения проблемы о числительных (Лен, 1927), 83. 43.

ყვით ოქსალმის, რაც გვიან შეუღვლებას წარმოადგენს ან ორი სინონიმის შეერთებას — ოქ და ოქს, რომელთაგანაც თითოეული თავის მხრივ აგრეთვე უკვე შეუღვლებულია და პირველადი შეუღვლების ნიმუშია, ერთია 'ო' და 'ფ' (შედ. ო-μá), მეორე ოქს და μ მაგრამ, რომ არა ვთქვათ რა იმის შესახებ, რომ სხეულის ნაწილები, მათ შორის 'თვალი' ლექსიკონის გვიან ინვენტარს წარმოადგენს კოსმიური ტერმინების სხეულის ორგანოებზე გადატანით, როგორც მეტყველების პალეონტოლოგიამ გამოარკვია, — კერძოდ 'თვალზე' — მნათობთა სახელწოდების 'მზის' და 'მთვარის', — ასეთი განმტკიცების ხერხის გამოყენების ფაქტი, როგორცაა ორი, უკვე შეუღვლებული, შენაქმნის შეუღვლება, მაინც გვანიშნებს რთულ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა ისტორიულ პროცესს, მათ დაჭიმულ მუშაობას. არა სხვა რითმე, თუ არ ასე ადრე დამდგარი პროცესით, არ შეიძლება ახსნილი იყოს ხშიერი მეტყველების ის უდიდესი განვითარება, როგორსაც ბერძნებში ვხედავთ. მართალია საბუთი გვაქვს უკვე უძველეს დროშივე, ბერძნული ენის მიღწევებიც და იმავე საბერძნეთის აქამდის ჯერ გადაუმეტებელი მხატვრული ქმნილებანიც არქიტექტურაში და ქანდაკებაში ერთნაირად ისტორიულ ღირებულებად ჩავთვალოთ, მაგრამ მაინც ძნელია, წინააღმდეგ მატერიალისტურად ყოველგვარი დასაბუთებისა, იგი სხვა რომელიმე წყაროდან გამოვიყვანოთ, გარდა თვით საბერძნეთის (წინარსაბერძნეთის) საზოგადოებრიობის შემოქმედებითი ძალებისა, რაც შედეგია სამშობლო ქვეყნის პირველი მოსახლეობის გამწვავებული სოც.-ეკონომიურ ურთიერთობათა გადაწყვეტისა, მათი შეურიგებელი წინააღმდეგობებისა, ჰქონდა რა ამ საზოგადოებრიობას შესაძლებლობა გაეგრძელებინა და დაემთავრებინა უკვე ახალი, უფრო რთული სამეურნეო-კულტურული მშენებლობა, იქამდის ჯერ არ სმენილი ენაც, ელინური, შეუღვლებისა და და დიალექტიკური განვითარების ხლართებში.

ურთიერთ კავშირი კი ბერძნულისა და ბერბერულისა ლათინურთან ახლა ჩვენ გვაინტერესებს, ისევ და ისევ, იმ მიზნით, რომ გამოძეღავნდეს ხშიერი მეტყველების სტადიური განვითარების ის ხარისხი, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს წინასწარ ცნობილ ისტორიულ ეპოქებთან, თუნდაც ლათინური მეტყველების შექმნის წინამავალ ეპოქასთან. როცა ჩვენ ბერძნებისა და რომაელების განშორებაზე მივუთითებდით პირველი მოთხოვნის ტერმინებში, როგორცაა 'პური', ამგვარი ცნების აღმნიშვნელი სხვადასხვა სიტყვების არსებობა მათი ისტორიული ცხოვრების განშორებას მოწმობს, დაწყებული განვითარებული სამიწათმოქმედო მეურნეობის ეპოქიდან, რომ იგი განსახლვრულ საწარმოო-სოციალური დაჯგუფების შენატანი წვლილია²³); მაგრამ იგივე ტერმინი წინასწარ არაფერს წყვეტს, თუნდაც იგივე საწარმოო-სოციალურ დაჯგუფების სტადიური განვითარების უადრეს საფეხურებზე ურთიერთ მიმართების შესახებ, ისევე როგორც ლათინურ panis-ს 'პური' არავითარი კავშირი არა აქვს იმავე საგნის აღმნიშვნელ ბერძნულ სიტყვებთან. მაგრამ 'პური' იმავე რიგის საკვები საგნის 'რკო ფუნქციონალურ შენაცვლებას წარმოადგენს და, როცა ორელექტიანი pan-is სიტყვის პირველადი სახე საკუთრივ მისი ფუძე pan, სახელდობრ pal-an ბერძნული βαλαν-ას—ში 'რკო' გვხვდება²⁴), — განვითარების იმ უადრეს საფეხურზე კავშირს აღვადგენთ არა მთელი ლათინური ხალხისას ბერძნებთან, არამედ მისი სოც.-საწარმოო იმ ფენისას, რომელიც ძველიდანვე აერთო იყო ორივე ხალხში და ამ ტერმინის ისტორიული მატარებელი.

²³) იხ. 5. მარტი—Скифский язык (РЭЯТ), გვ. 370—371.

²⁴) 5. მარტი — Готтентоты — средиземноморцы (ИАН 1928), გვ. 412; მისივე, Карфаген и Рим, fas и jus (Собщ. Гаиме, II), გვ. 381.

საფუძველი არა გვაქვს აღნიშნული სოციალური დაჯგუფების აღვილმდებარეობა ვეძებოთ საბერძნეთში ან სხვა რომელიმე გადაღმა ქვეყანაში, როცა ლაპარაკია ლათინურ ენაში იმავე სიტყვის შემტანთა შესახებ. იგივე უნდა ვამტკიცოთ, როცა ქართ. *kver*, 'ნაცარში გამომცხვარი პური', თავდაპირველად საერთოდ 'პური', ლათინურში შენახულია 'მუხის' აღმნიშვნელი სიტყვით — *quer-cu-s*, *quer-quer-us* 'მუხიანი' და სხვა.

ამიტომაც, თუ ბერძნული ზმნა *nepel* 'წალეკვა' სახელის *nepel*-ის აღდგენაში გვშველის 'წყლის' მნიშვნელობით და სიტყვა *nepel*-ი კი 'წყალი' შეკვეცილით *nep* გამოსავალი წერტილი გახდა ზედნაშენი სამყაროს ისეთი ლათინური ტერმინის გამოსამუშავებლად, როგორცა *Nep+tun* ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ რომაელებმა სიტყვა აფრიკელებისაგან ისესხეს, არამედ მხოლოდ იმას, რომ ამავე სიტყვის მქონე სოციალური ფენა იტალიის მოსახლეობის შემადგენლობაში შედიოდა, სადაც, და ეს მთავარია, 'წყლის' სახელწოდება ზედნაშენური განცალკევებული სამყაროს ტერმინად იქცა, სახელდობრ, 'წყალთა ღმერთად' ნაადრევი სოც.-ეკონომიურ ცხოვრების ახალი ტიპის მეურნეობით. სათანადო შენაცვლების პროცესში, და ახალი ტექნიკით და სოციალური კულტურის ახალი ფორმაციით; ამასთან ერთად ახალი ე. წ. ინდო-ევროპული სისტემის ენით, ლათინურით, ცხადია, განსაზღვრული კლასის ენით.

საბერძნეთის და იტალიის ე. წ. პირველყოფილ ნიადაგზე 'წყლის' მნიშვნელობის მქონე პირველადი ერთეულემენტის სიტყვები იძებნება, რომლებიც მათგან წარმოებული ზმნების ფუძეში შენახილან; ასე მაგ. პირველი შემადგენელი ნაწილი ეტრუსკ. *Ne-tun-si* და ლათ. *Ne-p-tun-us*-ისა, სახელდობრ ელემენტი ნაირსახეობითი *na* (*nâ*) 'წყლის' მნიშვნელობით ერთი ელემენტის სახით შემდეგი ზმნების ფუძეებში იჩხრიკება: ბერძნ. — ჰომირ. *νᾶ-α* 'ვცურავ'; ბერძნ. *να-α* 'ვდინდები' და ლათ. *na-re* 'ცურავ'; იტალიის ნიადაგზედაც ვპოულობთ აგ-

რეთვე ეტრუსკული ne-*na-un-sl*-ის პირველი ორელემენტიანი ნაწილის გამოყენებას, სახელდობრ ne-*na-un-sl*-ს და მის ნაირნაირობას +*na+t-un-sl*-ს კვეცილი სახით 'წყლის' მნიშვნელობით: 1) ლათ. ზმნის ფუძეში *na+t-ore* 'ცურვა' (იტალიის ნიადაგზე), 2) კავკასიაში, სვანურ სიტყვაში ნი-ც-ლიც 'წყალი' და ამავე სიტყვის ნაირსახეობა *li-t* 'ზღვის' მნიშვნელობით შედის ლათ. *li+t us*-ში, ნათ. *li+tor-i-s* 'ზღვის ნაპირი'.

კავკასიის იათეტურ ენებს ხომ ისეთი ახლო კავშირი აქვს ლათინურათანაც კი ზოგჯერ, რომ მათში, რეკონსტრუქციის მოუშველებლადაც ვხედავთ რომაული მეტყველების ძირითადი სოციალური ტერმინების წინარენობრივ ფორმებს. რაც შეეხება ეტრუსკულ ტერმინს Ne-*na-un-sl*-ს, რომელიც განსაკუთრებული საფუძვლებით, როგორც ვნახეთ, ეკავშირება 'ღრუბელს', 'ნისლს', 'ბურუსს', კავკასია მზა ბუნებრივ მასალას იძლევა, რომელიც მისი პირველი ne ელემენტის შეუღვლებას წარმოადგენს უკანასკნელ *sl*-სთან, ესაა ქართ. ორელემენტიანი სიტყვა *ni-sl* 'ნისლი'.

ჩვენ შესაძლებლობა არ გვაქვს ასე დეტალურად განვიხილოთ მთელი ის ენობრივი წვლილი მისგან მანიშნებელი დრომოკმული წყობილების ყოფა-ცხოვრებასა და წესთან ერთად, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო რომაულმა ცხოვრებამ და შემდეგ კლასობრივი ექსპანსიით გავრცელებულ იქნა რომანიზირებული სახით მთელ ლათინურ სამყაროში. აქაა უფლებრივი, კერძოდ რელიგიურ-უფლებრივი ნორმებიც, *fas*-იც და *jus*-ის²⁵⁾, *Pontifex*-იც²⁶⁾, აქაა მწერლობაც და წიგნიც ტერმინებით: *scribo*, *liber*, *li-ttera*²⁷⁾ აქვეა სოციალური სტრუქ-

²⁵⁾ ნ. მაროი, *Карфаген и Рим, fas и jus* (Гаимк, II) გვ. 372—415.

²⁶⁾ ნ. მაროი, *Значение и роль изучения наименьшинства в краеведении*. („Краевед“, NI, 1927 г.), გვ. 13, ცალკე ამონაბეჭდი; მისივე *Карфаген и Рим, fas და jus* გვ. 402.

²⁷⁾ ნ. მაროი, *Происхождения терминов 'книга' и 'письмо'*, изд. Инст. Книговед. Лен.

ტურის ისეთი ტერმინები, როგორცაა *populus*²⁸⁾ 'ხალხი', *plebs*²⁹⁾ 'მდაბიო ხალხი', *urbs* 'ქალაქი'³⁰⁾. *Oppid-um* 'ქალაქი'³¹⁾ *rus* (ნათ. *hur-is*) 'სოფელი', *vi+c-us* 'სოფელი', *pag-us*³²⁾ 'სოფელი'.

'სოფლის' აღმნიშვნელი სიტყვების ეს სიუხვე თავისთავად განსაკუთრებული ინტერესის მქონეა რომაული სამყაროს საერთო წყობილების დასახასიათებლად. თითოეული ასეთი ტერმინი ხომ ერთსა და იმავე დროს ნიშნავს 'მოსახლეობას', 'ქვეყანას', 'მსოფლიოს', თავდაპირველად ამათუიშ სოციალურ, შემდეგ ტომობრივ მსოფლიოს, იყვნენ რა ე. წ. ტომობრივ სახელწოდებად. მაშასადამე, ოდესღაც სათანადო პირველადი სოციალური დაჯგუფების ტოტემად, ეს, 'სოფლის' და 'ქალაქის' აღმნიშვნელი სიტყვები აღმოცენების მომენტში გააზრებულია არა სოფლის მშენებლობის ან ქალაქის მშენებლობის ტექნიკით, არამედ თვით ტერმინის თავდაცვის მისნური მნიშვნელობით. წინასწარ ვაცხადებთ, რომ სხვანაირად ვერ აიხსნება რუსული სიტყვაც 'город'³³⁾ ან სირ.-კავკასური *karka*,

²⁸⁾ ბ. მარრი, *Карфаген и Рим, fas и jus*, გვ. 383.

²⁹⁾ ბ. მარრი, *La saine, la saone, Lutece et les premiers habitants de la gaule Etrusques et Pelasges* (Petrograd, 1922), p.p. 13 ss მისივე—*Явятич. теория* (Москва, 1925), გვ. 14 და 28—*перят*, გვ. 208—230,

³⁰⁾ ბ. მარრი, *Ольвия и Альба Лонга* (ИАН, 1925), გვ. 665 შემდ., მისივე—*Значения и роль изучения нацменьшинства в краеведении*, გვ. 14 ცალკე ამონაბეჭდი მისივე—*из переживаний доисторического населения, племенных или классовых, в русской речи и топонимке*. (Чебоксары—1926), გვ. 11; მისივე—*из поездки к Европ. яфетидам* (Яе. III)—*ПЭРЯТ*, გვ. 194. მისივე—*Имтарт* (Яс. V)—გვ. 135

³¹⁾ ბ. მარრი, *Ольвия и Альба Лонга* (ИАН, 1925). გვ. 670-

³²⁾ ბ. მარრი—*Из переживаний доисторическ. населения Европы*. გვ. 11 და შემდ.

³³⁾ მისივე—*Ольвия и Альба Лонга* (ИАН, 1925 I, გვ. 671.

qalaq³⁴), ჩვენს მიერ ანაქრონულად აღქმული 'დასაწყისიდან' ფორმით დაკავშირებული 'გალავანთან', 'წრესთან'. შედარებითი შესწავლა ელინური და ლათინური დასახელებული პუნქტების საზოგადო სახელებისა, სოფლების და ქალაქების აღმნიშვნელი, ამჟღავნებს რა სტადიური განვითარების ერთი საფეხურის მეორეფი შენაცვლების სხვადასხვა გზას, სოციალური წყობის სხვადასხვა მუშაობას, — გვიჩვენებს, რომ მათი სხვაობით წინასწარ ისაზღვრებოდა ბერძნების კოლონიალურ-კულტურული მეურნეობა, რომელთა სახელმწიფოებრივი სამხედრო, კულტურული ექსპანსია და რომ უკანასკნელნი თავის საზოგადოებრიობას არ აღრმავებდენ და იდეოლოგიურად არ ამუშავებდენ მას. საბერძნეთი და რომი ტერმინის 'ქალაქის' მხრივაც დამოუკიდებელნი არიან ერთმანეთისაგან ისტორიულად 'ქალაქის' სახელწოდების გამოიწვევაში. ლათ. urb-s 'ქალაქი' ფუძით ur-be → or-be, რომელსაც თავისი ნაირნაირობა ol-be აქვს საბერძნეთზე გადავლით ხმელთაშუაზღვეთში, შავზღვეთში და კავკასიაში; არქეტიპში (kor-be → kor-bel) წარმოადგენს ბერძნული ki-me-ს (κῆμη — kor-mel) პროტოტიპს, რომელიც მაინც კიდევ 'სოფლის' მნიშვნელობით დარჩა. მაგრამ ბერძნულმა ენამ მთელი რიგი მისი ნაირსახეობისა შეინახა, რომლებიც დასახლებულ პუნქტს, სოფელია იგი თუ ქალაქი სტადიური განვითარების სხვადასხვა საფეხურების საყოფაცხოვრებო თვისებებთან აკავშირებენ.

უპირველესად ყოვლისა ki-me, სოფლის სახელი, წარმოადგენს რა სათანადო სოციალური დაჯგუფების ტომებს, როგორც სპეციალური კულტის საგანს, ოდესღაც, უმეტეელია, მცენარეული საკვების და სასმელის ღვთაება იყო, საიდანაცაა მისი ორეული ბერძნულშივე ki-μῶς 'ნადიმი', ბახუსის ღვინი'.

³⁴) — „— Ольвия и Альба Лонга (ИАН—1925), გვ. 670; მისივე—
Чуваши—Яфетиды, გვ. 70. Иштар, გვ. 131—138.

ბახუსის საპატივცემლო პროცესია ცეკვით სიმღერით და მუსიკით. მიუხედავად ამისა ამ სიტყვის არქეტიპის ელემენტის იგივე შემადგენლობა kor-mer, მაგრამ, უკულმა შეუღლებელი mer-kor ესაა, ვაჭრობის ღმერთის სახელის ფუძე Mer + kur + i-us, თუმცა ეს სახელი ჩამომავლობით ეტრუსკულადაა აღიარებული, იმ დროს როცა იგი სპეციალურად ეტრუსკული კი არაა, არამედ საერთოდ წინა-ლათინური, ე. იაფეტური³⁵).

ერთი სიტყვით, ეს წინა ისტორია, კი არაა, არამედ ნამდვილი ისტორიაა, ქალაქმშენებლობით. სამეურნეო-კულტურული სიმდიდრის ამგვარი მემკვიდრეობისას არა მხოლოდ მარტო სიტყვებში, არამედ თვით საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ყოფა-ცხოვრების წყობაში, შესაძლებელია თუ არა წესიერად მივუდგეთ რომის ისტორიის შესწავლას (თანაბრადვე იგივე შეიძლება გვეთქვა საბერძნეთის ისტორიის შესახებაც), თუ ანგარიშს არ გავუწევდით პროცესის ანალიზში ნაჩვენებ ისტორიულ წინამძღვრებს არა მხოლოდ რომის ხალხის აღმოცენებისა და განვითარების ისტორიულ წინამძღვრებს, არამედ მთელი რიგი თანმიმყოფი სტადიური რიგის ცვალებადობებს იტალიის ისტორიაში, სულ უახლოეს დრომდის? და მართალი ხომ არ იყო იტალიელი არქეოლოგი მილანი, რომელმაც ტოსკანური მხატვრობის აღორძინება აყვავებაში მშობლური მხარის „ეტრუსკული“, უფრო სწორედ — იაფეტური, გადანაცხოვრი დაინახა?

მაგრამ მიაღწია რა ხმელთაშუაზღვეთში სტადიური განვითარების იმ საფეხურს, როცა პურეულის და სასმელის კულტიდან გამოსული ღმერთი მერკური, ვაჭრობის და ქალაქის ცხოვრების განსახიერებად ხდება, მის ბერძნულ ორეულს

³⁵) ნ. მარრი — „Значение и роль изучения наименьшинств в крае ведении, გვ. 11; მისივე — „Из Пиренейской Гурии“ — გვ. 59.

Her+me-s-ს ჩვენი ინტერესი აღმოსავლეთ ევროპაში გადააქვს, აქ მისი ორელემენტისანი შემადგენლობა თავდაპირველი ორი სოციალური დაჯგუფების გაერთიანებას გვანიშნებს, გაერთიანებას, რომელიც კონკრეტულად ე. წ. კიმერების ტომობრივი სახელითაა გამომჟღავნებული და მესამით იონურითაა გართულებული — t-ს. შეკვეცით, და იგი ზოგგან ღმერთს აღნიშნავს, ზოგგან ბოროტ სულს, ზოგგან 'საერთოდ საღვთო ადგილს', მინდორზე, თუ ტყეში, ესაა ვოლგის მხარის ხალხთა Ker-e-me-t³⁶)-ი, რომელიც კავკასიაში სრულიად განყენებულ ცნებად იქცა, საერთოდ 'ღმერთად' მთელ რიგ ნაირსახეობაში და კავკასიას აკავშირებს არა მხოლოდ ფინურ ჩრდილოეთთან და სემიტურ სამხრეთთან, არამედ, ცხადია, ხმელთაშუაზღვეთთანაც. Keremet-ის კავკასურ ათეულ ნაირსახეობებიდან, რომელიც ტოტემურად ჩერემისელებთანაა დაკავშირებული, მხოლოდ ორს დავასახელებ — უფლებით ქართულ მეტყველებაში არსებულ წარმართ-ს და სვანურში ჩანერგილ წარ-მათ-ს სარმატების ტოტემურ ღმერთს, და სვამურ ღმერთს ღერ-მე-თ-ს, რომლის პირველი ორელემენტისანი ნაწილი ჩარჩენილია ბერძნ. Her-me s-ში.

იმავე დროს ქართულში შენახულ მის რედუქციურებულ სახეს ღ მერ-თ მისი სიბილანტური ელამური ორეულით smerd, რაც სახელად უწოდეს აქემენელი მეფის კამბიზის ძმას, ირანელს, სპარსელს, — ისევ აღმოსავლეთ ევროპაში გადავყევართ, ისტორიული ცხოვრების უღრმესი პროცესების გარემოშიც, კერძოდ რუსების გერემოშიც რამდენადაც ამ უკანასკნელებში თვით ტერმინი სტადიური განვითარების ორი საფეხურის ნაირსახეობაშია ჩამოყალიბებული. უფრო გვიანი სამელემენტისანი ბერძნ. g-mer-d არსებობდა ჯერ კიდევ მის პირველ ორელემენტისანი ნაწილს შემადგენლობაშიც თავკიდური ხმოვნის ქართული რედუქციის გარეშე, ნაირსახეობაში g[ი]-

³⁶) ნ. მარტი — „О числительных“ გვ. 2; შმდ.; „Из пиренейской Турии, გვ. 59 და სხვა.

mer→g[u]-mir უფრო ძველი გამოთქმით +ku-mir³⁷). ამ ადრეული ორელემენტიანი kumir-ის სახიდან იმ სოციალური-დაჯგუფების მიერ, რომელმაც გამოადევნა აფრიკატობა. შეტანილია kimir-ი 'კერპი' რუსეთის წარმართული სარწმუნოების აიღრმეში და ანგარიშგასაწევია არა უბრალოდ სიტყვა, არამედ ქის მიერ მანიშნებელი საზოგადოებრიობა — როცა არა მარტო ქრისტიანული რელიგიის დამყარების პროცესს ვარკვევთ. კავკასიაში, გარდა იმავე ქურუმთა კლასის ორგანიზაციისა, რომელიც თავისი წყობილებით ქრისტიანული ეკლესიის სამღვდლოებად ჩამოყალიბდა, მასთან დაკავშირებულია გოლიათთა ბრძოლა; რაღაც გაუგონია ამის შესახებ, როგორც განსაკუთრებული ტომის go-mer'-ის შესახებ ბიბლიას; თვით ადგილობრივმა კავკასიელმა იაფეტელებმა კი არა მარტო შეინახეს მშობლური სიტყვა ე. წ. ტომობრივი სახელწოდების მნიშვნელობითაც და 'მებრძოლი-გმირი', გოლიათის' მნიშვნელობითაც (ასე, მაგ., სომხები კაპადოკიელებს ga-mir-ებს უწოდებენ, ქართულში კი 'გმირი' გვაქვს (gu-mir) არამედ იმავე მნიშვნელობით ჩრდილოეთისკენ სხვებზე გადაცემაც მოასწრეს არა მხოლოდ მაგ. ირანელ ოსებზე, სადაც gumir 'ნიშნავს გოლიათს'³⁸). უფრო შორეულ ფინურ და რუსულ ჩრდილოეთთან იაფეტური კავკასია იმავე სოციალურ-კულტურული ტერმინითაა დაკავშირებული სხვანაირი გაფორმებით, როგორიცაა მაგ. ko-pal→kupal და u-Ɔal → yu-mal: კავკასიაში — ხევსურებში და რაჭველებში kopal-a, kopal-e 'ტყეთა ღმერთი', uƆal ძველ ქართველებში 'ღმერთი', 'უფალი', 'ბატონი' ჩრდილოეთში — მთელ რიგ სლავებში და არა. სლავებში დვთაება kupal-a და ფინეთში yumal yumal-a 'ღმერთი'³⁹). აქვე აღსანიშნავია, რომ

³⁷) ნ. მარტი, „Числительныя“ გვ. 23; „Скифский язык“ გვ. 376.

„Чуваши“—Яфетиды, გვ. 51—52.

³⁸) ნ. მარტი. Числительныя—გვ. 23, შენიშვნა 2.

³⁹) ნ. მარტი—„Чуваши — Яфетиды, გვ. 51 და 52; „Скифский язык“, გვ. 371.

ინდოევროპისტიკის მიერ ამ ტერმინების კვლევაში თავისი სა-
შუალებით და ისიც ფორმალური მეთოდით მეტყველების პა-
ლეონტოლოგიის გარეშე სკანდალური გაუგებრობა განამტკიცა
Купала-ს მიმართაც და განსაკუთრებით რუსული ზედსართ-
ვის 'убогий'-ს მიმართ, რომლის თავიკიდურ 'y'-ში რუსული
უარყოფითი პრეფიქსი დაინახეს, იმ დროს როცა $a+bi+g'$ -ის,
'ღმერთის' ორეულის, ფუძეში, სამელემენტიანი ჯერ კიდევ წი-
ნარე — რუსული იაფეტური შენაქმნია და პირველი ორელე-
მენტიანი ნაწილი $a+bi$ -კი მხოლოდ ნაირსახეობაა ფინური $yu-$
 $mal!$ -ისა და ქართული $a-fal$ -ისა ნარნარა ბგერის მოკვეციტ, რო-
გორც ელამურში $u+pa$ -'ბატონი'. რაც შეეხება რეალურ საკულ-
ტო შნიშვნელობას იგი აშკარავდება ქართულის სრული ნაირსა-
ხეობით ხორ-ბალ'-ით, წინათ 'რკო მუხა'⁴⁰). მაშასადამე, საქმე
გვაქვს სამიწათმოქმედო ღმერთთან, რომელიც აგრეთვე პუ-
რეულიდანაა გამოსული. აღნიშნული სრულიად სწორია, მაგ-
რამ ერთი განმარტებით „სტადიური განვითარების განსაზღვ-
რულ საფეხურზე“, ვინაიდან დამოუკიდებლივ იმისა, რომ თვით
სამიწათმოქმედო ღვთაება იმავე დროს მზის ღვთაებაცაა, —
კოსმიური მსოფლმხედველობის დროს ეს ტერმინი, 'ცასთან
გაიგივებულ ისტორიულ ღვთაებათა წრეში შედის, საკულტო-
ტერმინი, ზედნაშენის ცნება, თავის შინაარს იცვლის სამეურ-
ნეო განვითარების საფეხურის და მისი ბუნების მიხედვით.
არის რა ხე-კვების, საზოგადოდ ხის, ღვთაება, იგი სათანადო
სამეურნეო გარემოში ანუ სტადიური განვითარების სათანადო
საფუძველზე ნადირობის ღვთაებასაც წარმოადგენს, უკვე ხტო-
ნურ (მიწიერა) ღვთაებას, და ღამის მნათობისასაც; ასე მაგ.,
ქართველებში, ხევსურებში და რაჭველებში: Корапа ანუ Корале.

თქმულთან დაკავშირებით, საკულტო ტერმინები სოციალურ
სტრუქტურასაც გვანიშნებენ. სამიწათმოქმედო ღმერთთან და-

⁴⁰) ნ. მარრი — „Китайский язык и палеонтология речи“ III 'дуб-
'хлеб' и 'дерево' (ДАН, 1926), გვ. 111; „Скифский язык“, გვ. 372.

კავშირებულია განსაზღვრული კლასობრივი საზოგადოებრივი წყობილება.

ამგვარადვე სიბილანტური ორეული ქართული, ღ-მერ-თ-ისა, სახელდობრ s-merd, ეს უკვე პირდაპირ განსაზღვრული სოციალური ჯგუფის სახელწოდებაა.

ტომია ეს საწარმოო დაჯგუფება? რასაკვირველია, არა. და განა ტომია ბულგარელები? ტომია თუ არა ხაზარები?

ტომობრივი სახელწოდებების პალეონტოლოგიურმა ახსნამ ხომ მათი მნიშვნელობების ცვალებადობა დაამყარა! თუ მთელ რიგ ხალხთა ტომობრივი სახელწოდებანი მართლაც აღნიშნავენ 'ცის შვილებს' ან 'მზეს', ეს ნიშნავს, როგორც ამას მეტყველების პალეონტოლოგია არკვევს, რომ სტადიური განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე თითოეული სოციალური დაჯგუფება, მერე ტომად ქცეული, სწორედ ასე იწერებოდა⁴¹⁾. ასევე კანონზომიერად და არა შემთხვევით რამდენჯერმე, თითოეული მდინარე იწოდებოდა 'მდინარე-ცხენად'⁴²⁾.

მაგრამ სრული დიაქრონული მიმართულებით მრიშვნელობა, ე. წ. ტომობრივი სახელწოდებისა სრულიადაც სტაბილური არაა: იგი იცვლება მეურნეობის, ტექნიკის, სოციალური სტრუქტურის და მათთან ერთად აზროვნების სტადიური განვითარების საფეხურის მიხედვით.

ის, რაც აქამდის გამოჩნდა ტომობრივი სახელწოდების ახსნა-განმარტებით იაფეტურ ენათმეცნიერებაშიც მიიღწეოდა ფაქტების ჩვენებებით და მათი პირისპირი წაყენებით დიაქრონული კვლევის ჩაუღრმავებლად, ხშიერ მეტყველებაში პალეონტოლოგიური გათხრების გარეშეც: ადვილი იყო იმის

⁴¹⁾ Б. მარტი.—Приволжские и соседние с ними народности в афетич. освещении их племенных названий (ИАН, 1925). „Скифский язык“, გვ. 383.

⁴²⁾ Б. მარტი.—„Приволжские и соседние с ними народности“,— გვ. 681.

დადგენა, რომ იაფეტურ კავკასიაში ეთნიურ ერთეულთა სახელწოდებები ასტრალურია და მხეცების სახელწოდებებთან მონაცვლეობს.

თითქოს პირველყოფილი ფანტაზიის სიჭარბის გამო ადამიანმა მიწაზე თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში შეჩვეული მხეცები ცაში დაასახლა, მაგრამ აღმოჩნდა ამათუიმ სახელწოდების ამათუიმ სტადიურ განვითარებასთან დამოკიდებით აღმოცენება, ე. ი. შემჩნეულია ერთი მნიშვნელობის შენაცვლება მეორე ახალით. არა მარტო ენიოხების, არამედ ჰაეების (სომხებს) ტომობრივ სახელწოდებებს კავკასიაში, აგრეთვე ეტრუსკპელასგების ხმელთაშუაზღვეთში, ასტრალურთან გვერდით აღმოუჩნდათ მნიშვნელობა 'ცხენის', თითქოს 'ცხენი-მზის'. პოლისემანტიზმის დროს მნიშვნელობათა ასეთი დაგროვება თითქოს „ქალწულებრივი“ ფანტაზიის ბუნებრივ ნაყოფად მოჩანდა. ნამდვილად კი ენიოხებს ანუ სომეხ-ჰაეებს, 'ცხენი' ეწოდებოდათ (შემდგომ 'ცხენოსნები', 'მეურნეები' (возница) ამათუიმ სოციალურ დაჯგუფებაში ცხენის სამეურნეო მისნურ, გვიან, შემდეგ, სამეურნეო-საკულტო მნიშვნელობის მიხედვით⁴³).

ასე, არა მარტო hay სომხები, არამედ მათი წინაპრებიც იმავე ხალ-დინი → ხალ-დი ქვეყანაში, ნიშნავდენ რა 'მზეს', თავის დროს მათი სახელის მატარებელი სოციალური დაჯგუფების მეცხენეობის ორგანიზაციის გამა 'ცხენად' წარმოიდგინებოდენ და სიტყვა ხალ-დი მართლაც 'ცხენებს' აღნიშნავდა და ბასკური sal-di-ს 'ცხენი' სპირანტული ორეულია⁴⁴).

'ცხენები', 'ცხენოსანი ლაშქარი', 'ლაშქარი' თავის დროს აღინიშნებოდენ კავკასიის ერთერთი უძველესი ე. წ. ტომობ-

⁴³) Б. Марри.—Астрономическая и этическая значения двух племенных названий армян (360 ტ. XXV, გვ. 229—256).

⁴⁴) „Скитский язык“ გვ. 385.

რივი სახელწოდებით ჭან, აგრეთვე ჭენ (ბათომიდან ტრაპი-
 ზონის მიმართულებით შავი ზღვის ნაპირით). ჭენ-დან 'ცხენი'
 ქართულში ნაწარმოებია ზმნა ჭენ ე-ბა. ამ ტომობრივი სახელ-
 წოდების სინონიმი *lar* აგრეთვე 'ცხენს' აღნიშნავს, რომელმაც
 ფუნქციონალურად 'ძალი' შენაცვლა (აფხაზური *a-laua*
 'ცხენი', აფხ. *a-la-* 'ძალი'). მისივე ნაირსახეობა *Zan* ისე რო-
 გორც *yan*, რომელიც აგრეთვე ძველად 'ძალს' აღნიშნავდა,
 შემდეგ 'ცხენს', 'ცხენოსან ლაშქარს', 'რაინდთა ლაშქარს', 'ლაშ-
 ქარს', ბოლოს წოდებრივ სახელწოდებად იქცა: სიტყვა *az-naur*
 ნიშნავს 'ცხენოსნების შვილებს' (ლათ. *equitus*) 'რაინდებს, სი-
 ტყვა-სიტყვით *azn* ის 'შვილს', ნამდვილად *Zan*-ის. აქედან
 ბერძნული/თქმულებების *ya-Zon* ეპონიმური წინაპარი ცხენის
 მიხედვით ჯერ კიდევ მაშინ არსებული სოციალური დაჯგუფე-
 ბისა, სიტყვა-სიტყვით: 'მამაკაცი' (მა) + 'ცხენი' (ძონ), როგორც
 ამა-ძონ 'ქალთა ცხენოსანი ლაშქარი', სიტყვა-სიტყვით 'ქალი'
 (ამა) + 'ცხენი' (ძონ).

ასეთივეა წარმოშობა გვიანი დროის ქართულ დიდებულთა
 წოდების, ფეოდალ მეომრებისა, რომელთაც ხე + დ-არ-ი ეწოდე-
 დებოდა, სიტყვა სიტყვით 'ცხენები' წარმოებული ხე + დან-სგან
 (სომხ. *hetan*); რაც ქართული ზმნის ხე + დნ-ა-ს ფუძეა, ამ
 სიტყვას დიალექტიკური ნაირსახეობა აქვს: ესაა ცნობილი
 ე. წ. ტომობრივი სახელწოდება, ნამდვილად კი მხოლოდ
 'ცხენოსანი ლაშქრის' სახელწოდება, მრავალტანჯული ტერმინი
 ხა + ხა-არ, რომელიც თანდათანობით ახალი ეთნიური ერთეუ-
 ლის სახელწოდებაზე გადადიოდა და რომლის შემადგენლობას
 ცვალება დობის დიაპაზონი ჰქონდა რუსულ და თურქულიდან
 მოყოლებული ქართულამდის. შესაძლებელია თუ არა ვიკვლი-
 თ ფეოდალური წყობილების აღმოცენების პროცესი საქა-
 რთველოში და რუსეთში ანგარიშ გაუწევლად იმისა, თუ რას
 გვანიშნებს მეტყველების პალეონტოლოგია?

განა წინა ისტორიაა იმ მთავარი მდინარეების და მათი შენაკადების სახელები, რომლებიც სამხრეთშიც და ჩრდილოეთშიც ყველა იაფეტურია? 'დონი' არა მხოლოდ 'წყალს' ნიშნავს, როგორც ვოლგას ძველი სახელი — Rha-ც, არამედ ერთნაირად 'ცხენსაც'. ოსური ენა აქ, როგორც ირანული, არაფერ შუაშრა. „ვოლგა“, პალეონტოლოგიური ახსნით აღმოცენდა 'წყალ მდინარედაც' და 'მდინარე-ცხენადაც'⁴⁵).

განა წინა ისტორიაა ამ დიდი წყლების გზებზე ქალაქების აგება, რომლებიც ქალაქების სახელის დარქმევის საერთო სისტემითაა ერთმანეთს დაკავშირებული და შეხვედრითაც. ე. წ. ნათესაობითაც თვით ტერმინში 'ქალაქი'? 'ქალაქის' სახელის აუარებელი ნაირსახეობა, ჩრდილოეთიდან კავკასიის სამხრეთისკენ და იქითაც, როგორიცაა „город“ 'град', kert, karka, ქალაქ, ჯართა და სხვ., რომლებიც სამ არქეტიპთან დაიყვანებიან + karta, + korto, + kerte, ხომ ერთი სოციალური მასის სამი დაჯგუფების პირიშოა, კოლხურის ანუ სკოლოტურის, ე. ი, სკვითურის. ჩვენ გვასწავლიან ბერძნების ნათქვამის მიხედვით, რომ სკვითები ნომადები მიწათმომქმედნი იყვნენო. სკვითები — მხედრები ღა? სკვითები — ვაჭრები ღა? სკოლოტები, კოლხები ღა, ე. ი. იგივე სკვითები ქალაქ-მშენებლობით და ოქროს ძიებით, რაც ბერძნების მიერ ლეგენდაშია ასახული?

და განა მიწათმომქმედება ვაჭრობას გამორიცხავს? თუ ზედნაშენური ცის წარმოდგენებიდან მიწაზე ჩამოვალთ, თვით ტერმინს 'ქალაქს' ტერმინოლოგიურად სავაჭრო პუნქტის, 'ქალაქის' სამიწათმომქმედო უჯრედთან, 'კომლთან', დამაკავშირებელი ისტორია აქვს. 'ქალაქის' სახელის ჩამოთვლილი ნაირსახეობანი ყველა ორ ელემენტთანია, მათ წინ უძლოდა ერთელე-

⁴⁵) ნ. მაროი, — „Приволжские и соседящие с ними народности в яфетич. освещении их племенных названий“.

შენტიანი Kar 'ქალაქი', რომელიც ვოლგას მხრის ფინურმა სამყარომ შეინახა, მაგრამ Kar-ი ნიშნავდა და ახლაც ნიშნავს იაფეტელებში 'კარს', 'კომლს', 'ეზოს' (ქართ. Kar), იქნება ეს სამიწათმოქმედო ან საიმოსახლო 'ეზო', თუ დასადგომი.

გვაქვს რა დიდი სავაჭრო გზები იაფეტური ტერმინოლოგიით ქალაქმშენებლობაში ამ მდინარეებზე, რომელთაც ნამდვილი ისტორიული პატრონების სახელწოდებანი შეინახეს, ჯერ კიდევ იაფეტელების, განა წინა ისტორიაა თუნდაც ეს მხოლოდ არაბ-სემიტებამდის და ირანელ-სპარსელებამდის მომხდარიყოს, როცა საცვლელი ერთეული, სკვითური სიტყვა, მათი ნაციონალური სახელის თანაბარი, რომელიც ჯერ კიდევ რუსებაჟდის განსაზღვრული ცხოველის საქონლის აღმნიშვნელიდან—ოქროდ იქცა, იაფეტელ ხალხში შეინახა მნიშვნელობა 'საქონლის', 'ჯოგის', 'ნახირის' და სხვ., და 'ოქროს' მნიშვნელობით გვიან გამოჩენილი არაბებ-სპარსელებისთვის ძველიდანვე გატკეპნილი სავაჭრო გზებით მოვიდა, როგორც ვაჭრობის ცოცხალი სიტყვა 'ოქროს' მნიშვნელობით, გერმანელებამდის და დასავლელ ზღვის ნაპირზე მცხოვრებ ფინებამდის, ვოლგის მხარის ფინებამდის კი 'საქონლის' მნიშვნელობითაც; განა წინა ისტორიაა ეს?

შეიძლება იგი წინა ისტორიაა, არა მარტო ფინეთისათვის და სომხებისათვის, არამედ სკვითებისათვისაც, მაგრამ ჩვენთვის, როცა ჩვენ პალეონტოლოგიური ტელესკოპით ვხედავთ, რომ ჩრდილო ფინები-სუომი და სამხრეთ საქართველოს სომხური მოსახლეობა იწოდებიან suomi და სომეხ-ად⁴⁶) მესოპოტამიის ხალხის სუმერის ან სუბარის სახელწოდების ნაირსახეობით; ამასთან იგივე სახელწოდება შენახულად ვოლგას გასწვრივ, კერძოდ ჩუვაშებში, როგორც მთელი რიგი სოფლების სახელებში subar, აგრეთვე ჩუვაშების მთავარი ქალაქის სა-

⁴⁶) ნ. მაროი—„Суоми“ — карелиские и сомех картские языки (ДАН).

ხელში ჩუვაშ-კარ და აგრეთვე თვით ჩუვაშების სახელშიც (Suvar, Чуваш⁴⁷).

განა წინა ისტორიაა მატერიალურ-ფორმალური კავშირი კუნძულების იზოლირებული ხუროთმოძღვრებისა და მისი დეკორაციული ქანდაკებისა მონათესავე იაფეტური კავკასიის ძეგლებთან? განა შესაძლებელია მატერიალური ისტორიის და ხმიერი მეტყველების გამომზეურებული ფაქტების ანგარიშის გაუწევლად გადავწყვიტოთ პროფ. პრესნიაკოვის მიერ წამოყენებული „სუზდალშინის“ პრობლემა?

განა წინა ისტორიაა ლეგენდა ქალაქმშენებლობის შესახებ საერთო სომხეთისა და რუსეთს შორის, როგორც იგი ერთ-ერთ ჩვენს ნაშროშია ახსნილი და რომელიც თავისი აღმოცენების წყაროთი ჯარ კიდევ წინა სკვითური ლეგენდაა⁴⁸)

განა წინა ისტორიაა უძველეს, ჯერ კიდევ იბერულ ანუ კიმერულ საქართველოს პირველ მეფეთა ჩამოთვლა ქართულ მატიანეში, რომ მათ თეოჟორულ სახელებში საკულტო სიტყვები მქლავნდება, საერთო რუსულ და უკრაინულ სახელებთან, უკვე საზოგადო სახელები, როგორიცაა, მაგალითად მე-11 და მე-17 მეფეთა სახელი Rok ('ცა-ღმერთი'), რამდენადაც, როგორც პალეონტოლოგია ადგენს, ისინი 'ცის' მნიშვნელობით ხმარებულია რუსულ მეტყველებაში 'ბედისწერის' აზრით, სიტყვა-სიტყვით 'ცა ბედისწერის', უკრაინულში კი (rik, rok), როგორც პოლონურში (rok) „წლის“ აზრით, სიტყვა-სიტყვით 'ცა-ღრო', 'ცა-წელი'?

განა წინა ისტორიაა, რომ სომხეთის, ალბანეთის და საქართველოს ქრისტიანობაზე მოქცევის უძველესი ვერსიის არაბულ თარგმანში აფხაზები 'რუსებად' იწოდებიან, ამასთან ეს ჩვენება დასტურს ჰპოულობს რუსებისა და აფხაზების შეხვედ-

⁴⁷) ნ. მარტი — „Чуваши — яфетиды“ — გვ. 70.

⁴⁸) ნ. მარტი — „Книжная легенда об основании Киева на Руси и Куара в Армении (Изв. Гаишк, ტ. III), გვ. 257 — 287.

რის ფაქტში — მეტყველებაში ე. წ. მათ ნათესაობაში, ცხადია, როგორც ორივე ამ ენის განსაზღვრულ სოციალურ ფენის შეტანილი წვლილი?

კი, რასაკვირველია, ეს ნამდვილი წინაისტორიაა რუსებისთვის, უკრაინისთვის და ქართველებისთვისაც. ქართველებისთვის ისევე, როგორც სომხებისთვის, წინაისტორია — სომხეთის ნამდვილი ისტორია, ქალღების ანუ ურართუს ისტორია, სავე ზღაპრული და იმავე დროს თვალსაჩინოდ დასანახი მშენებლობა არა მხოლოდ ტაძრების, სასახლეების, სიმაგრეების, ქალაქების, არამედ გზების, გრანდიოზული წყალსადენების, რომელნიც ადგილობრივ მთის მდინარეებს ექიშპებოდნენ წყლის სიუხვეში, ვინაიდან ოდენობითაც აქარბებდნენ მათ და დროზე მიწვდის თვისობრივადაც. მეყურება შეკითხვა: „გამოყენებულია, თუ არა ამ გვარი რწყვის გრანდიოზული სისტემა ჩვენი ახალი სამეურნეო მშენებლობის მიერ სომხეთში?“ უპასუხებ: „სათანადო ადგილი უჭირავს თუ არა ისტორიას და არქეოლოგიას ჩვენში? რატომ არაა დაკავშირებული მატერიალური კულტურის ისტორია სამეურნეო მშენებლობასთან?“ მაინც თემას უბრუნდები — ესაა ე. წ. სომხეთის წინა ისტორია, საქმით კი ნამდვილი მისი ისტორია, რომელიც ხშიერი მეტყველების წარწერებითაა აღბეჭდილი კლდეებზე და ქვებზე, და როცა ეს ხშიერი მეტყველება ქალღური თუ ურართული ისტორიის შემქმნელებს ამ მხარის გვიანი მოსახლეობის ენასთან აკავშირებს და სათანადო კავშირზე მატერიალური კულტურის ძეგლებიც ლაპარაკობენ, შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ წინა სომხური ისტორია წინა ისტორიაა, თუმცა დიალექტიკური განვითარების პროცესში ურართებისა და ქალღებისგან გამოსულ სომხებს ისევე არა ახსოვთ რა თავისი ნამდვილი წინარე სამშობლოსი, როგორც ბავშვებს, წვრილებს, თუ მოზრდილებს, თავისი დედის საშოს შესახებ? შეიძლება შევნიშნოთ მხოლოდ ერთი რამ, რომ ამგვარი რე-

გოლუციონური რიგის თითოეული ახალი ისტორიული შენაცვლებისას ლაპარაკია. არა მთელ ხალხზე, არამედ მბრძანებელ ხელმძღვანელ კლასზე, ახალი შემოქმედების მეთაურზე, რომელიც მასურად სრულებითაც არაა დაკავშირებული ქვეყანასთან და ამიტომ ამ მეთაური კლასისა და მის სამეურნეო — საბრძოლო ორგანიზაციის მოძრაობის შესაბამად, და არა მხოლოდ საბრძოლო ორგანიზაციის, არც შიშველი დინასტიით ურართების და ქაღდების ხმიერი მეტყველება დაკავშირებულია ქართულთანაც, გრეთვე ყველა ენასთან. იმავე ისტორიული პროცესის წრიდან.

იგივე ისტორია, სახელდობრ ნამდვილი ისტორიის აღქმა, როგორც წინა ისტორიის, შემჩნეულია სპარსეთშიც, სპარსებისთვის მშობლური ირანელი აქემენიდების ისტორიაც კი წინა ისტორიაა, მითური პერიოდი. რაღა ვთქვათ უფრო ძველ ისტორიულ ხალხზე, მათ რიცხვში ათასი წლებით წინამავალ იაფეტელებზე — შუმერებზე და ელამებზე? მათ შესახებ არა მარტო სპარსელები, არამედ მთელი მეცნიერული სამყარო მსჯელობს იზოლაციით მათგან, ვინც (ე. ი. ირანელებმა) დაიმკვიდრა მათი კულტურული მშენებლობა და, მაშასადამე, მეტყველებაც, და ეს ხდება ინდოევროპეისტიკის ფორმალური მეთოდის კვალობაზე, ეს ხდება მიუხედავად ხმიერი მეტყველების აუარებელი წერილობითი მკვდარი და ცოცხალი მასალებისა.

განა უნდა გვაკვირდეს, რომ ფინური და რუსული ჩრდილოეთის კავშირის შესახებ მესოპოტამიის სამეურნეო კულტურულ მშენებლობასთან კრინტის დაძვრაც კი არ შეიძლება, რადგანაც აქ წერილობითი ძეგლები არა გვაქვს? სამხრეთთან დაკავშირების საზღვრად დადებულია — არაბები და მათზე წინ ირანელი-სპარსელები. ამავე დროს კი ხმიერი მეტყველების საშუალებით შუმერების კავშირი ჩრდილოეთთან იმდენად მუღავნდება, რომ აქაც ამოცანის წინაშე ვდგევართ — განაწილებული

იქნეს საჩვენებელი მასალა სტადიური განვითარების საფეხურების მიხედვით და სავაჭრო დამოკიდებულებათა ეპოქებისაც მათ რიცხვში შეტანით.

ახლა აღმოსავლეთ ევროპას ვიღებო, განსაკუთრებული ინტერესის მონაკვეთს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი პერანგი უფრო ახლოა, არამედ იმიტომაც, რომ ახლა აღმოსავლეთი ევროპის პრობლემა მისი აუცილებლად არა მხოლოდ წინაისტორიული, არამედ ისტორიული კავშირები უფრო აქტუალური ნაწილია დაჭიმული კვლევა-ძიების ყურადღებისა. არქეოლოგები ისტორიკოსებს ეჯიბრებიან, აუარებელი მასალაა დაგროვილი, რომელიც უფრო მეტი დაგროვებით გვემუქრება, მუზეუმები სავსეა მატერიალური კულტურის ძეგლებით, რომლებიც ხშირად თავისთავად, როგორც მასალა, მსოფლიო სამეცნიერო ღირებულებისაა. მაგრამ რა ეტაპზე ვართ ჩვენ მაგ. რუსეთის ხალხის ისტორიის შესწავლაში, თუნდაც წარმოშობის საკითხში? გადაწყვეტილია თუ არა საკითხი რუსების შესახებ? დასახულია, თუ არა კავშირი რუსეთის თავდაპირველ მოსახლეობასთან და დღემდე ყველა საკითხში ერთ ადგილს ხომ არა ვტკეპნით ფინურ-რუსულ საკითხშიც, ბულღარულ საკითხშიც, აზრეთვე ხაზარულ სკვითურ-სარმატულ საკითხშიც, რომ აღარა ვთქვათ რა კიმერულსაკითხზე? ჯერ ხომ ნორმანების საკითხიც არაა ლიკვიდირებული! პრობლემა ჩუდ'ის შესახებ, როგორც რეალური მომენტის და არა ტერმინოლოგიურის, დახლარაუღია არა პალეონტოლოგიური, გოთების სტატიკურ-გერმანული აღქმით, იმ დროს როცა ჩუდ'ი, როგორც 'გოთ'-იც ხორცი ხორცისგან და ძვალი ძვლისაგან სკვითებისაა, ჯერ კიდევ სკვითებ-იაფეტელების. ენის ახალმა მოძღვრებამ განგაში ატეხა არა მხოლოდ აღმოსავლეთი ევროპის, კერძოდ რუსეთის, გაუფენთის შესახებ იაფეტური სამყაროს გადანაშთებით, არამედ თანამედროვე მოსახლეობის (რუსების და უკრაინელების გამოუკლებლადაც) ყოფილ იაფეტელებთან კავშირის შესახებაც, მეტყველების და ყოფა-ცხოვ-

რების კულტურული გადანაშთებით კი ახლანდელ იაფეტელებთანაც.

მაგრამ პრობლემების ამ უწყვეტად ანახვევ გორგალში არის ცენტრალური პრობლემა, — ესაა სკვითური პრობლემა. იგი მთელი აღმოსავლეთის სამეცნიერო-სამკვლევრო საკითხს იპყრობს, საკითხს არა მხოლოდ აღმოსავლეთი ევროპის შესახებ, არამედ შიგნითი აზიის შესახებაც. კოზლოვის ექსპედიციის წვლილმა, მონღოლეთის სიძველეებმა, ხელი შეუწყვეს მხოლოდ სკვითური სამყაროსადმი ინტერესის გაღვიძებას და ისიც მხოლოდ პირველი საუკუნის განათხარი ძეგლების კავშირის გამოძეღავებით ხმელთაშუაზღვეთთან და მის უძველეს, სახელდობრ ეგეურ ხელოვნებასთან. სკვითური პრობლემისადმი ინტერესის აწევას უფრო მეტად შეუწყობს ხელს ახლახან გამოქვეყნებული არქეოლოგიური ამონათხრები, 1928 წლის აპრილის გასულს უნგრეთში მოპოებული.

დასავლეთის ხმეირ ძეტყველებაში წარმოებული პალეონტოლოგიური ძიებანი გვაიძულებენ სკვითურ პრობლემას კელტური პრობლემაც დავუკავშიროთ. აი, ქეშმარიტად, ამ მომენტში მსოფლიო კვლევა-ძიებას მნიშვნელობის პრობლემა, თან განსაკუთრებული მდიდარი მასალით წარმოდგენილი. მისი დაყენება სრული მოცულობით — ესაა იერიში აქამდის მიუდგომელ სიმაგრეებზე, რომელსაც ჯიუტად იცავდენ ძველი მეთოდების დამცველნი; ესაა მთელი ხმელთაშუაზღვეთის, აფრეგრაზიის პრობლემის შემცველი სიმაგრე ელინური ნახევრის და მისი ლათანური ანტითეზის ჩართვით.

მუშაობა დასავლეთში ხმელთაშუაზღვეთის პრობლემის რომანული ნაწილისადმი მისადგომად მხარეთმცოდნეობის მხრივ უნდა იყოს წარმოებული, იაფეტური საზოგადოებრიობის გადანაშთ-ცენტრებიდან, როგორც გამოსავალი წერტილის, კელტური ისტორიული ერთეულების მიზიდვით. მაგრამ დასავლეთში, ერთადერთ ნამდვილად იაფეტურ ბუდეში ბა-

სკურში სამეცნიერო საქმე მეტად სუსტადაა დაყენებული, რომ იმედი ვიქონიოთ ფართე საკითხის დამოუკიდებლად გარკვევისა თანამედროვე ევროპული მოსახლეობის სუბსტრატის შემოქმედებითი ფაქტორების შესახებ და იგი დავუპირისპიროთ კლასიკურ ცენტრალისტურ ნაგებობათა ძალადობას. პარიზშიაც საძნელოა მტკიცე მიღწევანი, როცა ასეთი ქროლვა პრაქტიკულ ნიადაგს პოულობს მატერიალური კულტურის გამოცდილ მკვლევართა შრომებში, როგორიცაა, მაგ. Focillon'-ი მისი თეზით რომანული ხელოვნების შესახებ, რომელსაც იგი და მისი მოწაფეები აყენებენ რომის გავლენისაგან დამოუკიდებელი გენეტიკის კონცეპტით.

ჩვენ კი შექმნილ პირობებში შეიძლება დასამუშავებლად ავიღოთ მხოლოდ ცალკეული ტემპები გამტყდარი, მაგრამ ჯერ კიდევ ძირფესვიანად არ ამოგდებული ბასკური საზოგადოებრიობის ისტორიიდან და წინაისტორიიდანაც.

ამასთან, რა კი ანგარიშგაწეული იყო ლათინურის განშორებაც კი ბერძნულისგან, როგორც ეს უკვე გამოაშკარავდა, უფრო მეტიც, ვინაიდან ინდოევროპეისტები უნარ მოკლებულნი აღმოჩნდნენ ანგარიში გაეწიათ ამ ფაქტისთვის არსებული გამომთიშველი, ფორმალური მეთოდის გამო, ეს ანგარიშგაუწველობა ორგანულადაა დაკავშირებული იმ სრულ უყურადღებობასთან, რომელიც მათ გამოიჩინეს თავისი სიაშკარავით თვალის მომჭრელი ბერძნული და ლათინური ენების კავკასიის, პირენეთის და პამირის იაფეტურ ენებთან შეხვედრის მიმართ. ასე, როცა ძირეული სიტყვაც კი საერთოა, ე. ი. როცა ელადის მოსახლეობა, მაგ., სიტყვაში 'ფეხი' რომაელებს შორდება მხოლოდ ჯგუფური გახმოვანებით — ბერძ. *paus*, ნათ. *po+d+os*, ლათ. *pes*, ნათ. *pe+d-is* ლათინური ნაირსახეობა (*pe+d*, უფრო ახლო დგას ქართ. ფერ-ბ-თან (→ ხალხ. ფე-ბ) ← ბერ-კ (ძვ. ლიტ. კვარცხლ-ბერკ ('ფეხი' resp. 'სამეფო ტახტის ძირი'), ვიდრე ბერძნულთან; ბერძნული ნაირსახეობა კი *po+d* უფრო

ახლოა მეგ. bor+k-თან 'ფეხი'; ამასთან კავკასიაში არის ა'ური ფორმაც შედგენილ ჭან. bar-kal-ში 'ბარდაყი', 'თედო' (შდრ. სემიტ., არაბ. vark-un 'ბარდაყი', 'თედო') სომხ. bar.+d-qid. აღარას ვამბობთ საბერძნეთის მისახლეობის და რომის ინდოევროპული ენების ძირეული განსხვავების შემთხვევების შესახებ, ასე; 1) როცა ბერძ. 'ხელი' χείρ, χεῖρς და როგორც პალეონტოლოგურად დადგენილია μᾶ-იც ისევე, როგორც ქართ. მარ'-ხელ resp-ველ (სვან. ვერდან)' მარჯვენა და მარცხენა ხელის სახელწოდებაში, 2) ბერძნ. οἶσος და ἄσος-ის (= 'პური') გვერდით, 'რკო' — შეუღვლებული ტერმინია bal-an, რომელმაც პურის' სახელწოდებად გადაქცევა მოასწრო რომაელებში (pan-i+s ← +pal-an+i-s) ქართველებში კი პირველი ნაწილი, ელემენტი, უცვლელადაა AB ელემენტის შეუღვლებით ტერმინში qor-bal 'ხორბალი', მეგ. qo-bal პური' და აგრეთვე ეს bal ნაწილი დამოუკიდებლადაც თავისი უზადო კანონზომიერი ორეულის სახითაა შიშინა ჯგუფში pur, რაც ქართულში ახლაც ხმარებაშია ყოველდღიური ჩვეულებრივი სიტყვის მნიშვნელობით 'პური' და სწორედ ეს მნიშვნელობა მისი (პურისა) უკვე ამჟღავნებს არა მხოლოდ იმას, რომ ქართული pur შეთვისებულია შიშინა ჯგუფიდან მისი ძირეული მშობლიური ფენის bal-ის მაგიერ, არამედ იმასაც, რომ კავკასიის იაფეტურ ენათა გარდა (იხ. ზევით: ქ. qorbal, მ. qo-bal და სხვ.) ნარნარა ბგერის შენაცვლებით (l-in-r-თი) ბრეტანული ნაირსახეობა იმავე შეუღვლებისა bar-a (bar-un-დან) აგრეთვე 'პურს' ნიშნავს; 3) რაც შეეხება 'პურის' სახელწოდებებს ბერძნულში, თუ ერთი მათგანი საილუსტრაციო შემთხვევაა, ბერძნული ენის დაახლოვების, სახელდობრ სადანადო ფენისა კავკასიის იაფეტურ ენებთან, სახელდობრ ქართულთან და მეგრულთან (ქ. ჭა-დ 'ძქადი, //+ჭკუ-ღვ მეგრ. ჭკი-ღ-იდ), ესაა ბერძ. οἶσος 'პური', — მეორე; სახელდობრ ar+tos-s სათანადო დანაკეცის ბერძნულ ენას ერთ წრეში აყენებს ბასკურთან, სა-

დაც ar+to ნიშნავს 'სიმინდს' მისი ნაირსახეობით ar-te 'მუხა' (ზღრ. ari-d აგრეთვე 'მუხა').

წინაისტორიის მიხედვით აქტუალურ ინტერესს წარმოადგენენ ბასკები მატრიარქატის გადანაშთებით: ამ მხრივ მათი მეტყველება იმდენად განსაკუთრებულად არქაულია, რომ შესაძლებლობას იძლევა სტადიური განვითარების ის საფეხური გავარკვიოთ, როცა ძველი ბასკები (პრა ბასკები) ძველ ბერძნებთან (პრა-ბერძნებთან) ჯერ კიდევ პირველყოფილ კომუნიზმის მდგომარეობაში იყვნენ საზოგადოებრიობაში სქესობრივ განსხვავების გარეშე; აღნიშნული კი ხშიერ მეტყველებასაც დაეტყო, ასე რომ ბასკებში სოციალური დაჯგუფების წარმოების მეთაური სახელწოდება შენახულია 'ქალის' მნიშვნელობით an+der-e ბერძნებში კი 'მამაკაცის' მნიშვნელობით an-er, +an-der-დან (ნათ. andr-os); ამასთან ორივე შემთხვევაში ტერმინი თავდაპირველი გაგებით ნიშნავდა 'ხელს', 'წარმოების იარაღს'.

ამგვარად ჩვენ გვრჩება ჩვენი ნაწილი, ხმელთაშუაზღვეთის სამკვლევრო ნაწილი, მისი აღმოსავლეთური ნახევარი, ელინური — მისი ეგეური. ე. წ. წინაისტორიით, რომელიც აქამდის ხელშეუხებელია შეუღლებების ანალიზის ახალი მეთოდით დასამუშავებლად და დიალექტიკურ ხლართებში მისი წინააღმდეგობების გადასაწყვეტად. და ამ სიმაგრის აღებას ჩვენ სკვითური პრობლემის და ისტორიული პროცესის ანალიზის მხარეთმცოდნეობის იმ დაყენებით შეეძლებთ მხოლოდ, რაც სკვითებმა განიცადეს ათეულ და მეტ სხვადასხვა სოციალურ ერთეულებთან შეუღლებაში, მათ მემკვიდრე რუსებთანაც და უკრაინელებთანაც; — მაშასადამე, იმ დაყენებით, რომლისთვისაც ვფიქრობ, აქვს განსაკუთრებული საფუძვლები თავის თავი მომზადებულად ჩათვალოს იდეოლოგიურადაც და წყაროთმცოდნეობა — მატერიალურადაც ჩვენმა საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ.

ს. ბიკოვსკი. ამხანაგებო, ერთერთ თავის შრომაში ნ. ი. მარრი ამბობს, რომ ენათმეცნიერებში ინდოევროპულ სკოლასთან ბრძოლის პრობლემა აქტუალური პრობლემაა. ახლა ეს მოხსენებითაც იყო მის მიერ დადასტურებული. ამ ბრძოლასთან დაკავშირებით ჩვენთვის ისტორიკოსებისათვისაც დგას აგრეთვე საკითხი, უკვე არა ლინგვისტიკებისათვის, რომ რუსეთის ისტორიის უძველესი პერიოდი სრულიად სხვანაირი მიმართული ბით იქნას შესწავლილი და არა მარტო რუსეთის ისტორიის, არამედ სსსრკ-ის ხალხთა ისტორიისაც.

მე სიტყვა ავიღე არა იმიტომ, რომ ნ. ი. მარრის მიერ გამოთქმული დებულებები დაგადასტურო, არამედ იმიტომ, რომ მისი თეორიის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე შევჩერდე, რაც შეპრობებულა იაფეტური თეორიის მიყენებით ისტორიული პროცესის შესწავლისადმი. ეს პოლიტიკური მშობენტები ცხადი გახდება, თუ უპირველესად ყოვლისა თვით იაფეტური თეორიის არსებას მივმართავთ. რას წარმოადგენს იგი წინანდელ ინდოევროპულ ლინგვისტიკასთან შედარებით? იაფეტური თეორია, — ვფიქრობ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ასე ვიტყვით, — მარქსიზმია ლინგვისტიკაში. ნ. ი. მარრი თავის მოხსენების დასაწყისშივე ამბობდა, რომ იგი სპეციალურად არაა მომზადებული მარქსიზმში, რომ მას უძნელდება ლაპარაკი ჩვენს, მარქსისტებს შორის; მაგრამ მე უნდა ვთქვა, რომ იაფეტური თეორია მარქსიზმია ლინგვისტიკაში. ასე დარწმუნებით რატომ ვამბობ მე ამას? რასაკვირველია, აქ არ შემიძლია კამათში, და ისიც მოკლე დროში, ეს თეზისი დავამტკიცო, მაგრამ ნება მომეცით თქვენი ყურადღება იმ ფაქტს მივაქციო, რომ იაფეტური თეორიის ყველა დებულება სოციალ-ეკონომიური კულტურის მონაცემებზეა დამყარებული, რომ ისეთი მოვლენები, როგორცაა მორფოლოგიური მოვლენები ენის მეცნიერ-

რებაში „დასმულია“ სოციალურ-ეკონომიურ ფუნდამენტზე. ამ ზედნაშენს, რომელსაც ვიცნობთ ჩვენ მარქსიზმის ზოგადი საკითხებიდან, იაფეტური თეორია ენის მეცნიერებაში აცხადებს და კონკრეტულად ადასტურებს სათანადო მასალით. როცა კი იაფეტიდოლოგებში თავისი სპეციალური კვლევის საგანთა ძიებას მიმართავენ, მუდმივ სოციალურ ეკონომიური კულტურის ფაქტებს ეყრდნობიან. ესაა ზოგადი დებულება არა მარტო მორფოლოგიის მიმართ, არამედ იაფეტური ენის (მეცნიერების) და სხვა განყოფილებების მიმართაც. უკვე ამაში შეიძლება მარქსიზმის დანახვა. ეს მარქსისტული თეზისია.

მაგრამ მე შემიძლია უფრო შორს წავიდე და ვთქვა, რომ იაფეტური თეორია პირველად აიარალებს ენის მეცნიერებას სწორე დასკვნების მატერიალისტური კრიტერიუმით. რაში მდგომარეობს ეს მატერიალისტური კრიტერიუმი? როცა ინდო-ევროპეისტი ანალიზს ახდენს, იგი ფორმას ადარებს ფორმას, მსჯელობას მსჯელობას, დასკვნას დასკვნას. იაფეტიდოლოგი სხვანაირად იქცევა, იგი თავის დასკვნებს შეადარებს და შეამოწმებს სოციალურ-ეკონომიური კულტურის ფაქტებით; აი, რით სწარმოებს შემოწმება. ნათქვამიდან ჩანს, რომ თვით იაფეტური თეორია, როგორც მე გამოვთქვი, წარმოადგენს მარქსიზმს ლინგვისტიკაში. ამის მეოხებით თავისთავად ცხადი ხდება, რომ იაფეტური თეორია ამით პოლიტიკურ მნიშვნელობაში იძენს. და ცხადია, რომ ისტორიკოსი, რომელიც იაფეტიდოლოგთან თანამშრომლობს, ისტორიკოსი, რომელიც კონკრეტული ისტორიული მასალით იაფეტიდოლოგის დასკვნებს ადასტურებს, იგიც, რასაკვირველია პოლიტიკურ საქმეს აკეთებს. მაგრამ ეს ცოტაა. იაფეტური თეორიის მომარჯვებით მიღებული დასკვნები აგრეთვე პოლიტიკური ხასიათისაა. მაგალითისათვის მხოლოდ ორ მათგანს დავასახელებ. ესაა ჯერ ერთი, — დასკვნა ენათა წარმოშობის და ხალხთა წარმოშობის შესახებ, რაც ჩვენთვის, ისტორიკოსებისთვის განსაკუთრებით,

მნიშვნელოვანი იქნება, და მეორე დასკვნა — მომავალი ენის შესახებ. ნება მომეცით დროის უქონლობის გამო მხოლოდ პირველზე შევჩერდე ე. ი. ხალხთა წარმოშობის დასკვნაზე. რაშია მისი არსება? მისი არსება იმაშია, რომ იაფეტიდოლოგების ანალიზის მიხედვით პროცესი ისეთი არ ყოფილა, როგორც მას ინდო-ევროპეისტები გვიხატავენ. ინდო-ევროპეისტების მიერ ეს წარმოსახვითი პროცესი შეიძლება უხეშად აღვნიშნოთ, როგორც გამოკლება. რალაცას რალაც აკლდება, თითოეული ხალხი საიდლანაც გამოიყოფა; იყო რომელიღაც ინდო-ევროპული — მითითური, როგორც ახლა იაფეტიდოლოგების მიერაა დამტკიცებული, ლეგენდარული — რასა, რომლის გვერდით სხვა რასები არსებობდნენ. უნდა ითქვას, რომ ეს ინდო-ევროპეისტული კონცეფცია მჭიდროდაა დაკავშირებული ე. წ. რასულ თეორიასთან, რომელიც თქვენთვის ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ხალხთა ისტორიული აღმოცენების ეს ინდო-ევროპეისტული სქემა, რასულ თეორიასთან მჭიდრო კავშირში მყოფი, შესაძლებლობას იძლეოდა იმის მტკიცებისას, რომ არსებობენ დაბალი და მაღალი რასები, დაბალი და მაღალი ერები, რომელთაგან პირველთ არა აქვთ უფლება დამოუკიდებლად შექმნან კულტურა. მას ქმნიან მხოლოდ მეორენი.

რას წარმოადგენს მთლიანად ეს კონცეპცია? ეს არის იმპერიალიზმის იდეოლოგიის ერთერთი კონკრეტული განსახიერება. რასული თეორია ინდო-ევროპულ ლიგვისტიკასთან კავშირში მყოფი, შეიძლება ასე ითქვას, მანდატს აძლევდა იმპერიალისტებს „კოლონიალური მონების“, მცირე ერების, ნახევარი კოლონიების ხალხების საექსპლოატაციოდ. აი, რაში გამოიხატებოდა ეგ სქემა, და იგი ძვირად უღირდათ ისტორიკოსებს, კერძოდ რუს ისტორიკოსებს, რომელნიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ხალხთა აღმოცენების საკითხს ეხებოდნენ.

იაფეტიდოლოგების კონცეპცია სრულიად საწინააღმდეგოა ამისა. ამგვარი მითური გამოკლების გზით ხალხნი არსად არას-

ოდეს არ აღმოცენებულან, პირიქით, სხვადასხვა ხალხნი შეუღლებების გზით აღმოცენდნენ. რათ ვაქცევ ყურადღებას ამ პუნქტს? იმიტომ რომ სწორედ აქ, ამ პუნქტშია ზევით მოხსენებული დასკვნის პოლიტიკური მნიშვნელობა. მთელ რიგ ხალხებს, რომელნიც დასახელებულნი არიან, მაგალითად, ჩვენი კავშირის ტერიტორიაზე, თავის სხვადასხვა წინაპრებთან ერთად თურმე საერთო წინაპრებიც ჰყავდათ. ამ პრობლემაზე მე მომიხდა მუშაობა, როგორც ისტორიკოსს და არა როგორც ლინგვისტს. ამ პრობლემაზე მე ვმუშაობდი როგორც რუსი ისტორიკოსი და უნდა მივსულიყავი ისეთ დასკვნებთან, რომლებიც არა პრობლემატურია, ან ჰიპოტეზური, არამედ მტკიცედ დამყარებული ფაქტი. ჩემი დასკვნები სრულიად თანხვედნილი აღმოჩნდა ნ. ი. მარკის დასკვნებთან იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთის სლავების ერთერთი წინაპარი კიმერიელები არიან. ეს დადგენილია ჩემს მიერ ისტორიული ფაქტების მიხედვით და მთლიანად დადასტურებულია არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის მონაცემებით. ჩემს მიერ შეკრებილი ფაქტები ნებას გვაძლევს დამტკიცებულად ჩავთვალოთ, რომ სლავების წინაპართა შორის კიმერიელები იყვნენ. რადაა ეს მნიშვნელოვანი? იმიტომ, რომ კიმერიელები იმავე დროს სხვა ხალხთა წინაპრებადაც ჩნდებიან. კიმერიელები ჩანან, სხვათა შორის, შორს აღმოსავლეთშიც, იგინი ჩნდებიან ისეთ რაიონებში, სადაც შემდეგ ბაზილონის სამეფო შეიქმნა. ესევე კიმერიელები ფინელთა ერთერთ წინაპრად ისახებიან; ჩუვაშების ერთერთ წინაპრად და სხვა.

ამ პრობლემის დამუშავებას ბოლოსდაბოლოს არა მარტო ხალხთა იდეოლოგიურ ნათესაობამდის მივყევართ, არამედ სისხლის ნათესაობამდისაც. ისეთი რამ, როგორიცაა ანტისემიტისმი, ძველი წყობილების დროს რუსეთის იმპერიალიზმის ეპოქაში მცირე ხალხთა ჩაგვრა, — ამას მხოლოდ მაგალითისათვის ვიხსენებ, ყველა ეს მეცნიერულად ყირავდება ისტორიულად.

პროცესის რკვევაში იაფეტური თეორიის მიყენებით. ცხადია, რომ, თუ სხვადასხვა ხალხთ საერთოდ თავის სხვადასხვა წინაპართა შორის საერთო წინაპარიც ჰყავდათ, მაშ მათ ძარღვებში რეალურად ერთი და იგივე სისხლი ჩქეფს, მათი სულიერი უნარიანობა ერთნაირია და ამიტომ, რასაკვირველია, ერთნაირად უფლება აქვთ დამოუკიდებელი კულტურული შემოქმედებისა. აი, ის დასკვნა, რომელიც შეიძლება გავაკეთოთ ისტორიული პროცესისა და მის რკვევისადმი იაფეტური თეორიის მიყენების საკითხში. მე ვფიქრობ, რომ ეს პრობლემა აქტუალურია არა მარტო მეცნიერული, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

რასული თეორია, რომელიც აქამდის ინდო-ევროპეისტულ ლინგვისტიკას ემყარება, არ შეიძლება დაძლეულად ჩავთვალოთ, ვინაიდან მრავალი ჩვენი ისტორიკოსი განაგრძობს მის გამოყენებას. მხოლოდ იაფეტური თეორია გვაძლევს შესაძლებლობას საბოლოოდ დავძლიოთ იგი.

6. რუბინშტეინი: უნდა გავაცხადო, რომ მე ენათმეცნიერების სპეციალისტი არა ვარ, უფრო მეტიც ენათმეცნიერებიდან ძლიერ შორსა ვდგევარ. ჩემი ცოდნა ამ მხრივ ზეგ-ზევითია და ამ საკითხთან მივდივარ განსაკუთრებით, როგორც ისტორიკოსი, ისტორიაში იაფეტიდოლოგიის მონაცემთა გამოყენების გზების საკითხის თვალსაზრისით. პირველი ძირითადი საკითხი, რომელიც ჩემს წინა დგას: ნ. ი. მარრი აქ ლაპარაკობს ენათმეცნიერების განვითარებაზე სოციალური ფაქტორების გავლენის შესახებ, როგორც იაფეტიდოლოგიის საფუძველზე. მე ვფიქრობ რომ ენის განვითარებაზე ამ ფაქტორების გავლენა უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად განისაზღვრება იმ ხაზით, რასაც სემანტიკა, ეწოდება ე. ი. მნიშვნელობის, აზრის ევოლუციით და ეს სემანტიკური ევოლუცია მოხსენების ცენტრში იდგა. მაგრამ სემანტიკური განვითარების გვერდით ენის ბგერითი განვითარება დგას, ბგერითი ბაზა, ის ბაზა, რომელიც

მომხსენებელმა დროის უქონლობის გამო ვერ მოგვცა; იგი იაფეტურ თეორიაშიცაა. აქ ჩემს წინაშე დგას ენობრივი ისტორიის ამ ორი მხარის ურთიერთობის პრობლემა. განვითარების განსაზღვრულ დაბალ სტადიაზე თითოეულ ტომობრივ ერთეულში ყალიბდება განსაზღვრული ბგერითი ბაზა, ენობრივი მარაგის განსაზღვრული მინიმუმი. ეს პირველი მომენტი, რომლის გამოსავალ მნიშვნელობას ამ ბგერითი ბაზის შემდგომმა ევოლუციამ ანგარაში უნდა გაუწიოს შინაარსის გამდრებების ხაზით, მისი გართულების ხაზით. ეს შემდგომი განვითარება სოციალური ფაქტორებითაა შეპირობებული, მაგრამ განსაზღვრულ ბგერით ბაზასთან ერთად, რომელიც განსაზღვრული ბგერითი ძაფივით უნდა გადიოდეს შემდგომ განვითარებაშიც. ამიტომ შეგვიძლია ლაპარაკი ერთის მხრივ სხვადასხვა რაიონებში სხვადასხვა საფეხურების გაიგივების შესახებ და მეორე მხრით — ენათა გადახლართვის შესახებ და გართულების შესახებ ურთიერთ გაჟღინთვის და ნასესხობის გზით. ამასთან ნასესხობას აქაც შეიძლება ბგერითი ხასიათი ჰქონდეს ახალი შინაარსის დამატებით — ამათუიმ ენობრივი კომპლექსის შინაარსის გამდიდრება. მაგრამ შესაძლებელია ნასესხობა, მე ვიტყვოდი, წმინდა სემანტიკური ხასიათისა — მნიშვნელობათა ერთგვარობის გამო. ეს უკვე სოციალურად შენელებული, რამდენადმე ენის ლოგიკური ევოლუციაა.

ახლა კი უფრო კონკრეტულ საკითხზე გადავდივარ. ჩვენ ვლაპარაკობთ ნასესხობაზე იქ, სადაც გაიგივება გვაქვს სემანტიკური მნიშვნელობის მხრივ. მე ვამბობ, რომ სემანტიკური მნიშვნელობის იგივეობა შეიძლება განხორციელდეს სწორედ განსაზღვრული სოციალური პირობების ძალით, მაგრამ აღნიშნული ჯერ კიდევ უფლებას არ გვაძლევს სრული ენობრივი გაიგივებისას. მე შესაძლებელია გამომეპარა სმენიდან, მაგრამ ჩემთვის სავესებით ნათელი არაა ის მნიშვნელობა, რომელიც სიტყვა 'ხაზარების' სტრუქტურას ეძლევა, მისი სემანტიკური

მნიშვნელობის ტოპიურობას — „მზის შვილები“. სრულიად ნათელია, რომ შინაგანი შინაარსი ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობით განისაზღვრებოდა: ხაზარები განსაზღვრული რაიონის მოსახლეობაზე ბატონობდნენ, სამხრეთ რუსეთზე და უკანასკნელს ხაზართა მიჰართ განსაზღვრულ წარმომადგენელთა კომპლექსი შეუმუშავდა, რაც ამ ტერმინის სემანტიკაში აშკარავდება. განსაზღვრა, რომელიც ამგვარსავე მდგომარეობაში ეძლევა სხვა ხალხთა მიერ სხვადასხვა ერთგვარ შემთხვევებში, მხოლოდ ცალკე ენის შინაგან სტრუქტურულ განვითარებას ახასიათებს, პრობლემის მხოლოდ ერთ მხარეს სწყვეტს. პირუკუ მაგალითი: გვაქვს ერთი და იგივე ჟღერა, შინაარსი კი სხვადასხვა. მაშ, იმ გზით უნდა წავიდეთ, რომ უბრალოდ მოვინახოთ ერთის შინაარსის გართულების ლოგიკური გზებისადმი გადასვლა მეორეში, რათა ამ ორი ჟღერის სემანტიკური გენეზისი გავაიგივევოთ და ანგარიში არ გაუწიოთ ამასთან იმას, რომ თვით ჟღერის კომპლექსები ფიზიოლოგიურად შეზღუდულია? შემდეგ ამ ცალკე გაკვრითი შენიშვნებიდან უფრო ფართო პრობლემაზე გადავალ: გზა რომლითაც ნ. ი. მარჩი მიდის — ეს გზა განსაკუთრებით ძვირფასია ენათმეცნიერებისათვის. იგი შესაძლებლობას იძლევა მართლაც ენათა მთელ ჯამს მოვხვიოთ ხელი და ევოლუციის ერთნაირი კანონზომიერება დავამყაროთ. მაგრამ ჩვენთვის, ისტორიკოსებისთვის, რომელთაც ენობრივი მასალა უნდა გამოვიყენოთ ისტორიულ კვლევა-ძიებაში, მნიშვნელოვანია აგრეთვე პრობლემის მეორე მხარე — ამ ერთიან მთლიანობაში შინაგანი საშუალებით ზღვრების დამყარება, შემდეგ ბგერითი მასალის განვითარების ეტაპების დადგენის შესაძლებლობა, ბგერითი კომპლექსების ურთიერთობანი ისტორიული დასკვნების გასაკეთებლად. ამხ. ბიკოვსკიმ მოიყვანა მაგალითი: იგი მიგვითითებდა კიმერიელების როლზე, რომელნიც აღმოსავლეთ ევროპაში დასახლებულ სხვადასხვა ხალხებს ისტორიულად და დიალექტიკურად აერთიანებდნენ. და, მაშასა-

დამე, არის რაღაც პირველადი კომპლექსი, რომლიდანაც შემდგომი განშტოებანი მოდის. ამ განშტოებათა დადგენის შესაძლებლობა, მათ შორის ისტორიული ზღვრების, ისტრიკოსს უეჭველია ძვირფასს ძაფებს მისცემს ხელში.

ამას მე მიყვებარ პრობლემის შემდეგნაირ დაყენებამდის: ნ. ი. მარრის თეორია ერთის მხრით აქ არ მოხსენებულ ამ პირველადი ბგერითი კომპლექსის სოციოლოგიურ ჰიპოტესას იძლევა — ენის ისტორიაში პირველ ეტაპისას. აქ ახსნილი ენის სემანტიკურ ევოლუციას მე უწოდებდი მესამე ეტაპს, მაგრამ რჩება ამ ორი გზის გაერთიანების საშუალებით ეტაპი, მათი ურთიერთ გაუღინთვის, პირველი ეტაპის მესამეში შეზრდის ეტაპი. მე იმასაც კი ვიტყვოდი, რომ აქაა იქნება, ძირეული, ცენტრალური პრობლემა ისტორიკოსებისთვის. სწორედ ეს საკითხი მინდოდა მომხსენებლისათვის დამეყენებინა, როგორც ძირითადი; იქნებ სათანადო მითითებანი მის საბოლოო მიტყვაში მივიღოთ.

გ. აპტეკარი: მე მინდა ზოგიერთ იმ საკითხზე შევჩერდეთ რომელნიც ნ. ი. მარრის მოხსენებასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. რასაკვირველია, ისტორიკოსებისთვის ლინგვისტიკის საკითხები უცხო არაა. ლინგვისტიკა ხომ — ისტორიული მეცნიერებისთვის ერთადერთი დამხმარე დისციპლინაა, რომლის მონაცემებს განსაკუთრებით ისტორიკოსებმა უნდა გაუწიონ ანგარიში, რომელთაც საქმე აქვთ უძველეს ფორმაციებთან კაცობრიობის საზოგადოების განვითარებაში. ისტორიკოსი — მარქსისტი ე. ი. ისეთი ისტორიკოსი, რომელსაც ისტორიული პროცესის სვლის შეგნებული აღდგენა სურს დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის გამოყენებით, ბუნებრივია, ყველა ფაქტის ანალიზი, მათ რიცხვში ლინგვისტიკური ფაქტების ანალიზიც, დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდით უნდა გაატაროს. ამავე დროს კი ახლა გაბატონებული მდგომარეობა სრულიად წინააღმდეგ სურათს იძლევა. ჩვენ შეგვიძლია საკმარ.

ფაქტები დავასახელოთ, როცა მეტად გაწვრთნილი ჩვენი შკვლევარი — მარქსისტები, ხალხი, რომელთა ცოდნა დიალექტიკური მატერიალიზმისა არავითარ ეჭვს არ იწვევს, როცა მათ ლინგვისტიკასთან აქვთ საქმე, სრულიად დაუშვებელ, თვალში საცემ, თუ გნებავთ, იდეალისტურ მომენტებით მოქმედებენ. ეს იდეალისტური მომენტები, უპირველესად ყოვლისა ლინგვისტური ფაქტების ანალიზისადმი მიდგომაშია დამალული და იწვევს იმას, რომ ხშირად დიალექტიკოს-მარქსისტების ბრწყინვალე ნაგებობა გამძლეობას მოკლებულია. ინდოევროპეისტიკა, რომლის შესახებ ლაპარაკობდა ამხ. ბიკოვსკი, ამ ჟამად ღრმა კრიზისს განიცდის, რომლის ფესვები თვით ამ ინდო-ევროპული ლინგვისტიკის არსებაშია. ამ ჟამად უფრო სწორი იქნებოდა გველაპარაკნა არა ინდო-ევროპულ ლინგვისტიკაზე, როგორც ერთ მთლიან რამეზე, არამედ მთელ რიგ მიმართულებებზე მასში. ყველა ეს მიმართულება რომელთაგანაც თითოეულს პრეტენზია აქვს ორთოდოქსალობისა, ერთ რამეში შეთანხმებული არიან: მათი მეთოდოლოგია სრულიად მერყევია და ამ მეთოდოლოგიის ყველაზე დამახასიათებელი თვისება მისი შიშველი ფორმალიზმი. თუ ახლა ე. წ. იაფეტიდოლოგიას შევხებით, უპირველესად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ თავის განვითარების ახლანდელ ეტაპზე, — და ნ. ი. მარრის შეხედულებათა განვითარება კი მთელ ეჭვს ეტაპს შეიცავს, რაც არ უნდა დაივიწყონ იმათ, ვისაც ამ თეორიის არსება სურს შეიგნოს, — მეექვსე ეტაპზე ტერმინი „იაფეტური თეორია“ სხვა არა არის რა, თუ არა ანაქრონიზმი. არსებითად ჩვენ საქმე გვაქვს აქ არა იაფეტურ თეორიასთან. ეს ტერმინი შეიძლება გვეხმარა პირველ ეტაპზე, მაგრამ უკვე მეოთხე ეტაპიდან დაწყებული, მან თავის თავი ამოიჭამა. ჩვენ არსებითად საქმე გვაქვს ენის სტიქიურად დიალექტიკურ-მატერიალისტურად გაგებასთან. მე არ ვეთანხმები საკითხის ისეთ დაყენებას, რომელმაც ამხ. ბიკოვსკიმ მოგვცა, განცხადებით, რომ ვითომ ჩვენ

საქმე გვაქვს მარქსიზმთან ლინგვისტიკაში. არა, ეს ასე არაა: ნ. ი. მარჩმა სრულიად სწორად აღნიშნა, რომ იგი მარქსისტი არაა (ამას განსაკუთრებით ახლა უნდა გაუსვათ ხაზი, როცა მეტიმეტად სანუკარია ამ სახელწოდების ტარება და როცა მრავალი პირი, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო მარქსიზმთან, კერძოდ იმავე დარგში — ლინგვისტიკაში, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში და მეტადრე აქ მოსკოვში, მეტის მეტად ელოლიებიან „მარქსიზმს“). იგი მარქსისტი არაა, ვინაიდან ამ საკითხებთან „სტიქიურად“ მიდის. მისი დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგება თვით მასალებში დაიბადა. იგი უკვე დიალექტიკური მეთოდით მუშაობს, მაგრამ უმეტეს ნაწილში იგი მას შეგნებული არა აქვს. ეს უმნიშვნელოვანესი ღვაწლია, როცა ადამიანი დამოუკიდებელივ, მასალებით მივიდა მარქსიზმთან. მაგრამ ნ. ი. მარჩის „სტიქიურობას“ განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვათ იმიტომ, რომ ვინც მის კვალზე მიდის არ იფიქროს, რომ საკმარისია დაადგინოს „იაფეტური თეორია“ — ბრჭყალებში ვსვამ მე მას — იმ სახით, როგორც იგი მარჩის ნაშრომებშია წარმოდგენილი და ეს იქნება მარქსიზმი. მარჩმა ამერიკა აღმოაჩინა ლინგვისტიკის დარგში, იგი მარქსიზმის რელსებზე გადავიდა, მაგრამ მარჩის მიმდევრებს უფლება არა აქვთ ხელახლა აღმოაჩინონ ეს გრძელი გზა შერყეობისა იდეალისტური ახსნიდან მარქსიზმისკენ. მათ უნდა პირდაპირ მარქსიზმიდან დაიწყონ, დიალექტიკური-მატერიალიზმის მეთოდი მოიმარჯვონ და არა სტიქიურად, არაძედ შეგნებულად გამოიყენონ იგი ლინგვისტიკის დარგში. მხოლოდ მაშინ გვექნება მართლაც არა სტიქიური, არამედ შენებულად გამძლე ლინგვისტიკის მარქსისტული თეორია. მე ასეთ თაქტს დავასახელებ: ერთ-ერთმა ლენინგრაძელმა ისტორიკოსმა, მარქსიზმთან ახლო მყოფმა ამხ. კუვალევმა ლენინგრადის მარქსიზმის სამეცნიერო-სამკვლევრო ინსტიტუტში თავის მოხსენებაში კონკორდატის პრინციპი წამოაყენა მარქსიზმსა და იაფეტურ თეორიას შო-

რის. კოვალევის აზრით მარქსისტებმა იაფეტური თეორია ენის მარქსისტულ თეორიად უნდა აღიარონ. იაფეტურმა თეორიამ კი თავის თეორიულ ბაზად მარქსიზმი უნდა დაისახოს. ამ გამოსვლამ საფუძველი მისცა ზოგიერთ ამხანაგს ცალ-ცალკე ეგულისხმათ მარქსიზმი და მარრიზმი. ისინი აგიტაციას ეწევიან ნ. ი. მარრის წინააღმდეგ. მის შეხედულებათა წინააღმდეგ, ცრუ განგაშს ქმნიან და ისვრიან ლოზუნგს: „ამხანაგებო, მტკიცედ იდექით მარქსიზმის ნიადაგზე მარრიზმთან შეჯახებისასო“. ნ. ი. მარრის განვითარების მთელი სვლა იმით ხასიათდება, რომ მასში უფრო ნაკლები რჩება მარრიზმი და უფრო მეტ ელემენტებს ვიღებთ მარქსიზმისას. მაგრამ თუ ნ. ი. მარრის მიმართ უნდა ვთქვათ, რომ მისი მთავარი მუშაობა, რასაკვირველია, მიმართული უნდა იყოს სამკვლევრო მუშაობის შემდგომი წარმოებისაკენ, მის მოწაფეებს, რომელთა რიცხვი უფროდაუფრო მრავლდება, უნდა მივცეთ დირექტივი, რომ მარრიზმზე კრინტი არ დასძრან, რომ პირდაპირ მარქსიზმიდან უნდა დაიწყონ. ამისათვის კი ჯერ უნდა მარქსიზმი იქნას შესწავლილი და შემდეგ შეგნებულად ლინგვისტიკის დარგში გადატანილი.

ა. მუხარჯი; ამხანაგებო, მე ლინგვისტი არა ვარ და არც ფალოლოგი, რომ ამხ. მარრის მოხსენების შესახებ ვილაპარაკო, მაგრამ მე იმ აზრისა ვარ, რომ მის თეორიას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიკოსებისათვის და სიტყვა ავიღე, როგორც ისტორიკოსმა. მე-19-ე საუკუნეში ბურჟუაზიულმა მეცნიერმა მაქს მიულერმა და სხვ. დაარსეს ფილოლოგიის რასული თეორია და ინდო-გერმანული რასული თეორია. ამ თეორიებს მნიშვნელობა ჰქონდა და ასეთისე ჩვენი ცოდნა წინ წასწიეს, დაამტკიცეს რა, რომ ძველად ლინგვისტური ერთსახეობა არსებობდა. ამ ერთსახეობის მიზეზს ისინი ინდო-გერმანული რასის წარმოშობაში ხედავდნ. მაგრამ მე-20-ე საუკუნეში, როცა ისტორიის მეცნიერებამ დაწვრილებითი ზმფორმაცია მოითხოვა ინდო-ევროპული რასები-

საგან იშის შესახებაც, თუ დაპყრობილ ინდოეთში რატომ გა-
დასხლდენ, — ბურჟუაზიული რასული ფილოლოგიური თეორია
უვარგისი შეიქმნა. მიუხედავად ამისა ამ ბურჟუაზიულ თეო-
რიას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა: მან გვიჩვენა, რომ
ბუნების კანონის თანახმად, ძლიერმა რასამ უფრო სუსტი უნდა
დაიმორჩილოს.

ამხ. მარრის თეორიამ, რომ ენის წარმოშობა ეკონომიურია
და არა რასული, შუქი მოჰფინა ბურჟუაზიული თეორიის სა-
ფუძვლებს. იაფეტური თეორია გვაიძულებს ვაჭრობაში გამო-
ყენებული ნივთების სახელწოდებების ძველ მსგავსებას შევხე-
დოთ. მე მაქვს კარგი ლექსიკონი ჩვეულებრივი სიტყვებისა,
რომლებიც იხმარება ინდოეთში, მაღაის არქიპელაგზე და ია-
პონიაში — აღმოსავლეთსა და საბერძნეთში, ასურეთსა და ბა-
ბილონში — დასავლეთში, მაგრამ მე არ შემიძლია დავეყრდნო
მათ, აქ მარრის თეორიის ენის ეკონომიკური წარმოშობის შე-
სახებ — მათი პირდაპირი მიმართების გარეშე. ხაზს გაუსვამ
მხოლოდ იმ ფაქტის ისტორიულ მნიშვნელობას, რომ იაფე-
ტურმა თეორიამ შეძლო რასული წარმოშობის ბურჟუაზიულ
თეორიას დაპირისპირებოდა. ჩვენ შეგვიძლია ახლა ვთქვათ, რომ
არსული რასა არ არსებობდა, რომლის შესახებ ლაპარაკობს
ინდო-გერმანული თეორია. მის მაგიერ იყვნენ სხვადასხვა ცალკე
ტომები, როგორც კავკასიური, ისე სემიტური წარმოშობისა.
მაშინდელი ტრანსპორტის პირობებში სავაჭრო ოპერაციები
ძნელი საქმე იყო. ცალკე ტომების ჯგუფებს საქონელი გადა-
ქონდათ ერთი ტომიდან მეორეში. ამ გზით ვრცელდებოდა
ძველ დროში არა მხოლოდ ენა, არამედ ცივილიზაციაც. ამან
კი უკვე მიგვიყვანა იმ დროის კლასობრივი ბრძოლის კარებ-
თან, აგრეთვე კლასობრივ ომთანაც.

ამგვარად, მარრის თეორია არის არა მხოლოდ ფილოლო-
გიის და ისტორიის ბურჟუაზიული თეორიის განვითარება,
იგია რევოლუციონური თეორია და რამდენადაც ამხ. მარრი

ამ თეორიის საქმეს აკეთებს პროლეტარიატის დიქტატურის დროს და პროლეტარიატთან ერთად (ფაქტი, რომელიც იმით მტკიცდება, რომ იგი აქ პრეზიდუმის წევრია), — მისი თეორია ბურჟუაზიული თეორიის პროლეტარული განვითარებაა, ვინაიდან იგი ენის წარმოშობის და განვითარების ეტაპის ეკონომიურ ახსნაზეა დაფუძნებული და კლასებისა და ძველი დროის კლასობრივი ბრძოლის გაგებას ხელს უწყობს. უფრო მეტიც: ვინაიდან ამხ. მარტი პროლეტარიატის დიქტატურას აღიარებს. მისი თეორია ფილოლოგიის ბოლშევიკური თეორიაა და ჩვენ, რევოლუციონური პროლეტარული ისტორიკოსები, ვესალმებით მას.

ი. კუსიკიანი: პირველი კითხვა, რომელიც ისტორიკოსს ეხება იაფეტური თეორიის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ, ეს არის კითხვა, რაღა მნიშვნელობა აქვს ამ თეორიას ისტორიკოს-მარქსისტისათვის. მე მინდა ამ თეორიის მნიშვნელობა კონკრეტულ მაგალითზე გიჩვენოთ, ვინაიდან ამგვარ მაგალითებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ზოგად მსჯელობას.

შემდეგი ფაქტის აღნიშვნით დავკმაყოფილდები: მთელი რიგი წლების განმავლობაში ვიკვლევდი ფეოდალური საშუალო საუკუნოების ისტორიას სომხეთში, ახლა კი იაფეტური თეორიის შესწავლის შემდეგ იმ დასკვნამდის მივედი, რომ მე ვიკვლევდი არა ფეოდალურ სომხეთს, არამედ, ფეოდალურ ამიერ-კავკასიას. თითქოს აქ სიტყვათა შენაცვლება მოხდება სომხეთი ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა რიცხვში შედის და, მაშასადამე, აქ არაფერია გასაკვირი, რომ ფეოდალური სომხეთის შესწავლიდან მე გადავედი ფეოდალურ ამიერკავკასიის შესწავლაზე. ამავე დროს კი ეს შენაცვლება იაფეტურ თეორიასთან დაკავშირებით მოხდა, ცნობილია, რომ სომხური ენა ძველ ბურჟუაზიულ მეცნიერებათა მიერ ინდო-ევროპულ ენათა ჯგუფშია მოქცეული და აქამდის იქა რჩება მიუხედავად იმისა, რომ იაფეტურმა თეორიამ დიდიხანია დაიწყო ამ საკითხის

დამუშავება, ამ ენის კვლევაში ეტაპების მთელი რიგი გაიარა და ახალ დასკვნებამდის მივიდა. მაშ, რა მომცა იაფეტურმა თეორიამ თითქოს წმინდა ისტორიული საკითხების შესწავლისას? აი რა მომცა: თურმე სომხური ენა, რომელიც ქრონოლოგიურად ორ ნაწილად იყოფოდა — ძველი და ახალი ენა, ერთი ენა არაა, არამედ სომხურ ენებად ნაწილდება. ამასთან, ძველი სომხური ენა, იაფეტური თეორიის მიხედვით, თავისი სისტემით უფრო გვიანი აღმოჩნდა, ვიდრე ახალი, ან ის ახალი ენები, რომელზედაც სომხეთის გლეხები ლაპარაკობენ, თანამედროვე სომხები, ქალაქების მოსახლეობა და ა. შ. თითქოს გადანაცვლება მოხდა, რაც ისტორიკოსისათვის საშიში არ არის; მაგრამ ეს ასე არ არის: თურმე ამასთან დაკავშირებით ისტორიკოსთა შრომებში ძლიერ ბევრი რამ გადატრიალდა; როგორც სომეხ, ისე ევროპულ ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა შრომები არა მხოლოდ გადასინჯული უნდა იყოს, არამედ არქივს უნდა ჩაბარდეს. რითაა გამოწვეული ასეთი მკვეთრი მსჯელობა, იკითხავთ თქვენ. იგი გამოწვეულია თუნდაც იმით, რომ როცა ისტორიკოს-მარქსისტები, კერძოდ მეც, ცალკე საკითხებზე ვმუშაობთ — ძველი სომხეთის კლასების საკითხებზე და ცალკეულ ტერმინებს შევხვდებით, ამ ტერმინების ახსნა ინდო-ევროპული თეორიის თვალხედვით უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია — ძველი ახსნა-განმარტებანი მერყევია და ხშირად მთელი ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ტერმინებს წინასწარ დადგენილ ჩარჩოებში ათავსებენ; ამ გვარი ნაძალადეობა კი ისტორიკოს-მარქსისტისთვის მიუღებელია. ამჟამად სომხეთში მუშაობენ მრავალი ტერმინის ამგვარად განხილვაზე, რასაც ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ შემთხვევაში იაფეტური თეორია უნდა იყოს მშველელი. ეს ერთი ფაქტი.

შემდეგ მეორე ფაქტი ავიღოთ, რომელიც სომხური ენის და მეზობელი ენების ურთიერთობას ეხება. თუ თქვენ გაშლით

ინდო-ევროპეისტების ყველა უმთავრეს ნაშრომს, თანამედროვე უდიდეს ბურჟუაზიულ მეცნიერ მეფეს ნაშრომებსაც კი, ნახავთ, რომ მათი მიხედვით სომხური ენა ბედნიერი გამო-ნაკლისია კავკასიაში; იგი ერთადერთი ინდო-ევროპული ენაა კავკასიაში, დანარჩენი ენები კი უცნობი ჩამომავლობისაა, როგორც მაგალითად, ქართული ენა. უფრო მცირე ხალხთა ენების შესახებ კი ლაპარაკიც ზედმეტია. რა გააკეთა იაფეტურმა თეორიამ? მან მთლიანად დაანგრია ის კედელი, რომელიც არსებობდა, ვთქვათ თუნდაც სომხურ და ქართულ ენებს შორის. განა ეს საკითხი მართლ ლინგვისტიკურია? რასაკვირველია, არა! ერთი გვერდი მას ლინგვისტიკური აქვს, მეორე კი — ისტორიული. ისტორიკოსს ახლა შეუძლია იცოდეს, რომ თავისი სტრუქტურით სომეხ ფეოდალთა ენა, ის ენა, რომელსაც წინათ ძველ ენას უწოდებდნენ, თანამედროვე სომხურ ენაზე უფრო ახალია, თანამედროვე სომეხთა ენა კი წარმოშობით, სისტემით უფრო ძველია. თურმე სომეხ-ფეოდალთა ეს ძველი ენა თავისი ხასიათით, სტრუქტურით ახლო დგას ქართველ-ფეოდალთა ენასთან, კლასობრივი სიანლოვე აქ აშკარაა ცალკე ტერმინებითაც და ცალკე წარმოდგენებითაც. აი, იაფეტური თეორიის მიღწევა. ის, რის ახსნა ინდო-ევროპეისტებმა ვერ შეძლეს, ახლა ახსნილია იაფეტური თეორიის მიერ. ესაა მისი უდიდესი, განსაკუთრებული მიღწევა. ეს გარემოება ჩვენ, ისტორიკოსებს მხედველობაში უნდა გვქონდეს იმიტომ, რომ ახლა ლაპარაკობდნენ. ი. მარტი „ტექნიკის“ შესახებ, იმ ტექნიკის, რომელიც ენათმეცნიერებაშიც განსაკუთრებით გვჭირია. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ საქმე ეხება არა მხოლოდ ამიერკავკასიას. უბრალოდ რომ ვიკვლიოთ, უკრაინაშიც, რუსურ-შიც და ჩვენი კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებშიც, აგრეთვე ევროპაშიც, მთელ დედამიწაზე — ამ გვარსავე საკითხებს ვნახავთ, რომელნიც სწორეთ იაფეტური თეორიის თვალსაზრისით უნდა გადაწყდეს და თუ ზოგიერთ შემთხვევაში იაფეტური თეორიის

მიერ ჩატარებულმა მუშაობამ ხალხთა განცალკევებული კედლები დაანგრია, თუ ეს კედლები დანგრეულია და მე ვფიქრობ, დანგრეულია საბოლოოდ, — ეს ფაქტი არა მარტო ლინგვისტურია, არამედ ისტორიულიცაა. საჭიროა ამას ჩაუფიქრდენ მრავალი მათგანნი, ვინც იაფეტურ თეორიას არ იცნობს. ვიმეორებ, ეს თეორია დიდ დაჭიმვას მოითხოვს, რომ იგი გაგებული იყოს. მაგრამ წინდაწინ შეიძლება ვთქვათ, რომ ყოველი ისტორიკოს-მარქსისტი, რომელიც მის მნიშვნელობას შეიგნებს იგრძნობს, რომ ამაოდ არ იმუშავა ამ თეორიაზე.

3. კუშნერი; იაფეტური თეორია — უეჭველად სოციოლოგიური თეორიაა, იმიტომ რომ იგი ჩვენს წინაშე აყენებს საზოგადოებრივი განვითარების მიმართულების ძირითად პრობლემას. თუ ეს თეორია ისტორიული მატერიალიზმის მიხედვით დეტალური კრიტიკული შემოწმების შემდეგ სწორი აღმოჩნდება, იგი შესაძლებლობას მოგვცემს გადავწყვიტოთ ისეთი საკითხები სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმების გენეზისის დარგში, რომელნიც აქამდის გადაწყვეტილი არაა. კერძოდ, აკად. მარრის მოხსენების უკვე ზოგიერთი ჩვენება შესაძლებლობას იძლევა ვთქვათ, რომ იაფეტური თეორია ახლაც ისახავს გზას მარტიარქატის გენეზისის საკითხის გადასაწყვეტად. კვლევა-ძიება ბასკების შესახებ იმას გვიჩვენებს, რომ ამ ხალხში მარტიარქატი ალბათ პირველადი მოვლენა იყო, მეტად ადრეული. შემდეგ იაფეტური თეორია მეტისმეტად საინტერესო მომენტებს იძლევა ტოტემიზმის გავრცელების გაგებაში. თუ მართლაც ასე ფართოდ იყო გავრცელებული ტოტემური სახელწოდებები ყოველგვარი დასახლებული პუნქტებისა, მდინარეებისა და აგრეთვე ხალხებისა, მაშ, ტოტემიზმი საერთოდ გავრცელებული, მსოფლიო მოვლენა ყოფილა, და არა ადგილობრივი, რომელიმე ტერიტორიით შემოფარგლული. ამ თეორიას შეუძლია მოგვცეს სრულიად ახალი გაგება კაცობრიობის ძირითად საწარმოო ხელობათა გენეზისისა: მესაქონლეობის და

მიწათმოქმედების. შემდეგ, იგი საკუთრების წარმოშობის საფუძვლების გაგებას იძლევა. ყველა ეს პრობლემა გადაწყვეტილი არაა და მეტად საკამათოა სწორედ მათი ქრონოლოგიის მხრივ.

ბოლოს, კლასთა წარმოშობის საკითხზე. აქაა მართლაც უმთავრესი ადგილი იაფეტური თეორიისა მისი განვითარების ახლანდელ სტადიაზე. აკადემიკოს მარრის გამოსვლაში კლასი — სრულიად განსაზღვრული ცნება არაა, კლასობრივი ბრძოლა და კლასობრივი დიფერენციაცია მეტად უშორეს დროშია გადატანილი, თითქმის პირველყოფილ ხანაში და, ბოლოს, ისე ფართოდაა დაყენებული, რომ ბოლოსდაბოლოს ან უნდა გავანიშანდობლივოთ ეს ცნება, ან ვთხოვოთ რეფერანტს რაღაც დამატებითი საბუთები, რომ მართლაც იმ დროს კლასები არსებობდა. მე ერთ მცირე შავალითს დავასახელებ იმავე ბერძნული სიტყვის პოსეიდონის გამო. რაკი ეს სიტყვა სამი ნაწილისაგან შედგება და თითოეული ნაწილი წყლის სახელს წარმოადგენს, აკად. მარრი დაასკვნის, რომ ამგვარი არა კონკრეტული ცნება, არამედ განყენებული, სიმბოლური, შეიძლება მხოლოდ გაბატონებული კლასის ცნებად ყოფილიყო, ან ყოველ შემთხვევაში ძლიერი სოციალური დიფერენციაციის ეპოქაში გაჩენილიყო. მაგრამ ამის ახსნა სხვანაირადაც შეიძლება. შეიძლება იგი ახსნილი იყოს ასეც: რამდენიმე ტომი, ჯგუფი, რომელთაც სრულიად სხვადასხვა ენა ჰქონდათ, შეერთდნენ; მაგრამ შეიძლება მათში კლასები არც ყოფილიყო, უკლასო საზოგადოება ყოფილიყო. ჩვენ ვიცით მთელი რიგი მაგალითებისა, როცა უკლასო საზოგადოებები ერთდებიან და ახალი უკლასოვე საზოგადოება ჩნდება, რომელშიც, ალბათ თითოეული ცალკე ჯგუფების ყველა ენობრივი მასალები ასეთუისე შეერთებულიყვნენ.

შემდეგ, როცა აკად. მარრი ბერძნებსა და რომაელებს შორის კლასობრივ განსაზღვრაზე ლაპარაკობდა, დასახელებული

პუნქტების (სოფლისაც და ქალაქისაც) ოთხი-ხუთი ცალკე ზოგადი სახელები ჩამოთვალა. აკად. მარრის აზრით ეს იმას მიუთითებს, რომ აქაცაა კლასობრივი დიფერენციაცია, აქაცაა რალაც ალბათ სოციალური-დაჯგუფება. ამ მხრივ მასთან საკამათო არა გვაქვს რა, ვინაიდან იგი იღებს წერილობითი ეპოქის ენას და წერილობითი ძეგლების თანახმად ლაპარაკობს. მაგრამ, მრავალ ხალხთა განვითარების მიხედვით მწერლობა უკვე მაშინ ჩნდება, როცა საზოგადოების დიფერენციაციამ მართლაც კლასობრივ ფორმებს მიაღწია. მაგრამ ამ წერილობითი ეპოქის ენის საერთოდ ყველა ხალხებზე მიკუთვნება, მათ რიცხვში უწერილო ხალხებზე, ჩემი ფიქრით, მაინც ნაჩქარევია იმიტომ, რომ ამ ხალხებს სრულიად სხვა კანონები თუ არა, ენის განვითარების სხვა ფორმები აქვთ, რაც მათ მეტად დაბალ სამეურნეო დონეს შეეთანაბრება. ჩემი დასკვნა აქეთია: ნაჩქარევია ასე განზოგადოებულად დადგენა კლასობრივი ელემენტებისა იმ საზოგადოებათა მიმართ, სადაც უკვე რამდენადმე შემჩნეულია ენის დიფერენციაცია.

იაფეტური თეორია, — თუ გამართლდება, რომ აკად. მარრის მიერ დასახულ ეპოქაში კლასები არსებობდნენ, — უკლასო საზოგადოებას უშორეს წარსულში გადასწევს. მაგრამ იგი მას არ აუქმებს და ხელახლა დგება ჩვენს წინაშე კლასების გენეზისის შესწავლის პრობლემა, თუმცა სრულიად სხვა გარემოში. იმიტომ, იქნება თვით კლასის აღმატების პრობლემის შესწავლისას იაფეტიდოლოგებმა, რომელნიც იძულებული იყვნენ ხაზი გაესვათ კლასის ამ საწარმოო ბუნებისათვის, უფრო ყურადღებით მოკიდონ ხელი ამ საკითხს, თუ, სახელდობრ, რომელ სოციალურ-საწარმოო ეპოქაში ჩნდება პირველად კლასობრივი დიფერენციაცია.

მ. ნ. პოკროვსკი: თუმცა სიტყვის აღება არა მსურდა, მაგრამ ვინაიდან მე მომესმა, იმეღია, საბედნიეროდ, ჩემთვის გაუგებარი სიტყვები, — თითქოს ძლიერ ცუდი იყოს, რომ აკად.

მარრი ფაქტებიდან თეორიისაკენ მიდის და არა პირუკუ, თეორიიდან ფაქტებისაკენ — მე მინდოდა იქნებ სხვასაც დაებადა ამგვარი გაუგებრობა, — მე მინდოდა მეთქვა, რომ აკად. მარრის გზა-სწორი გზაა, გზა, რომლითაც ყოველთვის მიდიოდა ენგელსი, მარქაი და ლენინი, მაშინაც კი, როცა მათ უკვე თეორია ჰქონდათ ხელში, იგინი მუდმივ გულმოდგინედ სწავლობდნენ ფაქტებს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლობდნენ ფაქტებს. ფაქტებით ამოწმებდნენ თეორიას. ისეთი სწავლა, რომ, თუ თქვენ თავში სრულიად აბსტრაქტული თეორია გაქვთ და ამიტომ არავითარი ფაქტები არა გკირიათ, ან საკმარისია ჰაილუსტრაციო ფაქტები მოიშველიოთ, ასეთი სწავლა მარქსიზმში არ არსებობს, ეს ანტიმარქსისტული აზროვნების ერთ-ერთი უმეტესად აშკარა ფორმაა, როგორც კი შესაძლებელია გამოვიგონოთ; ამიტომ იმედი მაქვს, რომ ალბათ ყური ვერ შივადეგნე, თორემ რასაკვირველია, ამხ. აპტეკარს ამის თქმა არ ჰსურდა. მაგრამ რადგანაც მე ასე გავიგე, გადავწყვიტე ამხანაგს შევეშველო შეცდომის გასწორებაში, ეს საჭიროა. ამგვარად, ის სტიქიური გზა, რომლითაც აკად. მარრი მიდის, თავისთავად სრულიად სწორია, მაგრამ რასაკვირველია, იგი თეორიით უნდა შექდებოდეს, რამდენადაც ჩვენ თეორია გვაქვს. უცნაურია, ჯიბეში ელექტრონის საუცხოო ლამფა გედოს და კი არ გამოიყენო, არამედ ხელის ფათურით დადიოდე ზიბნელეში. რასაკვირველია ეს არ უნდა ჩავიდინოთ. მაგრამ ამ ლამფით, რაღაც უნდა გავანათოთ და აი, ამხანაგებო, მე მინდოდა ყურადღება მიმექცია საქმის ერთ მხარეზე. ამაზე, მართალია, ამხ. კუსიკიანმა მიუთითა, მაგრამ ნება მომეცით კიდევ ხაზი გაუსვა მას. თქვენ ხედავთ, თუ ის, რასაც მე სამეცნიერო ტექნიკა ვუწოდე, კოლოსალურად მნიშვნელოვანია. თქვენ შეგიძლიათ შეამოწმოთ ჩვენი პატივცემული მომხსენებლის მტკიცებანი? უეჭველია, ამ დარბაზში 3—4 კაცი თუ შიიპობა, რომელთაც შემოწმება შეუძლიათ, ყველა დანარჩე-

ჩებმა კი, მათ რიცხვში მეც, უხდა ვირწმუნო. ამავე დროს კი, რომ შეგნებულად მოვექცეთ ამ თეორიას და მარქსიზმისთვის გამოვიყენოთ, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს მისი შემოწმება შეგვეძლება. ამისათვის საჭიროა ლინგვისტური ცოდნის მთელი ის მარაგი, რომელსაც ნ. ი. მარრი ორმოცი წლის განმავლობაში აგროვებდა — აი, რაა საჭირო. მე იმედი მაქვს, რომ მისი მიმდევრები დააგროვებენ მას არა 40 წლის, არამედ შესაძლებელია 4—6 წლის განმავლობაში. თეორიით უფრო ადვილია წინსვლა, იმიტომ, რომ მისი მეოხებით, ჩვენს წინ დაბურული ტყე კი არაა, სადაც გზის გაყვანაა საჭირო, არამედ სწორი გზატკეცილი. მაგრამ მაინც აუარებელი დროის დახარჯვაა საჭირო ამ მასალის სპეციალურად შესწავლისათვის. თქვენ ფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ ლინგვისტიკას შეეხება? ნურას უკაცრავად, ამხანაგებო! იგი ამგვარადვე ყოველგვარ ისტორიულ დარგს ეხება.

ახლა კამათია პოლონელებთან, რომელნიც პრეტენზიას აცხადებენ იმაზე, რომ ავტოხტონები¹⁾ და ბელორუსები არ არსებობენ, რომ ესენი გარუსებული პოლონელებია, და ისინი, ვინც მხოლოდ ბელორუსიის თანამედროვე მდგომარეობას იცნობენ, ერთგვარ უღონობას განიცდიან, არ იციან როგორ ებრძოლონ ამ მოვლენას. მასთან ბრძოლა კი ძლიერ ადვილია. ყველა ისტორიული ძეგლები — ისინი კი მრავალდაა — არა მხოლოდ არღვევენ, არამედ კოლოსალურ უმცირესობას გვიჩვენებენ, ამგვარი თვალსაზრისის სრულ ველურობას და გონების სიჩლუნგეს. ძეგლები უხდა შევისწავლოთ, ვიცნობდეთ. ასე, რომ ყოველგვარ დარგშია საჭირო აუარებელი დროის და ძალის დახარჯვა ფაქტიური მასალის შესაკრებად, ურომლისოდაც წინსვლა შეუძლებელია. რასაკვირველია, არც ერთი მარქსისტი არ იქადაგებს ემპირიის უპირატესობას თეორიის მიმართ, მაგ-

1) მკომურები.

რამ იმის მტკიცება, რომ ადამიანი, რომელიც ფაქტებს ანგარიშს უწევს არაა მარქსისტიო, ეს განსაცვიფრებელ გადახრას ნიშნავს.

ახლა, ამხანაგებო, თვით იაფეტური თეორიის მნიშვნელობის შესახებ. აქ გამოსულები — მიუთითებენ, — მე ბოდიშს ვიხდინ. ი. მარროს წინაშე, მაგრამ ჩვენ უმეტეს ნაწილად ამხანაგები ვართ და შეგვიძლია გულახდილნი ვიყვნეთ, — ერთგვარ არეულარევაზე ტერმინოლოგიაში. ეს ეჭვს გარეშე ფაქტია. საქმის ვითარება, — იმედია, რომ ყველამ გაიგო, მიუხედავად მოხსენების ერთგვარად არაჩვეულებრივი ხასიათისა, — იმაშია, რომ ენის განვითარება წარმოებასთან კავშირდება. აქამდის ამ მიმართულებით იყო ზოგიერთი ცდები; ასეთ ცდებს აწარმოებდა ნუარე, მაგრამ ძლიერ სუსტად და სხვა არაფერი. ნ. ი. მარრმა გვიჩვენა, თუ ტერმინი „საწარმოო“ როგორ ხდება მბრძანებლად, რის გამო ძალის ცხენად იქცევა, რადგანაც მეურნეობაში იგი ამავე ცოცხალი გამწევი ძალის როლს ასრულებს, როგორც ესაა ჩრდილო ხალხებში, — წინათ ძალღებს აწვევინებდენ, შემდეგ კი ცხენის შებმა დაიწყეს, ზოოლოგიური ბუნება კი ძალისა, ცხენისა მეორეხარისხოვან როლს ასრულებს და მესამე ხარისხოვანსაც. აღნიშნული მეტად ძლიერ შუქსა ჰყენს ენის მთელ ისტორიას. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით აკად. მარრმა ფაქტების მეტად მცირე რიცხვი დაასახელა. იგი ლაპარაკობდა ხელის შესახებ. მე მახსოვს, რომ მას სხვა ფაქტებიც აქვს, უფრო გასაოცარი, — ესაა ირემი და სპილო. რომელნიც აგრეთვე შეიძლება დავახლოვოთ გამწევი საქონლის იმავე სამეურნეო როლის მიხედვით. ამის მიკვლევა ყველა ხაზებითაა შესაძლებელი. თქვენ შოისმინეთ პურის და რკოს მაგალითი — იგივე ისტორიაა. რომაელები პურს უწოდებენ — panis ბერძნულად *πάσιον* მათ რკოს ჰამაზე ხელი აიღეს, პურის ჰამა დაიწყეს, მაგრამ ფუნქცია ერთიდაიგივე იყო — კუჭის ამოვსება, და სიტყვა იგივე გამოდგა; სამეურნეო

ფუნქციები დომინირობენ. ენის ისტორიაში ეს კოლოსალური მნიშვნელობის აღმოჩენაა, და ამ ერთი აღმოჩენისათვის ნ. ი. მარრს, თუმცა იგი სტიქიური მარქსისტია, არა სტიქიური მარქსისტები უნდა მიესალმონ. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ენგელსი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ალბათ, საექვევო აღარ იქნებოდა, რომ მარრის თეორია ერთ-ერთი მეტად სასარგებლო თეორიათაგანია მარქსიზმისათვის. ეს უეჭველია.

შემდეგ ნება მომეცით ერთი ფაქტი მოგაგონოთ, არა შემთხვევითი, ქვეყანაზე შემთხვევითი არა არის რა! პირველად არა გვხვდება აკად. მარრი ჩვენ, ბოლშევიკებს. იგი რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე არა ყოფილა, ამიტომ ისტორიკოს — საზაგადოებათმეცნიერებისათვის უმეტესად ძვირფასი ფაქტები ვერ შემოიკრიბა თავის ცნობიერებაში, უშუალო კლასობრივი ბრძოლის ფაქტები. მე არა ერთხელ აღმინიშნავს, თუ რევოლუციური ბრძოლა, როგორ უქმნიდა ჩემს სოციალისტურ მსოფლმხედველობას განვითარების სხვადასხვა ეტაპს. მაგრამ აკად. მარრი ძლიერ ახლოს აკვირდებოდა 1905 წ. რევოლუციას თავის სამშობლო საქართველოში. მან საინტერესო წიგნი დაწერა და ამ წიგნში მაშინ (თქვენ ამას დააფასებთ — წიგნი გამოვიდა 1907 წ.!) სრული თანაგრძნობა გამოთქვა ბოლშევიკებისადმი და მენშევიკებისადმი და არა სხვა რომელიმე პარტიისადმი. ეს მეტის-მეტად დამახასიათებელია და შემთხვევითი არაა. ნ. ი. მარრი სტიქიურად იზრდება მარქსისტად და იგი მართლაც იზრდება.

საბოლოო სიტყვა:

ამხანაგებო, მე იმდენი ვილაპარაკე, რომ, ვფიქრობ, ნათქვამი საკარისი იყო. დავიწყებ უკანასკნელი. შენიშვნებიდან, ვინაიდან იგი უფრო კრიტიკულია, უფრო არსებითი, ესაა შენიშვნა ტერმინოლოგიის არეულობის შესახებ. მაგრამ დამნა-

შავე ვარ, თუ არა მე ამაში — არ ვიცი, ვინაიდან. საჭირო ტერ-
მინებს ჯერ კიდევ ვერ ვპოულობ. არ შეიძლება სულ მუდამ
ბრჭყალებში ვათავსოთ ახალი გაგებით გამოყენებული ტერმინი.
მე მჭირია განსაზღვრული სოციალური დაჯგუფება, რომელიც
არც ტომი იქნება და არც შემთხვევითი ჯგუფი. როცა იგი
საწარმოო სოციალური ჯგუფია, რა უწოდო მას? მე სიაჰოვნე-
პით მივიღებ ტერმინს, თუ მას მიჩვენებენ; მე მეყურება, რომ
მას არ შეიძლება კლასი ვუწოდოთ ახლანდელი ჩვეულებრივი
გაგებით, მაგრამ, რომ ეთნიური ჯგუფი უწოდო, არ შემიძ-
ლია. ამიტომაც არევ-დარევა. ეს საკითხები შეიძლება გადა-
წყვეტილი იყოს მხოლოდ მარქსისტების მიერ. აი, ამიტომ
ვამბობდი რამდენიმე წლის წინ, რომ ჩვენს მუშაობას აღსა-
სრული მოელის, რომ შემდგომი გაგრძელება აღარ შეგვიძლია.
ეს დაბეჭდილია. მოწაფეებისადმი მიმართვაში მე ვამბობდი,
რომ, უკეთუ ისინი ამ საქმეს სოციალოგიური და მარქსისტული
მიმართულებით არ გააგრძელებენ, ჩვენს საქმეს აღსასრული
მოელის. უნდა დავიცადოთ, ვიდრე მარქსისტები ხელს მოჰკი-
დებენ მას და თქვენ თქვენს მასწავლებელთან ერთად გაშო-
გადებენ. ეს დაბეჭდილია. და მაშინ მარრიზმი მოკვდება,
მარქსიზმი კი დარჩება. მე არ მსურს, რომ თვით მარრი. მო-
კვდეს (დარბაზში სიცილი), მაგრამ მარრიზმი დე მოკვდეს!
დიახ, მე არ მეგონა, თუ ეს მარრიზმი იყო. მე არასოდეს არა
ვთვლიდი მას მარრიზმად, იმიტომ რომ ესაა განსაზღვრული
საზოგადოებრივი პირობების საქმე, რასაკვირველია, ძნელია
ვთქვა, სახელდობრ რა პირობების. ვუიქრობ, რომ აქ საქმე
მასალაში კი არაა, არამედ ერთგვარ აღზრდაშია. ეს აღზრდა,
თუმცა რუსული, მე ლენინგრადში მივიღე უნივერსიტეტის აკა-
დემიურ პირობებში, მის მრავალენიანობით, კერძოდ აღმოსავ-
ლეთის ენების ფაკულტეტის. უამისოდ არც მარრიზმი იქნე-
ბოდა.

ახლა რიგ-რიგით შევეხები შენიშვნებს. მეუბნებიან, რატომ
ეს, ან ის არ გააკეთეო; მაგრამ საქმე იმაშია, რომ მე აღარ
დამიმუშავებია თეორია სახელმძღვანელოს შედგენის წესით ან
კურსი გამზადებული სპეციალური ლიტერატურის მიხედვით.
თუ კი ინდო-ევროპულმა ლინგვისტიკამ ვერ შეძლო ყველა
ამ საკითხების გაშუქება, მაშ როგორღა გგონიათ, რომ ეს
ერთმა პირმა შეასრულოს, რომელიც თითქმის იზოლაცია ქმნი-
ლია, რამდენადაც ჩემი მოწაუეების უმრავლესობაც ცალკე
ენებს სწავლობს. საჭიროა, რასაკვირველია, ცალკე ენების შე-
სწავლითაც დავინტერესდეთ, უფრო ჩაღრმავებული შესწავ-
ლით, მაგრამ მე ერთს არ შემეძლო და არ შემიძლია ყველა ამ
საკითხის გადაწყვეტა. დადგება დრო, როცა ამ საქმეში მონა-
წილეობას მიიღებენ არა მხოლოდ სპეციალისტ-ლინგვისტები.
რასაკვირველია, მათ მიეშველებიან საზოგადოებათმეტყველნი
და პირველ რიგში — მარქსისტები. მხოლოდ მაშინ იქნება შე-
საძლებელი ყველა ამის დამუშავება.

პირველი შენიშვნა პირველი ორატორისა, რომელიც აქ გა-
მოვიდა, იმას მიუთითებს, რომ კიმერებს არ შევეხე, იმ დროს
როცა მის მიერ დამტკიცებულია კიმერების და სხვადასხვა ხალ-
ხების, როგორც ეს წინათაც ეგონათ, ოჯახების — ფინების და
რუსების წინაპართა ერთიანობა. მე არ ვიცოდი, თუ ეს დო-
კუმენტალურად დამტკიცებულია, თუ ეს დატკიცებულია რა-
საკვირველია, სავსებით ვუეროეროდები მას. როცა სკვითებზე
ვლაპარაკობდი, მე განგებ არ შევეხე კიმერების საკითხს, ვი-
ნაიდან არ ვიცოდი, რომ იგი ისტორიულად მუშავდებოდა და
ახლა დამტკიცებულია. მაგრამ, უეჭველია, რომ კიმერები და-
სავლეთი ევროპის და აღმოსავლეთი ევროპის თავდაპირველი
მოსახლეობის შემადგენლობაში შედიან. კერძოდ რუსეთში
იგინი არა თუ მისი მოსახლეობის სუბსტრატის შემადგენლო-
ბაში შედიოდენ, არამედ მონაწილეობასაც იღებდენ სოციალუ-
რად გამომუშავებული ბგერითი ნიშნების შექმნაში, რომელიც

ახლა რუსულ ენასაც ახასიათებს მემკვიდრეობით. ამაში მე თავის დღეში ეჭვი არ შემქონდა. მაგრამ მე მგონია, რომ ამ საკითხების დამუშავება მხოლოდ ერთი ლიგვისტიკით არ შეიძლება. იგინი ყოველგვარ ისტორიას უნდა შეუთანხმოთ, მატერიალური კულტურის და კულტურის ისტორიას.

მომდევნო ორატორმა სრულიად სწორად აღნიშნა. მე ასე ვიტყვოდი: შეიძლება იაფეტური თეორია ისტორიაში გამოიყენოთ, მაგრამ ეს ძლიერ ძნელია. რატომ? იმიტომ რომ, როცა ისტორიკოსს უახლოეს ეპოქასთან აქვს საქმე, ეს ერთი საქმეა და როცა წინარე წარსულ დროსთან — მეორე. აიღეთ, მაგალითად, სიტყვა „პლებეი“. ამ სიტყვასთან დიდი პრობლემაა დაკავშირებული. ბევრი ამბობენ, რომ პლებეი, ეს — განსაკუთრებული კლასი კი არაა, არამედ ტომიო. მის განმარტებაში მეც ამ თვალსაზრისზე ვიყავი, მაგრამ გამოიჩინა, რომ ტომი (გაერთიანება სისხლის ნიადაგზე), როგორც გვარი და ოჯახი, გვიანი სოციალური მინალწევია. ახლა ჩვენ საკითხს ვაყენებთ ისტორიაში იაფეტური თეორიის გამოყენებისას. რაკი პლებეიზე ვლაპარაკობთ, უნდა გამოვარკვიოთ, რა სოციალური დაჯგუფებაა იგი. ვინ გამოამხეურა ყველა ეს? ეს გამოამხეურა იაფეტურმა თეორიამ. ამავე პლებეის საკითხთან ერთად 12 ტაბულის საკითხიც დგება. ვინაიდან ტაბულებში ერთი ხალხის ენა კი არაა გამოყენებული, არამედ სხვადასხვა ხალხის ენები; მაშასადამე, გამოდის, რომ ეს ენა სხვადასხვა ხალხის ენა კი არაა, არამედ კლასების; და ეს სწორია, ვინაიდან აქამდის არსებული ყველა ენა კლასიკურია. აი, ეს საკითხია მეტად მნიშვნელოვანი. იაფეტური თეორია ხშიერი მეტყველების კონკრეტულ მოვლენათა შესწავლის შედეგად ეხება საზოგადოებრიობას, მატერიალური კულტურის ისტორიას, საერთოდ ისტორიულ მეცნიერებას და სხვა მეცნიერებათა მთელ რიგს, ვინაიდან ხშიერი მეტყველება მთელ გარემომცველ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. მაგრამ მე მანც უნდა ვთქვა, რომ იაფე-

ტური თეორია ახლანდელ მომენტში იმდენად ვერ იქნება გამოყენებული, რამდენადაც ეს საჭიროა, საკმაოდ რომ იყოს იგოდამუშავებული. ახლა საკითხი დადგა სტადიური განვითარების შესახებ; როცა სტადიური განვითარება საბოლოოდ გამოკვეთილი იქნება — არა იმ აზრით, როგორც სქემატურად ახლაც ვსწავლობთ მას, ზოგად არა დიფერენცირებულ ხაზებში, არამედ ამ აზრით, თუ სახელდობრ რას წარმოადგენს კონკრეტულად თითოეული სტადიური განვითარება, — მაშინ თვისობრივად დადგენილი იქნება, თუ რომელ ეტაპზე, რა საფუძველზე და რა პირობებში იყო გამომუშავებული ხშიერი მეტყველების პირველი და მომდევნო ფენები და აგრეთვე შესატყვისი ფენების თანმიმდევრობა. მაშინ, რასაკვირველია, ისტორიკოსები ყველა ამას გამოიყენებენ. მაგრამ ახლა ჩვენ ერთსა ვგრძნობთ: ჩვენ უარი უნდა ვთქვათ, რომ არის რაღაც წინაისტორია, როგორც მას უწოდებენ. არავითარი წინაისტორია არ არსებობს, არამედ არის მხოლოდ დავიწყებული ისტორია ბერძნულად — „ლექსისტორია“. ამგვარად, ცოტაოდენი რამ რჩება ისტორიასაც, ე. წ. წინაისტორიის დარგიდან. ეს უკვე დიდი მიღწევაა. აღნიშნული გარემოება შესაძლებლობას იძლევა მთელ ენობრივ მოვლენებთან დასკვნების და მტკიცებების უფრო მეტი კონკრეტიზაციით მივიდეთ. რაც შეეხება სემანტიკას ცოტა რამ მის შესასწავლად და შესათვისებლად მოხსენებაში იყო. მე ვიხილავდი დღეს არა ბგერათა გადასვლას, არამედ ნამდვილად ასათვისებელს და დასაახლოვებელს ყდერობის მხრივ სიტყვების მთელ რიგს. ეს უფრო გასაგებია მათი მნიშვნელობების კავშირის პალეონტოლოგიური ახსნისას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს სემანტიკის საკითხს ჩვენ მხოლოდ ახლა ვაყენებდეთ. ჩვენ გვინდა გამოვაჩინოთ და ვაჩვენოთ კიდევ სოციალურ მოვლენებს სიტყვების „ფუძეში“, სახელდობრ მათ მნიშვნელობაში, როგორც ამას ისტორიაც მოითხოვს. ეს ეხება არა მარტო სიტყვათა სემანტიკას, არამედ ფორმებსაც, დაბო-

ლოებებს ანუ სუფიქსებს, აგრეთვე პრეფიქსებსა და სხვ. მე უნდა ვთქვა, რომ პირველად ცალცალკე მამრობითი და დედრობითი სქესები არ იყო, ვინაიდან არ იყო დაყოფა მამრობით და დედრობით სქესად. ამას ამტკიცებს ისეთი ტერმინებიც, რომელიცაა მამა, დედა და მთელი რიგი მსგავსი ლინგვისტური ფაქტები. მაგალითისათვის მომყავს მამა და დედა იმიტომ, რომ ეს ჩვეულებრივი მაგალითია. ბევრნი ფიქრობენ, რომ მამა და დედა ორი სხვადასხვა სიტყვაა; სრულებითაც არა, მამამ თავისი სახელწოდება დედისაგან დაიმკვიდრა, ყველამისი უფლებებით: პირველად არც მამა იყო და არც დედა, შემდეგ კი დადგა პერიოდი, როცა იყო დედა, როცა დედაცნობილი იყო, მაგრამ მამა ჯერ კიდევ უცნობი იყო და როცა შემდეგ მამა გაჩნდა, თითქოს ეს ამბავი არც ცუდი რამ იყო და არც კარგი: მეტი წესრიგი, ნაკლები თავისუფლება. მაგრამ მამა დედის ფიზიკური უფლებებით აღიჭურვა? არა, ცხადია, არა ფიზიკური, არამედ სოციალურ-საზოგადოებრივი უფლებებით. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ეს იყო არა მხოლოდ მამა, არამედ ეს იყო ძმაც. ამგვარად, სრულიად სხვანაირ მიმართებას მივიღებთ, რომლის ახსნა დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დაბეჭდილია. მაგრამ მიუხედავად ამისა მე მინდა ვთქვა, რომ მასთან დაკავშირებით არ შეიძლება დედრობითი სქესიც ყოფილიყო. ვინაიდან ენა სოციალურად იქმნებოდა და ვინაიდან ფონეტიკური მოვლენებიც კი, მორფოლოგიურიც, სოციალური ხასიათისა იყო როგორღა შეეძლოთ აერეკლათ ის, რაც ადამიანთა კოლექტივის მიერ შეგნებული არ იყო? არავითარი განსხვავება არ იყო. მამაკაცსა და დედაკაცს შორის, სათავეში დგას — და სხვა არაფერი. და როცა შემდეგში ისეთი საზოგადოება ჩამოყალიბდა, სადაც დედეკაცს და მამაკაცს ასხვავებდნენ, მაშინ გაჩნდა არა მხოლოდ მამრობითი სქესი, არამედ საშუალოც. აბა, მითხარით რა სქესია ეს საშუალო? ადამიანი სრულიად გულუბრყვილო უნდა.

იყოს, რომ საშუალო სქესი აღიაროს. ცხადია — ეს გადანაშთია იმისი, რაც სამგვარი სოციალური ურთიერთობის კონცეპციის დროს იყო და რაც აირეკლა მსოფლმხედველობაში სამი სამყაროს შესახებ — ზემო, ქვემო და ქვესკნელის შესახებ. ესეც ცოტად თუ ბევრად ახსნილია, და ეს — სრულიად ელემენტარული რამაა. მაგრამ შენიშვნა ორატორისა — „თუ გვინდა გამოვიყენოთ, უნდა კონკრეტულად მიუღდეთო“ — სრულიად სწორია. ჩვენ ამის შესახებ ვილაპარაკეთ. მაგრამ ლინგვისტს ამის გაკეთება არ შეუძლია. საჭიროა, მარქსისტი-ისტორიკოსი მოვიდეს და თავისი კვლევის საგნად გახადოს იგი. ოდესღაც ბევრი მეუბნებოდა: „რა კარგია! თქვენ კავკასიას სწავლობთ“, იმ დროს მე ნაციონალური განწყობა მქონდა. ან როცა საქართველოში ჩავიდოდი, ან სომხეთში! „რა კარგია, რომ სომხურს სწავლობთ, გააგრძელეთ შესწავლაო“ — უმორჩილესად გმადლობთ. ეს ისე გამოდიოდა, რასაც ახლა თანამგობობნი მეუბნებიან: „კარგია თქვენი თეორია; გააგრძელეთ“. ეს არ მოხდება. იათეტური თეორიის გაგრძელება მხოლოდ ლინგვისტებს შეუძლიათ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა მისი შესწავლა მთელ რიგ იმ სხვადასხვა დისციპლინებთანაა დაკავშირებული, რომელნიც თავის მხრივ მთელი ქვეყნის ენებთან არიან დაკავშირებულნი, მაგრამ ამისათვის ადამიანი იმად უნდა იყოს, რასაც მე მიწოდებენ, ე. ი. შარლატნად, რომ ამგვარი შესწავლა დაიწყოს. ვიქნები მარქსისტი თუ არა, მე უნდა დავადასტურო, რომ კელექტიური მუშაობის გარეშე ამის გაკეთება არ შეიძლება. აი, რატომ ვარ წინააღმდეგი მუშაობის ინდივიდუალურად წარმოებისა, აუარებელი ცოდნაა საჭირო, ამასთან არა ოდენობრივი, არამედ თვისობრივი. ამგვარი ცოდნის გარეშე შეუძლებელია ყველაფრის ხელის შემოხვევა. ამისათვის საჭიროა მუშაობის ის სისტემა, რომლის შესახებ ვწერთ და ვწერთ ყველა პროგრამაში, მაგრამ რომელთანაც მისვლა ჩვენ ვერ მოვახერხებთ. ჩვენს დაწესებულებებში ყველა სხვადასხვა განყო-

ფილესაში ზის და ერთმანეთს არაფერს უზიარებენ: რაიმე მასალას ერთი მეორეს უმაღავენ და მხოლოდ მაშინ აჩვენებენ ერთმანეთს, როცა შედეგი უკვე გამოქვეყნებულია. ეს ასეა იმ დაწესებულებებშიც კი, რომლის სათავეში მე ვარ (სიცილი).

ახლა მატრიარქატისა და ამხ. კუშნერის შენიშვნების შესახებ. ეს როგორღაა — კლასი? როგორ გავბედე და ვიხმარე ასეთი ტერმინი? შეიძლება სხვა ტერმინი იყოს გამონახული. მე ვთქვი, რომ იყო ე. წ. კლასები, იყო ასეთი საზოგადოებრივი დაყოფა, მაგრამ დღეს ჩემი მოხსენება ისტორიულ თეორიას არ შეეხებოდა, არამედ იმ საკითხებს, რომელნიც იაფეტურ თეორიას ახასიათებენ. მაგრამ არის ჩვენებების სხვა მთელი რიგი, რომ კლასები იყო, მაგ. შედარებითი და აღმატებითი ხარისხების არსებობა. მე ვთქვი, რომ ეს ანარეკლია სხვადასხვა ე. წ. ტომობრივი (სოციალური) დაჯგუფებისა, როცა მაგ., ბერძნულში სხვადასხვა ძირები გვაქვს, სხვადასხვა ზედსართავები სხვადასხვა ხარისხებში. რუსულში ორი ხარისხია — დადებითი და შედარებითი¹⁾, იქ კი სამი — დადებითი, შედარებითი და აღმატებითი. თუნდაც რომ ისტორიკოსმა მითხრას, იქ ამგვარი სამი ფენა არ იყო, მე ვეტყვი: მაშასადამე, არა გაქვთ მასალა, მაშასადამე, თქვენ არ იცით რა გადახდა ამ ხალხს. მათში სამი დიფერენცირებული ფენა იყო, ვინაიდან თითოეული ფენისათვის სიტყვების ასეთი განსაზღვრული ჯგუფები იყო, რომლებიც მხოლოდ ამ ტომმა წამოსწია, საკუთრივ ამ სოციალურმა ფენამ. იყო, თუ არა იქ შევიწროება, ჩავვრა? რასაკვირველია, ენას ამის თქმა არ შეუძლია, მას არ შეუძლია გვითხრას, რომ ერთი კლასი მეორეს ამარცხებდა, მაგრამ ენას შეუძლია ერთი რამ გვითხრას: ოდესღაც არსებობდა უდაბლეს საფეხურზე მდგომი ტომობრივი დაჯგუ-

1) ხელოვნური გაფორმება რუსულში, ანუ აღმატებითი ხარისხის აღწერით გამოთქმა მეორად მოვლენას წარმოადგენს.

ფება, რომელიც შევიწროებაში იყო. ჩვენ შეგვიძლია მაინც ვთქვათ, რომ სოციალური განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ერთი სოციალური ფენის მიერ მეორის ჩაგვრის ფაქტს აღგილი ჰქონდა. რის შესახებ ზედნაშენის, ანუ მორალური რიგის განსაზღვრული ტერმინები მკაფიოდ გვეუბნებიან — 'უხეში', 'უგვანო', 'ბოროტი', 'ცუდი' და სხვ.; ეს ტერმინები გაიგივებულია ტომების სახელწოდებებთან, განსაზღვრული სოციალური ფენების სათანადო სახელწოდებებთან მიხედვით. შემდეგი განიშნობლივება საკითხისა ენობრივ მასალაზეა დამოკიდებული და სხვ. აქ სრულიად უდაოა არა მხოლოდ შედარებითი ხარისხის ნაჩვენები მნიშვნელობა, არამედ ნაჩვენები აზრით გამოყენების წყაროც, ე. წ. ტომობრივი სიტყვებიც, რომლებიც განსაზღვრული ჯგუფის ტოტებს მიეკუთვნება, ამ ჯგუფთანაა გაიგივებული. ყველაფერ ამას, ვფიქრობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ თავდაპირველი ეპოქისათვის, როცა ყველა ეს სიტყვები იქმნებოდა. ახლა, რასაკვირველია, საქმე სხვანაირადაა. იგივე ტექნიკა ხომ არ იძებნება ისეთი სიტყვების შესაქმნელად, როგორცაა — ტელეფონი, განსახკომი და სხვ. ეს ისეთი სიტყვებია, რომელთა სიტყვა შემოქმედების საილუსტრაციოდ გამოყენება სტადიური განვითარების არც ერთ წინანდელ საფეხურზე არ შეიძლება, რომ აღარა ვთქვათ რა თავდაპირველ ეპოქებზე. აი, ამბობენ; ინგლისური ენა — შეუღლებების ნიმუშიაო. ინგლისურ ენაში მთლიანად შეუღლებების პროცესის სრულიად სხვა სახეა მოცემული; შექმნის სხვა მოდლობა და სხვა სტრუქტურა, იქნებ სისტემა, ისტორიასთან დაკავშირებით. ისტორიის შესახებ ხომ აქვენც ლაპარაკობთ. სრულიად სხვაა, როცა ლაპარაკია „კლასობრივ“ დიფერენცირებაზე. უმთავრესია: საზოგადოებათ-მეტყველ მარქსისტისთვის იაფეტური თეორია საფსებით მისაღებია, იქნება იმიტომ, რომ განსაკუთრებულს არას ამბობს, მაგრამ ექვს იწვევს ენის აღმოცენების ეპოქაში „კლასობრივი“ დიფერენცირება; რა არის ამ

ექვის მიზეზი? მიზეზი ისაა, რომ ჰგონიათ, ვითომ ხშიერი მეტყველება კაცობრიობისა და მისი საზოგადოებრიობის აღმოცენების პირველ მომენტშივე დაწყებულიყოს. ეს უდიდესი გაუგებრობაა. ხშიერი მეტყველება მაშინ დაიწყო, როცა კაცობრიობამ განვითარების უზარმაზარი გზა გაიარა არა მარტო მატერიალური კულტურისა. იგი კაცობრიობის განვითარების მაღალ საფეხებზე გაჩნდა, როცა თითქმის მთელი პალეოლითი იყო გავლილი. განვითარების მთელი წინამდებარე საფეხური კაცობრიობამ ხაზობრივი მეტყველებით გაიარა, უხმო ენით; აღნიშნული ხაზობრივი მეტყველება ისე დიდხანს იყო პრაქტიკაში, რომ იბადება აზრი გვიანი კულტურული მიღწევები მას დაუუკავშიროთ. ისე დიდხანს ბატონობდა ხაზობრივი მეტყველება რომ მ. ნ. პოკროვსკიმ მოისაზრა, და ვფიქრობ საფუძვლიანად, ხაზობრივი მეტყველების გადანაშთებთან მწერლობის აღმოცენების დაკავშირების შესაძლებლობა. როცა ხშიერი მეტყველება დაიწყო, მაშინაც ჯერ კიდევ უცბად ვერ დამყარდა ჩვეულებრივი, ანუ ყოველდღიური ენა. სრულებითაც არა. ხალხი ხაზობრივი მეტყველებით განაგრძობდა ურთიერთობას, ეესტებით და მხოლოდ ხმებს შეაშველებდა ხოლმე. თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ იმ წამს, ხშიერი მეტყველების შესაძლებლობის ჩასახვისთანავე, ხალხი დაინტერესებული იყო, თუ რა დაერქმიათ 'ცხვირისთვის', ან 'პურისთვის', ან როგორ ეთქვათ 'წადი სახლში'. სრულიადაც არა, ჩვეულებრივი მეტყველება მეტად გვიან აღმოცენდა,

საკითხი დგება იმის შესახებ, რომ თვით ხშიერი მეტყველება კლასური იყო. მასას ჯერ კიდევ არა ჰქონდა ხშიერი მეტყველება. მისთვის საკმაო იყო ხაზობრივი ენა. იგი ისევე უცოდინარი იყო ხშიერ მეტყველებში, როგორც ჩვენში მე-20 საუკუნეში არიან წერაკითხვის უცოდინარნი, წერა არ იციახ. ასე იყო მაშინაც. ხშიერი ენა ისევე ვრცელდებოდა, ან ისევე

დაინტერესებულნი იყვნენ არ გაეგრცელებიათ, როგორც ახლო წარსულში ცოდნას არ ავრცელებდნენ. (აპლოდისმენტი).

ახლა საკუთრების შესახებ. თავისთავად გასაგებია, რომ თუ გვინდა ვილაპარაკოთ საკუთრების უფლებაზე, უნდა იყოს პირი; ეს პირი უნდა ყოფილიყო, როგორც ახლა ვიტყვით ხოლმე, იურიდიული პირი. ვინდა იყო იურიდიული პირი? პირველი პირი სულ არ იყო. ლინგვისტიკა გიმტკიცებთ, რომ პირველი პირი არ იყო. საქმე დაიწყო მესამე პირით; ძალიან კარგი. ვინ ზრუნავს, რომ მესამე პირს საკუთრება ჰქონდეს? (სიცილი). თითოეული პირველად პირისათვისა ცდილობს, მაგრამ თავაზიანობის გამო მოხდება, რომ მეორე პირზედაც ზრუნავენ, მესამე პირზე კი — ცუდის მეტი არაფერი. ეს ხუმრობა კი არაა, არამედ ფაქტია, რომ სწორედ პირველი პირი ჩნდება მაშინ, როცა საზოგადოებრივი მეურნეობა მოითხოვს ამ საკუთრების უფლებას. ამავე დროს კი საკუთრების უფლება სხვა ხასიათისა იყო, იგი კოლექტივს ეკუთვნოდა. რაღა აღმოჩნდა ლინგვისტურად? მესამე პირის მაგიერ თურმე კოლექტივის სახელწოდება იყო, თვით კოლექტივი, მისი სახელწოდებით, ტოტებით. როცა ამბობდნენ: „მას ეკუთვნისო“ ეს სრულიად არ ნიშნავდა, რომ „ივანეს“ ეკუთვნის. მართლაც, ე. წ. ტომობრივი სახელწოდებანი, ოდესღაც ტოტემები, საღვთო იყო, შემდეგ კი ღმერთის კუთვნილება. ამიტომ საკუთრების უფლება საღვთოდ გადაიქცა. საკუთრების უფლება — ძველი ქვეყნისათვის საღვთო, წმინდა საქმეა. შეიძლება იგი, მართლაც, ზოგიერთ პირობებში რითმე გამაგრებული უნდა ყოფილიყო, რომ ეს უფლება უცილებელი გამხდარიყო, ძლიერი. მაგრამ ვინაიდან ე. წ. პალეონტოლოგიას მაშინ არ სწავლობდნენ, ამგვარი „თანხედენილობის“ გამო რამდენიმე ხნის შემდეგ გამოვიდა ის, რომ საკუთრება ეკუთვნის არა ტომს (კონკრეტულ კოლექტივს), არამედ ღმერთს, აბსტრაქტულს, პირველად კოლექტივს, შემდგომ იმათ ვინც ღმერთის მიერაა დასჯილი, და-

პერობილი (ეშმაკეული, შამანი, ქურუმი და სხვ.), სხვანაირა-
დაა აღქმული არა მარტო პირი, არამედ თვით ცნებაც პირის
შესახებ, საკუთრების შესახებ. ამ საკუთრების უფლების გასა-
გებად, ისე როგორც ეს ჩვენ გვეყურება, უნდა ვიცოდეთ, რომ
ცალკეულის წარმოდგენა მრავლობასთან კავშირის გარეშე არ
იყო, ცალკეულის დამოუკიდებელი წარმოდგენა. უბრალოდ,
რომ ვთქვათ, ენაში ერთეულები არ იყო, ვინაიდან არ იყო
მხოლოობითი რიცხვი. ჩვენ ვამბობთ ასე. პირველად იყო მხო-
ლოობითი რიცხვი, შემდეგ კი მრავლობითი, ნამდვილად კი ეს
ასე არ იყო და როცა მდგომარეობის ახსნა დაიწყეს, რომ სა-
ჭიროა ცალკეული, ინდივიდუალური — სპეციალურად შექმნეს
მხოლოობითი რიცხვი. მაგრამ ჩვენ იმდენი გადავიარეთ, კაცო-
ბრიობამ იმდენი გადაიარა, რომ უცნაურად გვეჩვენება, რო-
გორ თუ ერთეულები არ იცოდნენ და ერთეულებით არ დავი-
წყოთ არა თუ თვლა, არამედ თვით სამყაროს შექმნის საქმე;
აქედან: პირველად იყო ღმერთი, რომელმაც ყველაფერი შე-
ქმნა, ცაც, მიწაც და სხვ. და მაშინაც კი, როცა „პირველად
იყო სიტყვა“, „სიტყვა იყო ღმერთისა“, თვით „ღმერთიც“ კი
(აგრეთვე ენის შემოქმედებისა „მეცნიერული“ თეორიით) პირ-
ველად წინარენა იყო.

იმის გამო, რომ მშობლურ, ჩემს ენას, იაფეტურს, ამგვარი
განსაკუთრებულება აქვს, მე ვერ გამეგო, თუ რატომ იცინო-
დნენ, როცა სახლში დაბრუნებისას ვამბობდი: „ХОЧУ ВЫМИТЬ
СЕБЕ РYКУ“ — მეთქი. რატომ ხელის და არა ხელების? ქართუ-
ლად ასე არ ითქმის. ამ ენებში არაა ეს ცნება, რომ რაკი თა-
ვის თავი დაასახელებ, ესაა მხოლოობითი, გაგებული კი საზოგა-
დოდ. ასევეა „ტყის“ და ხის მიმართაც, „ტყე“ „ხის“ და „ხე“ ერთი
და იგივე სიტყვა იყო. ასეთი სიტყვების მთელი რიგი იყო. ეს
განსაკუთრებანი მხოლოობითი რიცხვის სრულიად კონკრეტულ
გამოსახულებას მოითხოვენ. და რაც შეეხება კლასობრივი დაყო-
ფის საკითხებს, მეც ვმუშაობდი ამაზე. მე ვცდილობდი გამოსა-

ვალი შეპოვა და ვფიქრობდი: რად უნდა იყოს კლასები ერთი-
მეორეზე ფენებად დალაგებული, ხომ შეეძლოთ ერთად ეცხოვ-
რათ ერთ დამაახლოებელ საქმეში მონაწილეობის გზით, თითოე-
ული თავის ტექნიკურ-სპეციალურ საქმიანობაში ყოფილიყო,
შემდეგ კი სხვა რიგის გაერთიანება მოპყრობა, მაგრამ მაინც
პირველადი საწარმოო-საზოგადოებრივი დაახლოვების და სხვა-
დასხვა ჯგუფების გაერთიანების გარეშე არა გამოდის რა სხვა,
წმინდა ლინგვისტური ხასიათის მოსაზრებებითაც: რომ არ
იყოს ასეთი ეკონომიური, კონკრეტულად საწარმოო სოცია-
ლური სტიმული ამგვარი ერთად მუშაობისა, თუ თითოეული
ცალკე კუთხეში ზის, არაა გაერთიანება და თითოეული გან-
ცალკევებულია, — არაა და არც შეიძლება ყოფილიყო შეუღ-
ლება, რის გარეშე არც ხშიერი მეტყველება იქნებოდა, არ იქ-
ნებოდა არავითარი „ფონეზური“ ენა ამგვარი შეუღლების
გარეშე, რომელიც ჩანარჩენების სახით თავს იჩენს ხოლმე ახ-
ლაც და რომელიც შეიძლება ილუსტრირებული იყოს ერთი
მაგალითით ვოტიაკური ენიდან. როცა ვოტიაკებს უნდათ
თქვან მიწა „მუ“, ისინი ამბობენ „მუზემ“, ე. ი. ამბობენ
„მუ“-ს (შშობლიურს) და „ზემ“-ს (უშუალოდ ურთიერობის
პროცესში რუსებისაგან შეთვისებულს). როცა ძველად შეუღ-
ვლდებოდნენ, სულ სხვა პირობები ჰქონდათ და შეუღლება
მასურად მიმდინარეობდა განსაკუთრებული პროცესის მიხედ-
ვით, რომლებსაც სრულიად სხვა მასურ-შემოქმედებითი მნი-
შენელობა ჰქონდა.

ახლა ინდოეთის საკითხზე. ეს მეტად საინტერესო დაკვირ-
ვებებია, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ აქამდის მეუბნებოდა
ამხ. მუხარჯი. მეუბნებოდნენ სხვებიც; აქაც მასალის იაფეტიდო-
ლოგიურად დამუშავებაა საჭირო: რასაკვირველია, ინდოეთის
შესახებ საკითხები აუაოებელია; მათ შორის კორდინალურია
იმავე ინდოეთის მოსახლეობის ენების მიმართება სანსკრიტი-
სადმი, ვინაიდან ამ მოსახლეობის ხშიერი მეტყველება უფრო

ძველი სისტემისა და ნაირსტადიური, (იაფეტური). მაგრამ, აი, აღძრული იყო საკითხი ტერმინების 'კავისა' და 'საბძლის' შესახებ. გვაქვს თუ არა რაიმე მათი წარმოშობის შესახებ? — კი. ყველა იმ ტერმინების შესახებ, რომლებიც აქ დაასახელეს, უბრალოდ პასუხის გაცემა არ შეიძლება, ყველა მათზე მე არც მიმუშავია, მაგრამ გუთანი და კავი კი გამოკვლეულია, და მათაც აგრეთვე ტექნოლოგიურად კი არ უნდა მივუდგეთ, მათი ბუნების ტექნიკური აღქმით. მე მგონია, უბირველესად ყოვლისა უნდა გაირკვეს, თუ მაშინ საგანს რა ფუნქციები ეკისრებოდა და არა ის, თუ რისგან და როგორაა გაკეთებული. ამიტომ ამგვარი გასადავებული „მატერიალისტური“ მიდგომის გამო ამზობდენ — „კავი — ხეა, გუთანი კი რაღაც სხვაო“. ნამდვილად კი საქმე ის იყო, თუ რა დანიშნულებისა იყო ეს იარაღები. აღმოჩნდა, რომ გუთანი და კავი სკვითურა სიტყვებია, მისნური რიგის, რომელიც შემდეგში დემოტოს' ნიშნავდენ; ესენია საკულტო, თავდაპირველად მისნური ტერმინება. მე აღვნიშნე ის ტერმინი, რომელიც პურიდან განყენებულ ღვთაებად გადაიქცა და ის ტერმინიც, რომელიც წყლიდან აგრეთვე განყენებულ ღვთაებად იქცა. ახლა, ცხადია, რომ ცოტა პალეონტოლოგიურ შედარებას ვაწარმოებთ, შევვიძლია ერთი ენიდან ავიღოთ 'ღმერთი' და მეორე ენიდან 'პურა'. ამასთან დაკავშირებით მე ერთ ტერმინზე შევჩერდები: თურმე რუსული 'Бог' დაკავშირებულია გერმანულ Brot-თან, ეს უკანასკნელი კი ფრანგული Beé-სთან; ეს 'Бог' აღმოცენებულია სამიწათმოქმედო პურეულიდან და რაც შეეხება სიტყვებს Brot და Beé ს ამათი ინდო-ევროპული ახსნა გვაქვს: 'Bce' ლათინური სიტყვის Blat გან წარმოდგებაო, მაგრამ ახსნა აქ არ რჩება და გულახდილად უმატებენ, რომ ძირი უცნობიაო. სრულიად უსაფუძლოა ამგვარი ახსნის აგება და ამასთან საჭიროა არა სიტყვის აგება, როცა კონკრეტული მონაცემების უქონლობის გამო იგი უცნობია ყველასათვის.

40

2 31

